16. ამ წიგნებით გონს მოგებულნი ხაქუთარ თავს მიეუბრუნდი და შენი წინამძღვრობით წემივე გულის ხიდრმქმო განვმარტოვდი: ეს თუ შეეკელი, მხოლოდ იმიტომ, რომ „მწედ და მეოხად მომეკლასი“⁸¹. წემსავე თავში წაღრმავებულმა სულიერი თვალთ ვიხილე უმრეტი ნათელი, თუთ ამ წემს სულიერ თვალსა და წემს გონებას რომ მოაგუნხდა; არა, ეს არ იყო წემელებრივი ნათელი, რომელსაც ხორციელი თვალთ აღვიქვამთ, და არც იმისი მსგავსი, არამედ უფრო ძალქმი, უფრო მეტად მოკაქვამე და მოუღვარე, თავისი ბრწყინვალეობით ყოვლის წამდეკი⁸². ისე როდი ადგა წემს გონებას, როგორც სუთი - წეადს, ან სეცა - მიწას: არა, უსენაესი იყო, რადგანაც მან შემქმნა, მე კი მასზე დაბლა ვიდექი, რადგანაც მის მიერ ვიყავ შექმნილი. ვინც შეიცნო ჭეშმარიტება, მასვე შეიცნო ეს ნათელიც, ხოლო ვინც შეიცნო ნათელი, მასვე შეიცნო მარადისობაც⁸³.

ო, მარადიული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტი სიყვარული, ხაქვარული მარადისობა⁸⁴ შენა ხარ წემი დემროთი, შენთვის ვეცენავე დღისით და ღამით⁸⁵. შეგცანი თუ არა, მაშინვე აღმოტაცე, რათა მეხილა ის, რისი ხილვაც ასე მეწადა, თუცა ჯერ კიდევ არ შემიქლო მეხილა თგი. შენი სხივებით დაშრიტე წემი უმწეო თვალის წინი, და მე ვერხვის ფოთლივით აცვახვახდი სიყვარულისა და მიწის გამო. მე დავეწმენდი, რარო მორს ვიყავი შენგან ამ ქვექნად, სადაც არაყერი არ გგავედა შენ⁸⁶, და თითქოს სეცით წამომენმა შენი ხმაღ „მე ვარ მოწიფულია ხასრდი; იხარდე და მოგამე მე. შენ კი ვერ გარდამქმნი შენში, როგორც ხორციელ ხასრდოს, არამედ შენ თუითის გარდაიქმნები წემში“.)

და მე მივხედი, რომ „უხამართლობის სამხილებლად ასწავლი კაცს და აბლაბუდასავით დაადნიბ მის სეკს“⁸⁷; ამიტომაც ვოქვი: „სუთუ ჭეშმარიტება არარაა, რაკილა არც ხასრულ სიერცქმია განფენილი და არც უხასრულიში?“ და მორიდან მომენმა შენი ხმა: „ჭეშმარიტად, მე ვარ, რომელიც ვარ“⁸⁸. ვინმისე ეს, როგორც ინმენს გულისთ, და არავითარი საბაბი აღარ დამონა ექვისა და ორტოფობისთვის, რადგანაც უმაღ წემი არსებობა დამაეჭვებდა, ვიდრე ის, რომ

არსებობს ჭეშმარიტება, რომელსაც შექმნილი ხამქაროს მემკვიდრით აღიქვამს გონი89.

XI

17. გუგლდახმით გამოვიკვლიე ეველაფერი, რაც შესუე დაბლა ღვას, უფვალი, და მიხევდი, რომ მასსუე ვერც იმას იტყვი, არსებობს, და ვერც იმას, არ არსებობს: ის არსებობს, რადგანაც შესმიერია, და არ არსებობს, რადგანაც ის არ არის, რაცა ხარ შეს. ჭეშმარიტად არსებობს მხოლოდ ის, რაც უცეკლელია90. ახალი ჩემი სიკეთე ისაა, რომ მიუკახელი დმეროს91, რადგან თუ მასში არ ევგები, მამის ვერც ნეშმი ვიარსებებ. ის კი ათავის თავშია დაჯახებული და გახახლებს ყოველს“. „შენა ხარ ჩემი უფალი, რადგანაც არა გტირდება რა ჩემი“.

XII

18. ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ მხოლოდ სიკეთეს თუ შეიძლება შეეპაროს ხრწნილება93. ეს რომ უხენაეხი სიკეთე იყოს, ან სულაც არ იყოს სიკეთე, ხრწნილება უცხო იქნებოდა მისთვის. უხენაეხი სიკეთე უხრწნილია94, ხელი იმამი, რამაც არაერთარი წილი არ უღევს სიკეთეს, რას უნდა მოელის ხრწნილება?95 ის, რაც იხრწნება, სიანდება; ხრწნილება რომ სიკეთეს არ ამცრობდეს, არც სიანს მიაყენებდა რასმე. ამრიგად, თრში ერთია: ან ხრწნილება არაფერს აქენებს სიანს, რაც შეუძლებელია, ანდა იმას, რაც ხრწნილებას განიცდის, სიკეთე აკლდება, რაც ცხადსუე უცხადესია. ის, რასაც სიკეთის ნახახიც აღარა რნება, ხერთოდ წვევტს არსებობას. მაგრამ თუ ეველაფეც იარსებებს და მიუწვდომელი იქნება ხრწნილებისათვის, უთუოდ უკეთესი გახდება, რადგანაც მოელი თავისი არსებობის მანძილსუე შეიხარწნებს უხრწნილობას. მაგრამ რა შეიძლება იყოს იმის მტკიცებახუე უფრო უცნაური, თითქოს შეიძლება უკეთესი გახდეს ის, რასაც სიკეთის ნატამალიც აღარა რნება? მამსახადამე, რაც მოლიახად გამძარცვულია სიკეთისაგან, ხერთოდ ვერ იარსებებს; ესე იგი, ვიდრე არსებობს, კეთილია, ახე რომ, ყოველივე არსებული კეთილად უნდა მიგეანდეს, ხელი ბორიტებას, რომლის სათავესაც ვეძენდი, სუბსტანციური არსებობა არ გაანხია, რადგანაც სუბსტანცია რომ ყოყილიყო, კეთილი იქნებოდა, ან იმხარი სუბსტანცია, რასთანაც ხელი არა აქვს ხრწნილებას, ესე იგი, სამდვილი სიკეთე, ან კდევე – სუბსტანცია, რომელიც ხრწნილებას ექვემდებარება, რაც შეუძლებელი იქნებოდა, სიკეთეს რომ წილი არ ედოს მასში.

ამრიგად, მე მიხევდი და ჩემთვის სათელი შეიქნა, რომ ეველაფერი, რაც შენ შექმენი, კეთილია, და არ არსებობს სუბსტანცია, შესს

მიერ შექმნილი რომ არ იყოს. ხოლო რაკი ყველაფერი ერთმანეთს არ გაუთანაბრე, ყოველივე არსებული, ცალ-ცალკე, კარგია, ყველა ერთად კი - ძალიან კარგი, რადგანაც წყნმა ღმერთისა ყველაფერი კეთილად შექმნა, და როცა შექმნა, იხილა, რომ „ძალიან კარგი იყო“ 97.

XIII

19. ხოლო შენთვის, უფალო, სულაც არ არსებობს ბოროტება, და არა მარტო შენთვის, არამედ მთელი შენი ქმნილებებისთვისაც, რადგანაც ამ ქმნილების მიღმა არ არის არაფერი, რაც შეიძლება მის წიაღში შემოჭრილიყო და დაერღვია შენს მიერ დადგენილი წესრიგი. ბოროტებად ითვლება ის; რაც ცალკე აღებული არ ეთანხმება და ესადაგება რაღაცას, მაგრამ სხვა რამეს კი შეიძლება ეთანხმებოდეს, და არა მარტო ამდენად, არამედ თავისთავადაც კეთილი იყოს. ყოველივე ის, რაც არ ეთანხმება ერთმანეთს, შეიძლება ამ ქვეყნა სამყაროს ეთანხმებოდეს, რომელსაც დედამიწას ვეწოდებთ წყენ, ღრუბლებით დაფარულსა და ქარების სათარეშოდ ქვეულ სამყაროს. ღმერთმა სუ მათქმევინოს ეს სიტყვები: „უმჯობესი იქნებოდა, ეს ქვეყანა სულაც არ არსებებულიყო!“ მის მეტი რომ არაფერი მცოდნოდა, შეიძლებოდა უკეთესი შენატრა, თუმცა მარტოდენ მისი გულისთვისაც ქებადილებით უნდა ამეკსეფ, რადგანაც დიდების ღირსი რომ ხარ, ერთხმად მოწმობენ „ქვეყნით-ვე“ შაპნი და ყველა უფსკრული, ცეცხლი და სეტყვა, თოვლი, ყინვა და ქარბუქი, შენი სიტყვის მონა-მორჩილნი, მთანი და ყოველი ბორცვი, ყველა კედარი, ყოველი მხეცი და პირუტყვი, ქვეწარმავალნი და ფრთოსანნი, მკვენი ქვეყნისანი და ყოველი ერი, მთავარნი და ქვეყნის ყოველი მსახური, ჭაბუკნი და ქალწულნი, მხცოვანნი და ყრმანი, რომელნიც ადიდებენ შენს სახელს“. და კვლავაც „გადიდებდნენ სუციითაც, გადიდებდნენ „მალალოთა შინა“, ყოველი ანგულოსი შენი, ყოველი ძალი შენი, გადიდებდნენ მზე და მთვარე, ყოველი შუქურვარსკვლაყი, ცანი ცათანი და წყაღისნი, ზესუნელზე უსუნახსნი, დაე, ადიდებდნენ შენს სახელს“ 99. და როცა ყოველივე ეს გონების თვალით წარმოვიდგინე, უკვე აღარა მსურდა უკეთესი. უსუნახსნი, რა თქმა უნდა, უმდაბლესზე უმჯობესია, მაგრამ როცა საღი განსჯით გავსომე და ავწონ-დავწონე ყველაფერი, იმ დასკვნამდე მიუდი, რომ მთელი ქმნილება ერთად უკეთესია, ვიდრე ცალკე აღებული შენა სამყარო 100.

XIV

20. სულის სისაღე აკლია იმას 101, ვისაც რაღაცა არ მოსწონს შენს ქმნილებათა შორის, როგორც მე მაკლდა, როცა ამდენი რამ არ

მიმწონდა 'შენს ქმნილებებში. და რაკი ჩემი სული ვერ ბედავდა ეღი-
არებინა, ჩემი უფალი არ მიმწონსო, ამიტომ არ სურდა 'შესეუღლად
მიქნია ის, რაც არ მოსწონდა102. სწორედ ამან მოიყვანა იმ აზრამდე,
რომ არსებობს ორი სუბსტანცია103, მაგრამ მაინც ვერ პოულობდა
სიმშვიდეს და სხვისი ენით მეტყველებდა. ამ მკვლარი წარმოდგე-
დასვე გამოსმდინარემ 'შექნა თავისთვის ისეთი ღმერთი, ყოველ მხარეს
'კვილებასოდ. რომ განფენიდა სამყაროს 'უხასრულო სივრცე'ში, 'შეს
დაგხახა ამ ღმერთად, 'უფალი, თავის თავში დაუღლო ბინა და ტადრად
ექცა საკუთარ კერძს, რაც ვგზომ საძულეულია 'შენთვის. ხილო როცა
ჩემდა 'შეუცნობლად განკურნე ჩემი სხეული თავი და 'დამისეკე
თვალი, რათა არ ეხილა ამაოება"104, ცოტა არ იყოს, მოვიხვეჩე ჩემივე
თავისაგან და მიიძინა ჩემმა სიშლევემ. მერე 'შენში გავიდვიძე და ვიხ-
ილდე, რომ სულ სხვანაირად ხარ 'უხასრულო, მაგრამ ხორციელი
თვალთ რადი ვიხილე ეს.

XV

21. თვალი მოვაკვალე დანარჩენ ხაგებხაც, და მიეხვდი, რომ 'შენ
'უნდა გიმადლოდნენ არსებობას და 'შენსივე არიან დამკვიდრებულისი,
მაგრამ ისე კი არა, როგორც სივრცე'ში, არამედ სულ სხვანაირად:
ყოვლისმკვირობელს ისე გაჰყრია იხისი 'შენმიერ ჭეშმარიტება'ში, რო-
გორც ხელ'ში, რადგანაც ყოველი არსებული ჭეშმარიტია, რამდენადაც
ის არსებობს, და არა არის რა მისწვენებითი, გარდა იმისა, რაც არსე-
ბულად მოგვანია, თუმცა სინამდვილეში არ არსებობს.

იმასაც მიეხვდი, რომ 'ყველაფერი არა მარტო თავის ადგილს
'შეესაბამება, არამედ დროსაც, და 'შენ, ერთადერთი მარადიული არსი,
იმას რადი დადილეუბიხარ, რომ საუკუნეთა 'უხასრულო წყებას
გაეველო, რათა ქმედებად აღძრულიყავი, რადგანაც ეს გარდასული თუ
მოსაკვალი საუკუნენი არც გავიდოდნენ და არც მოვიდოდნენ, 'შენ რომ
არ მოქმედებდე და არ ეგო 'ეკენითი 'ეკენისამდე105.

XVI

22. როგორც ჩემმა გამოცდილებამ დამარწმუნა, საკვირველი
არა არის რა იმა'ში, რომ პურს, რომელსაც მადიანად 'შექცევდა
ჯანმრთელი კაცი, რის ვიევაგლახით დეჭავს სასამტკიოანი; საოული,
ესოდენ საამო ხადი თვალისთვის, აუტანელია სხეულისათვის. არც
'შენი სიმართლე მოსწონთ ცოდვილთ, მით 'უმეტეს, ქვეწარმავალნი და
ჭიადუანი, რომელნიც 'შენ კეთილად 'შეუქმენ, ქმნილებათა დაბალი
საფეხურის შესაბამისად; ამ საფეხურსვე 'უხასრულებიან თვითონ ცოდ-
ვილნიც, რადგანაც დაქარგეს 'შენი მსგავსება, და მხოლოდ მაშინ

მიღწევებს უფრო მაღალ საფეხურს, როცა ამ დაკარგულ მსგავსებას დაიბრუნებენ. მე ვცდილობდი გამეგო, რა იყო ცოდვილობა, და ვერ მივაღწეე სუბსტანციას: არა, ესაა გაუქმდამართებული ნება, რომელმაც ზურგი აქცია უსუნაგს სუბსტანციას, ასე შენ, დემეტო, რათა უმდაბლესის მიმართ მიტყვეულიყო, თავისი შინაგანი რაობის უარყოფელი და გარე სამყაროში გათქვეფილი.

XVII

23. მიკვრდა, უფალო, რომ უკვე მიყვარდი; დიახ, სწორედ შენ მიყვარდი და არა შენი ღიანდი. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დაემკვიდრებულაიკეი შენში და მთელი არსებით ვერ გამეხარა: უჩვეულო ძალით მისიდავლა შენი მშვენება, მაგრამ შესვანვე განმისიდავლა ნემი ტვიროთ, და მე გმინეთ ვემხოზოდი ძირს. ეს ტვიროთი ხორცის ჩვეულება. თუმცა ყოველივეს მახსოვდი და ეჭვიც აღარ მეპარებოდა იმაში, რომ არსებობს ის, ვისაც უნდა დაეწაფებოდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ შემწვედა ამისი ძალი, რადგანაც „ეს ხრწნადი სხეული ამსიებდა სულს, და ეს მიწიერი კარაგი ტვიროთად აწვა ფიქრით საფხე განებას“¹⁰⁶. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ის, „რაც უხილაგია შენში, - მარადიული ძალა და ღვთაებრიობა შენი, - სამყაროს შექმნიდან შესწავლე ქმნილებეში ცნაურდება“¹⁰⁷. და როცა იმაზე ვფიქრობდი, თუ ვის მომცა იმის უნარი, რომ შემეფასებინა ციურ თუ მიწიერ სხეულთა მშვენიერება, საღად და სწრაფად შემსჯელა ცვალებად საგანთა შესახებ და მეთქვა: ეს ასე უნდა იყოს და არა ისე, - დიახ, როცა იმაზე ვფიქრობდი, თუ ვის მომცა ამნაირი განსჯის უნარი, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნემს ცვალებად აზრზე მადლა დგას უცვლელი, ნამღვილი და მარადიული ჭეშმარიტება.

ასე თანდათანობით გადავიდი სხეულიდან სულზე, რომელიც სხეულის მეშვეობით გრძობს, სულიდან - იმ შინაგან ძალიანე გრძობებით რომ აღიქვამს გარე სამყაროს (ესაა ცხოველური ცნობიერების სღვარი)¹⁰⁸, იქიდან კი - განსჯის უნარზე, რომელიც აქ აღიბებს მსჯელობას იმის შესახებ, რაცაც ხორციელი გრძობებით აღიქვამთ. მაგრამ როცა ეს უნარი შეიცნობს თავის ცვალებადობას, ის თვითშემეცნებამდე მადლდება, ყოველივე ჩვეულს განარიდებს აზრს, ერთმანეთში აღუფხეული ურთიერთსაპირისპირო ფანტასმებთგან თავისუფლდება და ცდილობს გაიგოს, მაინც რა ნათელი მიჟიენა. ხილო როცა ღრმად დარწმუნებული წამოიძახებს, რომ უცვლელი უნდა გვერწიოს ცვალებადს, რომლის მეშვეობითაც ჩასწვდა თვით ამ უცვლელს (რადაცნაირად რომ არ ჩასწვდომოდა, ვერასდიდებით ვერ

შესძლებდა ცელაძეს მძალა დაეყენებინა უცელელი, - მაშინ ანასტაფული ნათელაძის 109 უშუალოდ მიიყენას მასთან, ვინც არის 110, და ვინაც მხოლოდ წამითა ჭვრეტს მოცახცახე მხერა.

სწორედ აქ აღვიქვი „შენი უხილავი არსი, ხილულ ქმნილებათა მეოხებით რომ ცნაურდება“ 111, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევძელი თვალი გამეხსწოვებინა მისთვის. ჩემი უმწეობის გამო უკუგაღებული კვლავ ჩემს ძველ ყოფას მივუბრუნდი, ხილი წამით ხილულისაგან აღდარაფერი შემრნა, გარდა ხანუკვარი მოგონებისა; რაღა ამაირი მოგონება და რაღა ხანუკვარი კერძის ხურხელი, კერძისა, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ვერ შევძელი გემო გამეხსინჯა.

XVIII

24. მე ვეძებდი გზას, რომელიც ძალას მომაკრებინებდა, რათა შენით დაემტკებარიყავი, მაგრამ ვერხად ვიპოვე იგი, ვიდრე არ ჩავიქტიდე „შუამდგომელს დამერთსა და კაცთა შორის, კაცს იესო ქრისტეს“ 112, რომელიც არის „დამერთი, ეველაზე ამადიდებული, კუთრხეული უკუნისამდე“ 113, ვინც გვიხმობს და გვეუბნება: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ 114; ის სახრდოც, რომლის საგემებლადაც ძალა არ მქყო, და რომელიც ხორცს შეუერთა უფადმა, რადგანაც „სიტყვა ხორცად იქცა“ 115, რათა შენი სიბრძნე, რომლითაც შეაქმნე ყოველი, ჩვენი სიყრმის რძედ ქცეულიყო.

მე, თვითონ თვინიერებისგან განძარცვეულს, არ შემიძლიო მეღიარებინა თვინიერი იესო, უფალი ჩემი, და არ მესმოდა, რას გვახსავლას მისი თვინიერება. რადგანაც შენი სიტყვა, მარადიული ჭეშმარიტება, უხენაესი შენს უკეთეს ქმნილებათა შორის, თავის უსუნაეს არსამდე ამადიდებს მორჩილთა და თვინიერთ 116, მაშინ როდესაც ქმნილების უმდაბლეს საფეხურზე ჩვენი ტაღახისაგან აიგო თავისი მდაბალი სადგომი, რათა საკუთარი თავისაგან განეშორებინა ისინი, ვინც უნდა დაემორჩილებინა და თავისკენ გადაებრებინა იმ მიზნით, რომ ქედმაღლობისაგან განეკურნა და სიყვარული შთაესერგა მათთვის. მას ხურდა მსებაბართათვის ხელი შეეშალა იმაში, რომ უფრო შორს შეეტოვათ თავიანთი თვითრწმენით, რათა უკეთ ეგრძნოთ საკუთარი უმწეობა, როცა თავიანთ ფერხით იხილავდნენ დვთაებას, დაუძლურებულს იმის შედეგად, რომ შეიმოსა ჩვენი ხორციელი გარსი, - და დაღლილ-დაქანცულნი მის წინაშე დამხობილიყვნენ, რათა თავისი აღდგომით აღედგინა ისინი.

25. მე კი სხვაგვარად ვფიქრობდი და ქრისტე, ჩემი უფალი, მხოლოდ უჩვეულო ბრძენკაცად მიმაჩნდა, რომელსაც ვერაფერს შეეძრებოდა, მით უმეტეს, რომ სასწაულებრივად იშვა ქალწულისაგან, რათა ნიშნად ყოფილიყო იმისა, თუ როგორ შეიძლება უგულვებელყო წარმავალი სიკეთე უკვდავების გულისთვის. მე შეგონა, რომ ჩვენს მიმართ სწორედ ამ ღვთაებრივი სრულების წყალობით შეიძინა მისმა მოძღვრებამ ესოდენ დიდი მნიშვნელობა. მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა იმაზე, თუ რა საიდუმლოს იმარხავენ სიტყვები: „და სიტყვა ხორცად იქცა“¹¹⁷. იმ წიგნებიდან, რომლებშიაც მისი ცხოვრება იყო აღწერილი, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ქრისტე ჩვენსავით ჭამდა, სვამდა, ეძინა, დადიოდა, ხარობდა, წუხდა, საუბრობდა; ვიცოდი ისიც, რომ ეს სხეული ვერ შეერწყმოდა შენს სიტყვას ადამიანური სულისა და გონების გარეშე. ეს იცოდა ყველამ, ვისთვისაც ცნობილი იყო შენი სიტყვის უცვლელობა, და, შეძლებისდაგვარად, ვიცოდი მეც; ამ მხრივ, არავითარი ეჭვი არ მეპარებოდა. და მართლაც, საკუთარი ნება-სურვილით ამოძრავებდე სხეულის ასაობს, ან სულაც არ ამოძრავებდე მათ, განიცდიდე ან არ განიცდიდე რაიმეს, სიტყვებით გადმოსცემდე გონიერულ აზრს ან მდუმარედ იყო, - ყოველივე ეს ცვალებადი სულისა და გონების ნიშან-თვისებებია. თუკი ამ თვისებებს სემთაღნიშნული წიგნები მცდარად მიაწერენ მას, მაშინ ყველა დანარჩენ წიგნსაც ეჭვის თვალთ უნდა შეეხედოთ, ასე რომ, მათში აღარ დარჩება აღარაფერი, რასაც შეეძლო რწმენით ეხსნა და გადაერჩინა კაცთა მოდგმა. მაგრამ რაკი ის, რაც მასზე დაწერილა, სრული სიმართლეა, მეც სრულ კაცად მიმაჩნდა ქრისტე, რომელსაც არა მარტო კაცის სხეული მქონდა, ანდა სხეულთან ერთად - სულიც, გონების გარეშე, არამედ ნამდვილ კაცად, და არა ხორცშესხმული ჭეშმარიტებად. ამიტომაც, ჩემის აზრით, ის უნდა დაგვეყენებინა ყველა ადამიანზე მაღლა, რადგანაც მისი კაცური ბუნება განუსომლად აღემატებოდა ყოველი კაცის ბუნებას, და სიბრძნესაც ყველაზე სრულად იყო ნაზიარები¹¹⁸.

აღიპიუსი კი ფიქრობდა, რომ კათალიკური სარწმუნოების თანახმად, ღმერთმა თვითონ შეისხა ხორცი, ასე რომ, ქრისტე სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთი და ხორცი, რომელსაც კაცის სული უდგას და გონებას ვერ მივაწეროთ. რაკილა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქრისტეს საქმენი, რომელთა ხსონაც შემოგვინახა საღმრთო წერილმა, შეიძლებოდა აღესრულებინა მხოლოდ სიცოცხლითა და გონიერებით მოსილ ქმნილებას, ამიტომ ზანტად და ზოზონით უახლოვდებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. მაგრამ შემდეგ, როცა შეიცნო

მოელი ცთომილება აპოლინარიუსის მიმდევართა ამ მწვალებლობისაჲს, ეკლესიის წიაღს შეუერთდა და სიხარულით აღიარა ჭეშმარიტი სარწმუნოება.

მე კი, მართალი გითხრათ, ცოტა უფრო გვიან მივხედი, თუ როგორ ეძიებდა კათოლიკური ჭეშმარიტება სიტყვებით - „და სიტყვა ხორცად იქცა“120, - ფოტინუსის სიცრუეს121. მწვალებელთა გამობა და უარყოფა კიდევ უფრო მეტ ნათელს აჟვეს შენი ეკლესიის ჭეშმარიტ აზრსა და მისი წმინდა მოძღვრების მთელ შინაარსს, „რადგან მწვალებლობაც საჭიროა, რათა გამოსცდიდნენ გამოსინდნენ“122 უძღუერთა შორის.

XX

26. პლატინიკოსთა თხზულებების კითხვამ აღმიძრა აზრი უსხეულმყოფელი ჭეშმარიტება მეძია: მე თვალი ვკიდევ „უხილავეს შენსას, ქმნილის მეოხებით რომ ცნაურდება“123, და ამ უხილავისაგან უკუგდებულმა ვიგრძენი, რომ ჩემი ხელიერი სიბნელის გამო არ შემეძლო მისი ჭვრეტა. დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ არსებობ და უსასრულო ხარ, მაგრამ სასრულ ან უსასრულო სამყაროში როდი ხარ განფენილი; რომ ჭეშმარიტად ისა ხარ, ვინც მარად ერთი და იგივეა, ყოველად უცვლელი, ვისი შეცვლაც არაფერს ძალეკს. ყველაფერი შენგან იღებს დასაბამს, რისი ერთადერთი და სარწმუნო საბუთიც ისაა, რომ ყველაფერი არსებობს. დარწმუნებული ვიყავი ამაში, მაგრამ საიმისო ძალა კი არ შემეწვედა, რომ შენით მეცოცხლა.

ისე ვებედობდი, თითქოს დიდი მცოდნე ვყოფილიყავი, მაგრამ „ქრისტეში, ჩვენს მაცხოვარში“124, რომ არ მეძია გზა ხსნისა, მცოდნე კი არა დასადუჰად განწირული ვიქნებოდი. დიდი სურვილი მქონდა, ნამდვილი ბრძენი ვგანებოდი ხალხს, - ეს იყო ჩემი შეჩვენების მთელი სისრულე, - და კი არ დაეტიროდი ჩემს შეცოდებებს, არამედ თავიც კი მომქონდა ცოდნით. სად იყო ის სიყვარული, სიმდაბლის საძირკველს რომ ვეფუძებოდა125, ესე იგი, იესო ქრისტეს?126 მასწავლეს კია ეს სიყვარული ჩემს მიერ წაკითხულმა წიგნებმა? მე მწამს, რომ სწორედ შენ ინებე, უმაღლესი ჩამყარდნოდნენ ხელში, ვიდრე შენს წმინდა წერილს გავეცნობოდი, რათა ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილიყო მათგან მიღებული შთაბეჭდილება, ხოლო შემდეგ, როცა შენი წმინდა წიგნები მონადირებდნენ ჩემს გულს და შენი მოწველე თითებით განკურნავდი ჩემს წულულებს, თვალნათლივ დამენახა, რა დიდი ზღვარი ძევს თვითგანდიდებასა და თვინიერებას შორის, ან რა განახსენავებს ერთმანეთისაგან იმას, ვინც ხედავს ჭეშმარიტ გზას და მის

ვერსხედველს; გზას, რომელსაც წყნის კერძოებულ სამშობლოში მიჰყავართ, რათა არა მარტო ვიხილოთ, დავიმკვიდროთ კიდევაც იგი.

სემს აღზრდას იმთავითვე შენი ხადმითო წერილი რომ სდებოდა საფუძვლად, იმთავითვე რომ შემეტკბე მისი მეშვეობით, და მხოლოდ შემდეგ გადაეუროდი პლატონიკოსთა თხზულებებს, იქნებ მათ კიდევ შეერეათ სემი დეონისობაობის მეარი საფუძველი, ანდა, თუ შეკვლადი შემენარჩუნებინა სულის ის ნათელი განწყობილება, რომლის კეთილისმოყოფელ გავლენასაც მთელი სემი არსება მოეცვა, ვის იცის, იქნებ ისიც შეეცქრა, რომ ამ წიგნებს შეიძლებოდა არაბაკლები ხარგებლობა მოეტანა წყნისთვის, მათ გარდა არაფერიც რომ არ გვესწავლა¹²⁷.

XXI

27. ამრიგად, მე ხარბად დავეწაფე ამ სათაყვანებელ წიგნებს, რომლებიც შენი სულითაა ნაკარნახევი, ეწინარეს ყოვლისა კი - პავლე მოციქულის ეპისტოლეებს. და გაქრა ყველა გაუგებრობა¹²⁸, რაც მაცბუნებდა მათი კითხვისას, რიცა მეგონა, თითქოს მოციქული თავის თავს ეწინააღმდეგებოდა და არც სჯულსა და წინასწარმეტყველთ ეთანხმებოდა თავისი ქადაგებით: სემთვის ნათელი შეიქნა ამ წმიდა გამოსათქვამთა ერთობა და ისიც ვისწავლე. თუ როგორ უნდა „ემსახურებდეთ უფალს შიშით და ეუფალაბდეთ ძრწოლით“¹²⁹. მე დავიწეე კითხვა და დაერწმუნდი, რომ ყოველივე ჭეშმარიტი, რაც ფილოსოფოსთა წიგნებში ამომეკითხა, შენს წმიდა წერილშიცაა ნათქვამი შენივე მადლის მეოხებით¹³⁰, რათა არავინ იქაღიღეს, თითქოს შენგან არ მიელას არა მარტო ის, რასაც ხედავს, არამედ თვით ხედვის უნარიც (თუცა რა აქვს კაცს ისეთი, რაც შენგან არ მოუღია?)¹³¹ და შეიგნოს, რომ არა მარტო გიხილაგს შენ, რომელიც მარად ერთი და იგივე ხარ, არამედ კიდევ განიკურნება, რათა შენგან განსურელი იყოს. ხალხ ვისაც შორიდან შენი ხილვა არ შეუქვლია, დაე, ისიც შენსკენ მომავალ გზას დაადგეს, რათა მოგეახლოს, გიხილოს და სამუდამოდ შენთან დარჩეს. რადგან თუ ვინმე „მისიგანი კაცისამებრ, მხოლოდ დმროთის სჯულით ტკებთა“¹³², მამის რაღას უსამს სხვა სჯულს, „რომელიც უერნება მისი გონების სჯულს, და იმ ცოდვილი სჯულის ტყვედ აქცევს, რომელიც არის მის ასოებში“¹³³. რადგანაც „მართალი ხარ“¹³⁴, უფალო, წვენი კი „ვეცოდეთ და უსამართლობას ვიქმოდით“¹³⁵, უკეთური იყო წვენი გზა და „დამძიდა შენი ხელი წვენსე“¹³⁶; სამართლიანად ჩაგვეარე ძველი ცოდვილის, სიკვდილის მთაფრის¹³⁷ ხელში, რადგანაც მან დაარწმუნა წვენი ნება მის ნებას დამსგავსებოდა, რომელიც „ვერ დამკვიდრდა ჭეშმარიტე-


ბაშო¹³⁸. რა უნდა ქნას „ბედკრულმა კაცმა? ეის დაიხსნის სიკვდილის ამ ხეუელისაგან“¹³⁹, თუ არა „შენი მადლი, თუი ქრისტეს, უფლის წყების მეოხებით, რომელიც; დაძაღუე „ქწისარეს ყოველი ხაჯკებისა“ და „შენი ყოველი გზის დახაზამისა“¹⁴⁰ და რომელმაც; „ამა ქვეყნის მოაგარმა“¹⁴¹ ვერა აპოვა რა სიკვდილის დინი¹⁴², თქმცაღა მათც; მოაკვდისა თგი; და, ამრიგად, „წარხოცა წყნს გამო „შეოსხუელი ხელწერილი, რომელიც; თუი წყნს წინააღმდეგ“¹⁴³.

აი, ეს არ თუი ყილისხოფითა წიგნებში; ვერხად ნახუით მათ ფურცლებზე ამ ღუთსინოსადის სახეს, ცრემლებს ავსარებისას, „მხედამი „შეოსწირულ მსხვერპლს – ხელს შემსუხვრიდის, გულის „შეურვებელს და დამდაბლებელს“¹⁴⁴. ერთი ხიგყითაც არ თუი ნახსენები ხელის ხსნა, არც „ქაღაქი ხახიღოსხოეთ „შქქკელი“¹⁴⁵, არც „წინდი ხელი წმიდისა“¹⁴⁶, არც წყნი გამოიმხსნელი და გამოიმხყოფელი ხსნისი. არაეის უგადობს იქ უგადს: „მხოლოდ ღუთსადამი მღუქმარება წყნი ხელისა, მხოლოდ მისგანაა წყნი ხსნა, რადგანაც თგია წყნი ღმერთი და მაცხოვარი, ხაყრღენი წყნი: ადარ „შეიორევეი ამიერდან“¹⁴⁷. არაეის უსმებს იქ მხმობელს: „მოდით წყნისა მამერღისი და ტერთიმისქინა“¹⁴⁸. თინი ხიხდით აქცვექს „ხურგს მის ხწაყლას, ვინც; „მშვიდით და გუღით მდაბალი“¹⁴⁹, რადგანაც; „ბრძენითა და გიხიერთ დაუფარე ეს და გავცხადე წყით ბადლებს“¹⁵⁰.

ერთათ – ტყით დაბურული მთის თხვიმდანი ხელაყე მშვიდობის სამკვიდრებელს, მდგრამ ვერ პოულობდე მისქენ მამკვალ გზას და ამოდ ცდილობდე, უგზო-უკვლოდ მოხეტიადე, თაგი დაადწით ათასნარი ხაყროხეს თუ მახეს, ღტოლეულ მოღალატეებს რომ დაუგით ღმისი და დრაკისის წინამძღოლობით¹⁵¹; და ხელ სხვა – მისქეს მამკვალ გზას ადგა, ხეცოური მოაერის „ხრენითა და მყარეველობით გარემოხითი; იქ, ხადაც არ ავსაკობენ „ხეცოური მხედრობის მოღალატეი, რომელნიც; თხე გაურბიან ამ ცოურ დაშქარს, როგორც; ხამონელ ტანჯკა-წამებბს.

ეს ახრები ხანწაულებრივად იღამდენ ფეხეს წყმში, როცა ეკოხულობდი „უქცირეხს „შენს მოცოქელათა „მორის“¹⁵²; „შენს ხამოქმედარს ეტერეტი და „შეკძრწენდი.





I

1. ღმერთო ჩემო, მინდა გავიხსენო შენი გულმოწყალება, ჩემსეუ სუტით გადმოვლენილი, გავიხსენო და მადლი მოგაგო. დაე, აღივსოს შენდამი სიყვარულით „ყოველი ძეგლი ჩემი“; დაე, შეგდავადოს: „ყოველი, ვინ არის შენი მსგავსი? შენ შემტყნრე ჩემი საკრული; შენ შემოგწირავ მსხვერპლს ქებისას“². ვიტყვი, თუ ვით შემტყნრე ჩემი საკრული, რათა ეველამ, ვინც თაყვანს გცემს, წამოიძახოს: „კურთხეულია უფალი ცაშიაც და მიწაზედაც; დიდია და საკვირველი მისი სახელი“³.

ჩემი გულის სიღრმეში ცოცხლობდნენ შენი სიტყვები; ტყვედ გყავდი მე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მარადისია შენი სიცოცხლე, მაგრამ ეს მარადისობა გამოცანად რჩებოდა ჩემთვის, რადგან „პირისპირ“ კი არ ვხედავდი, არამედ თითქოს „სარკით და სახით“⁴. იოტის ოდენა ეჭვიც აღარა მქონდა შენი უხრწნელი არსისა და მის თაობაზე, რომ ის იყო ყოველი არსის წყარო. ის კი არ მინდოდა, რომ უფრო მეტი მცოდნოდა შენზე, არამედ – ის, რომ უფრო მეტიც ვეღვირებულეყავი შენშინ. ჩემს წარმავალ ცხოვრებაში არაყერი არ იყო მყარი და აუცილებლად უნდა გამეწმინდა გული ძველი დერიტისგან. მე მომწონდა გ'სა – თვით მაცხოვარი⁵, მაგრამ მიძიმდა ამ ვიწრო გ'ით სიარულიმ. და შენ ჩამაგონე სიმპლიციანუსისთვის⁶ მიმემართა, რაც, ჩემი აზრით, მართლაც კეთილი რჩევა იყო, რადგანაც სიმპლიციანუსი შენს ერთგულ მსახურად მიმანსდა, ვის სულშიაც ნათლის სვეტად ჩამდგარიყო შენი მადლი. გაგონილი მქონდა, რომ სიტაბუკიდანვე მოწიწებით გამსახურებდა. იმხანად უკვე მცოვანი იყო და, ჩემი აზრით, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიაც განუხრელად მისდევდა შენს გ'სას, ბევრი რამ უნდა განეცადა და შეეცნო კიდევ. არც შეემცდიარვარ. მე მინდოდა გამეხდო მისთვის ჩემი მუდმივი მშფოთვარების ამბავი: იქნებ ერნია, როგორ მოექცეულიყავი ჩემს იმჟამინდელ მდგომარეობაში, რათა შენს გ'სას დაედგომოდი⁸.

2. მე ვხედავდი, რომ შენი ეკლესია სავსეა, მაგრამ ზოგს ერთი გ'სა აერნია, ზოგს კი მეორე⁹. ჩემთვის უკვე აუტანელი იყო ჩემი საერო ცხოვრება, მიძიმე ტვირთად რომ მავნა მხრებზე. უწინდებურად აღარა მწვევდა სიმდიდრისა და პატივის მოხვეჭის დაუოკებელი სურვილი, რომელიც მაიძულებდა გამეძლო ესოდენ მიძიმე უღლისათვის. ყოველივე ეს აღარც მახარებდა და აღარც მატკობდა, რადგანაც

„შევიყვარე მშვენიერა შენი სახლისა“12. მაგრამ ჯერ კიდევ მაცოფრებული ქალის ტყვეობაში ვიყავი; მოციქული არ მიკრძალავდა ქორწინებას, თუმცა კი გვირსევდა უკეთესი ხეყვდრი გვერსიდა. რადგანაც კველასზე მეტად ის სურდა, რომ ყველანი „მისხაირნი ვყოფილიყავით“13. მე უმწურომ უყრო საამო რამ ვირსიე. სწორედ ეს იყო ერთადერთი მიხეხი იმისა, რომ დანარჩენშიდაც მორსილად მივეყვებოდი დინებას. ათახგვარი ხაზრქნავისაგან თანდათანობით ვიღუოდი და ვტკნებოდი, რადგანაც ცოლქმრული ცხოვრების უღელი, რომელში შებმასაც ვაბრებდი, მაიძულებდა ამეტანა თუით ისიც კი, რისი ატანაც უკვე აღარა მსურდა.

ტეშმარტების ბაგუთაგან მსმენოდა: „არიან სატყერისნი, რომელთაც თავად დაისატყერისეს თავი ცათა სასუყველის გულისთუის“14; და „ვისაც წვდამის თაყი აქეს, ჩასწვდეს“15. „ამათა ღმერთის უმეცარი ყოყელი კაცი, რომელმაც ხიღულ სიკუთუთა მიხედვით ვერ შესიძლო შეცნობა მისი, ვინც არის“16. მე უკვე დაუძლიე ეს ამაოება და აუმაღლდი მასზე: ყოყელი ქმნილება თუაღსათლიე მიმოწმებდა შენს არსებობას17, და მე გიპოვე შენ, ჩვენი შემოქმედი და შეხი სიტყვა, შენში და შენთან მყოფი18, ერთი ღმერთი, ვისი მეშვეობითაც შექქენს ყოყელი19.

თუმცა არიან სხვა ჯურის მკერხელნიც, რომელთაც „შეიცნეს ღმერთი, მაგრამ არ აღიდეს იგი, როგორც ღმერთი, და არც მადლი შესწირეს მას“20. სწორედ მათ შორის აღმოქმნიდი, მაგრამ „შენმა მარჯვენამ აღმიტაცა“21 და იქ დამადგინა, სადაც შემეძლო განმეკერნა თავი, რადგანაც შენ უთხარი კაცს: „ღვთისმოსაობაა სიბრძნე“22, და „ბრძენად ნუ იტყვი თავს“23, რადგანაც ვისაც „ბრძენაკაცებად მოქქონდათ თავი, შლეგებად იქცნენ“24. მე უკვე ნაპოვნი მქონდა ძირყვასი მარგალიტი, რომლის შესაძნადაც უნდა „გამეყიდა ყველაფერი, რაც მებადა, და შეყიდა იგი“25, მაგრამ ჯერ კიდევ ვყოყმანობდი.

II

3. ამრიგად, მე გავემგზავრე სიმპლიციანუსთან, რომელიც შენი მადლის მეოხებით ეპისკოპოს ამბროსის სულიერი მამა იყო, და ამბროსისადაც ტეშმარტად მამასავით უყვარდა იგი. ვუამბე ჩემი უთაებოლო ბორიალი ცთომილების გსით და ისიც ვახსენე, პლატონიკოსთა თხზულებები წამიკითხავს-მეთქი, ლათინურად რომ უთარგმნა ვიქტორინუსს26, რომელიც ოდესდაც მტკვერმეტყველების მასწავლებელი იყო რომში და, როგორც გავიგე, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული აღესრულა. სიმპლიციანუსმა მომილოცა და მითხრა, ბუდი შენი, რომ სხვა ფილოსოფოსთა წიგნები არ ჩავიფარდა ხელშიო; წიგნები, რომლებიც ხაგსენი არიან სიცრუითა და საცოყრით

„ქვეყნის საწყისთამებრ“²⁷. პლატონიკოსთა თხზულებებში კი, მართალია, სულ სხვადასხვა სახით, მაგრამ გამუდმებით შეიძლება 'სიარებლი დმურთსა და მის სიტყვას. მერე, როცა შემავლინებდა ქელი მომედრიკა ქრისტეს წინაშე, რაც „დაფარულია ბრძენთათვის და გაცხადებული - სვილთათვის“²⁸, სიმპლიციანუსმა გაიხსენა თვით ვიქტორინუსი, რომელსაც, მისი რომში ყოფნის დროს, ძალიან კარგად იცნობდა. დუმილით ვერ აუკული გვერდს მის ნაამბობს, რადგანაც ხმამაღლა უნდა ვაქებდეთ და ვადიდებდეთ შენს მოწვევლებას. სიმპლიციანუსის მოწმობით, ეს თუო ნამდვილი მხცოვანი ბრძენი, ღრმად განსწავლული თავისუფალ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში, ურიცხვი ფილოსოფიური თხზულების მკითხველი და განსმარტებელი, მრავალი სახელგანთქმული სენატორის მოძღვარი, კითხვისაც საგანსნათლებლო სარბიელზე ეხოდენ სახახელი მოღვაწეობის გამო ძეგლიც კი დაუღათ ფორუმზე²⁹, რასაც ამ ქვეყნის მოქალაქენი ყველაზე დიდ პატივად თვლიან; და სწორედ ეს ვიქტორინუსი სიბერემდე თავკანსა სცემდა კერპებს და ღვთისმგმიობლურ მისტერიებში მონაწილეობდა, თუმცა ასევე იქცეოდა რომის მოთელი მამისდელი არისტოკრატია, რომელიც ხალხს თავს ახევედა ოსირისის კულტს³⁰; გამარჯვებული რომი თავკანს სცემდა მის მიერ ძღუელთა დმურთებს:

„ათასგვარ ურსხულს, თვით ანებისს, ძაღლივით მიკეყარს,

მათ, ვინც ოდესღაც თავხდურად უტევედა შეებით

სეპტუნს, ვენერას და დიდ მინერვას“³¹.

ყოველივე ამას ამდენი ხნის მანძილზე მგრგვინავი სიტყვით იცავდა მხცოვანი ვიქტორინუსი; და მაინც, მან არ თაკილა ქრისტეს მონა გამხდარიყო, ერმა შენი ცხოველმყოფელი წყაროსი³², რადგანაც თვინიერების უღელი დაიღვა ქელსე³³ და „სირცხვილით მოხილი“ ჯვრის წინაშე დადრიკა შეუბლი.

4. უფალი, უფალი, რომელმაც „მოდრიკე ცანი და გადმოილი, შეეხე მთებს და აკეამდნეს“³³, რანაირად შემოაღწიე სემს გულში?

სიმპლიციანუსის სიტყვებით, ვიქტორინუსი საღმრთო წერიდს კითხულობდა თურმე, ხარბად ეძებდა ქრისტეანულ წიგნებს, გულმოდგინედ იკვლევდა მათ და აშკარად კი არა, მალეულად, როგორც გულითად მეგობარს, ეუბნებოდა სიმპლიციანუსს, მე უკვე ქრისტეანი ვარო; ის კი მოუგებდა; ვერ ვირწმუნებ მაგას, და ვერც ქრისტეანებს მიგათვლი, ვიდრე ქრისტეს ედღესიაში არ გიხილავო. ვიქტორინუსი იცინოდა: „მაშ, კაცს კედლები აქცევენ ქრისტეანად?“ დაუინებით იმერებდა, ქრისტეანი ვარო, სიმპლიციანუსი კი იმავე სიტყვებით პასუხობდა, რასაც მოსდევდა ვიქტორინუსის დამცინავი შენიშვნა კედლების თაობაზე, ქრისტეანად რომ აქცევენ კაცს. თავისი მეგობრე-

ბის შეურაცხყოფას უყვრთხიდა, დემოსთა ამ ქედმაღალი მსახურე-
ბისას, რადგანაც ეგონა, რომ თხისი თავიანთი ბაბილონური დიდების³⁵
სიმაღლიდან, როგორც ღიბანურ კვლართა კენწვრილანი, რომელნიც
ჯერ კიდევ არ შეეშებრა უკვალს³⁶, - თავიანთ ხიბუღვილს
დაატეხინენ თავსე. მაგრამ კვლავაც ეწაფებოდა ქრისტიანულ წიგნებს
და ისე ხარბად ისრუტავდა წაკითხულს, რომ ურუგვი ხმტკიცით განი-
ხტვებდა, რადგანაც ეძიებდა, ვითრე ქრისტემ უარმყოხი „წმიდა ანგე-
ლოსთა წინაშე“³⁷, თუკი თვითონ გამბედაობა არ ეყოფოდა „აქცთა
წინაშე უღიარებისა თგ“³⁸. ნამდვილ დამსაძავედ მიანხლა თავი, რაკიღა
რცხვეხიდა ერთგულება შეეყვიცა შენი ხიტვეხისთვის, რომელმაც
წყენდა სახსნელად დაიმდაბლა თავი, მასის რადეხაც ყოველგვარი
ხირცხვილის გარეშე მკრეხელურად მსახურებდა მსუვაობარ დემოსებს
და, ამრიგად, თვითონაც მათხვეით მსუვაობარი ხდებოდა. ბოლოს, ისე
შერცხვა მოული ამ ამბუებისა, ისეთსიარად არცხვისა ტეშმარიტებამ,
რომ თურმე სრულიად მოუღოსინელად გარეცხადა სიმპლიციანებს:
წავიღეთ ეკლესიაში, ქრისტიანი მინა გაეხდეთ. სიხარულით
ფრთაშეხსილული სიმპლიციანეხიც დაეყოვნებლივ გაპოლთა მას.
რაკიღა რწმენის პირველსაწყისთ ესიარა, მალე ისიც ისურვა, რომ
ხელახლა მობილიყო ნათლისღებით³⁹. რომი განცვიფრებული იყო,
ეკლესია შეიმობდა. მსუვაობარნი ხელაფდენ ამას და დრტვისავდენ,
ქბილებს აღრჭიადლებდენ და ბოღმით დნებოდენ⁴⁰; ხილო შესს მონას
უყვალი დმერთი ეგულუბოდა „ხახიებად და არას დაგიღვედამ კა-
ხიერთა და ხიცრუის ტრფიადთ“⁴¹.

5. ბოლოს სარწმუნების აღსარების ეამძაც მთაწთა. ეველას,
ვინც ნათლისღების მდღეს უნდა სიარებოდა, ბექობზე შემდგარს
მოული ქრისტიანული რომის წინაშე საჯაროდ უნდა წარმოეთქვა
სუხტე ხიტვეებით წამოყალიბებელი და დასუხირებელი ფონძელა -
რწმენის სიმბოლო⁴². სიმპლიციანეხის გადმოცემით,
მღვდელთმსახურებს ვიქტორისეხისათვის შეუთავაზუბით საჯაროდ კი
არა, ფარულად წარმოეთქვა თგი (მეველებრივ, ამას სთავაზობდენ იმ
ხდღეს, ვინც შეიძლებოდა შემკროთლიყო და მოშს აეტანა), მაგრამ
ვიქტორისეხმა არნია საჯაროდ განეცხადებინა მორწმუნეთა ბრბოის
წინაშე, სულის ხხის გზას უნდა დაეადგეთ. განა ხხნა ერქვა იმას,
რახაც ის ასწავლიდა რიტორთა სკოლაში? მაგრამ მდღელად როდი
ასწავლიდა ვინც თამამად ქდაგებდა თავის მრწამსს უგუნურთა
ბრბოის წინაშე⁴³, რატომ უნდა შეეკროთ იმას, რომ შენი ხიტვები
ექდადა შენივე თვინიერი სამწყესხათვის? და როცა ბექობზე შედგა
აღსარების წარმოსათქმელად, ნაცნობთა ბრბოის ხილხვეით დაქარა
აღტაცების წყმს წურწულამ. ცნობით კი ვინდა არ იცნობდა სიხარუ-

ლით ფრთაშესხმულ ხალხში ყველას პირზე ეკერა მისი სახელი: „ვიქტორინუს! ვიქტორინუს!“ მის გამოჩენას აღტაცების ეიუნიით შეეგება ბრბო, შემდეგ კი სამარისებურმა სისრემემ დაისადგურა: ყველას სურდა მოესმინა მისი სიტყვები. ვიქტორინუსმა განსაცვიფრებელი სიმტკიცით აღიარა ჭეშმარიტი სარწმუნოება. ბრბოს სურდა გულში ჩაეკრა იგი; მისკენ გაწვდილი ხელები ყველასე უკეთ გამოხატავდა ხალხის სიყვარულს და სიხარულს.

III

6. ღმერთო დიდებულო, რატომაა, რომ უფრო მეტად უხარიათ სასომიხდილი და საზარელი განსაცდლისაგან თავდაღწეული სულის ხსნა, ვიდრე იმისა, ვისგანაც მარად განუყრელი იყო სასიოება და არც საზარელი განსაცდელი დამუქრებია ოდესმე? აკი შენც, მოწყალეო მამე ჩვენო, უფრო მეტად შეუხარი „ერთ მონასულ ცოდვილს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტ მართალს, რომელთაც არ სჭირდებათ სინანული“⁴⁴. და ჩვენც დიდი სიამოვნებით ვისმენთ, რა სიხარულით მოიგდო მწკეისმა მხრებზე თავისი დაკარგული ცხვარი, ან როგორ ხარობდნენ მესობლები, როდესაც ქალმა შესს საგანძურს დაუბრუნა მის მიერ ნაპოენი დრაქმა⁴⁵. და როცა „შენს სახლში“⁴⁶ კითხულობენ უმრწემესი ძის ამბავს, სიხარულის ცრემლები გვიდის თვალებიდან, რადგანაც იგი „იკედარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“⁴⁷. დიახ, შენ ხარობ ჩვენში და შენს ანგელოსთა შორის, რომელნიც კუროხეულნი არიან შენი წმიდა სიყვარულით. შენ ხომ მარად უცვლელი ხარ და უკუნითი უკუნისამდე უცვლელადვე შეიცნობ ყოველივე იმას, რაც ცვალებადია და წარმაჯალი⁴⁸.

7. რატომ უხარია სულს უფრო მეტად დაკარგული ნივთის პოვნა, რომელიც მას უყვარდა, ვიდრე მისი მუდმივი ფლობა? ვინ მოსთვლის, რამდენი მაგალითი გვიმოწმებს ამას, რამდენი რამ გვიდასტურებს, რომ ეს ასეა. გამარჯვებული იმპერატორი ტრიუმფსა⁴⁹ მართავს. რომ არ ებრძოლა, ვერ გაიმარჯვებდა, და რაც უფრო დიდი განსაცდელი ემუქრებოდა ბრძოლის ველზე, მით უფრო საამოა ტრიუმფი. გრიგალი თავის ნებაზე ათამაშებს მეზღვაურებს და ზღვაში დანთქმას უქადის ხომალდს; შიშისაგან ფერმიხდილნი გულის კანკალით ელიან სიკვდილს, მაგრამ ანახდეულად ცხრება ქარი, მშვიდდება ზღვა და ხალხი ცას ეწვეა სიხარულით, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო საზარელი იყო შიში. თქვენი ახლობელი ავადაა; მისი მჯიხცემს სასიკეთოს არას გიქადით; ჭირისუფლებს ისე მწარედ უკანქნის გული, რომ თვითონაც სნეულსა ჰგვანან; მაგრამ, აი, ავადმიყოფმა მოიკეთა და სააქოსაკენ იბრუნა პირი, თუმცა ჯერ კიდევ არ შეუძლია

სიარული; მიუხედავად ამისა, ყველა გუელშემატკივარს უფრო დიდი სიხარული ეუფლება, ვიდრე ხარობდნენ მაშინ, როცა ის არხეიხად დასეირნობდა, ჯანმრთელი და საღსალამათი. თუმცა მარტოოდენ ანახდეული და ჩვენდა უნებურად თავს დატეხილი უბედურებანი როდი გვაგრძნობინებენ, რაოდენ საამიოა ამქვეყნიური სიკეთით ტკობა: ხალხი სოგჯერ განსრახ იკლებს სიამოვნებას, რათა ამ გზით უკუო შეიტკობს, რაც საამიოა. რა სიამოვნებას მოგვანიტებს სასმელსაჲმელი, თუკი არც შიმშილით აგვწვია კუჭი და არც წყურვილი განგვიცდია? ღოთობი ხარბად შეექცევიან მღაშე შეჭამადს, რათა უფრო მეტად მოსწყურდეთ და შემდეგ ღვინის სმით დაიცხრონ წყურვილი. დანიშნულ სასძლოსაც მაშინვე როდი გაატანენ საქმროს, რადგანაც მას უბადრუკ ძღვნად მოეხვენება თავისი სატრფო, თუკი მასზე მეოცნებეს დიდხანს არ უოხრია და არც თოთრად უთუხებია ღამეები.

8. იგივე ითქმის ბილწხა თუ ამაზრზხენ, ნუბადართუქსა თუ სჯულიერ სიხარულზე, წმინდა თუ უანგარო მეგობრობასა და იმის თაობაზედაც, ვინც „მკედარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოიხდა“⁵⁰: დიდ სიხარულს ყოველთვის წინ უსწრებს კიდევ უფრო დიდი მწუხარება.

რატომაა ასე, უფალო ღმერთო ჩემო? შენ ხომ შენივე თავისთვის მარადიელი სიხარული ხარ, და იხინიც, ვინც გარს გახვევიან⁵¹, მარადის ხარობენ შენში. რატომ ენაცვლებიან ერთმანეთს ამ საწეთროში სიდუხჭირე და სიჭარბე, თანხმობა და უთანხმოება? ან იქნებ ესაა გრძნობადი სამყაროს კანონი, რომელიც შენ დაუდგისე მას, როცა შესქელიდან ქვესქელამდე, უამთა დასაბამიდან დასასრულამდე, ანგელოსიდან მატლამდე, პირველი მოძრაობიდან უკანასქელ ამოსუნთქვამდე, შენი მართალი საქმით ყველა ქმნილებას მოქინე მისი ადგილი, მიუხომე მისი ღრო, არგუნე მისი კეთილი სიკეთე და მიბგე მისი წილი პატეი. ოჲ, რარიგ მალადლი ხარ „მალადლა შისა“ და რაოდენ ღრმა – უფსკრულთ სიღრმეში! არსად მიდიხარ, და მაინც რა გატირებთ გიბრუნდებით!

IV

9. მაშ, აღიძარ, უფალო, გაგვადვიძე და გვიხმე, დაგვდაგე და ავიტაცე, აგვაგვიზვიე და შენი სიტკობა გვაკმიე, რათა შეგუყვართ და შეგივრდეთ. განა ცოტანი გიბრუნდებიან, ვიქტორინუსის მსგავსად, ჯოჯოხეთური ქვესქელის უკუნეთიდან? გაიხლოვდებიან და გარს ეფინებათ ნათელი⁵², რომლის წყალობითაც „იმენენ ხელმწიფებას ღმრთის შეილებად იწოდებოდნენ“⁵³. მაგრამ თუ ნაკლებად ცნობილნი არიან, ვინც კარგად იცნობს მათ, ნაკლებად ხარობს მათი ნაცნობო-

ბით. ხილთ რიცა მრავალნი ხარობენ ერთად, თვითოეულის სიხარული გაცილებით უფრო სრულია: რადგანაც ერთი მეორეს აღანთებს და ააბრიალებს. ეგვიც არ იყოს, მრავალთათვის ცნობილნი არა მარტო მწვედ და მეოხად ექლისებთან თავიანთ მიძღვევართ, არამედ წინაც მოუძღვიან მათ ხსნიხაკენ მიმავალ გ'სა'ზე. აი, რატომაა, რომ უფრო მეტად ხარობენ თვით მათი წინამორბედნი, რადგანაც მარტოიდენ მათ გამო რიდი ხარობენ.

ნემც მოვსწრებივარ, რომ შენს ხასუყვეველში მდიდრებს უმად იღებდნენ, ვიდრე დარიბებს⁵⁴, ხილთ კეთილ'მობილებს - მღაბიორუბზე უწინარეს, რადგანაც შენ აგამოარჩიე მღეგხი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვისი ბრძენნი, და უძღურნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვისი ძლიერნი⁵⁵. და მაინც, ამ უმცირესმა შენს მოციქულთა შორის⁵⁶, ვისი პირითაც განმიახდა შენი სიტყვები, არნია ხაველდ კი არ წოდებულყო, როგორც უწინ, არამედ ჰაველდ, დიადი გამარჯვების აღსანიშნავად: ამ მეომარმა სძლია პროკონსულ ჰაველეს ამპარტავნება, ქრისტეს მსუბუქი უღელი დაადგა ქელ'ზე და, ამრიგად, დიადი მეფის ქვეშევრდომად აქცია იგი⁵⁷. მტერი უფრო სასტიკად მარცხდება მის მიერ, ვინც უფრო მტკიცედ ეპერა ხელთ, და ვისი მეშვეობითაც ეპერა მრავალი. მას უფრო მტკიცედ უპერია ხელთ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მათი დიდგვაროვნების მეოხებით, და ასევე უპერია მრავალნი, ძლიერთა გაქალქის წყალობით⁵⁸. რარიგ მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ მორწმუნენი ვიქტორისუხისა, ვის გულსაც, როგორც შეუვედ ციხე-სიმაგრეს, ყლობდა ეშმაკი⁵⁹, და ვისი ენაც, როგორც ბასრი მახვილი, უწყალოდ მუხრავდა მრავალს. საცხებით სამართლიანად ხარობდნენ შენი ძენი, რადგანაც მეუფემ ჩვენმა შებოჭა ძლიერი; მტრის ხელიდან იქნა გამოგლეჯილი, ხილთ შემდეგ - შენს სადიდუბლად გამხადებელი, მისი ჭურჭელი, აუყლისთვის კეთილსახურველი, და ყოველი კეთილი საქმისათვის სახმარი⁶⁰.

V

10. რიცა ხიმპლიციანუხმა, შენმა მსახურმა, ეს მიამბო ვიქტორისუხ'ზე, მისი მიბაძვის სურვილით აღვეწოე: ხიმპლიციანუხის მიხანიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს იყო. იქვე დასძინა, რომ იმპერატორ იულთანეს დროს გამოქვეყნებული კანონი გრამატიკის და რიტორიკის სწავლებლას უკრძალავდა ქრისტიანებს⁶¹; რიცა სემოხსენებული კანონი მასაც შეეხო, ვიქტორისუხმა ამჯობინა საბოლოოდ მიეტოვებინა ფუჭსიტყვაობის ეს სკოლა, და არა შენი სიტყვა, რომელიც ამტკვერმეტველებს უნარს ანიჭებს წვილთა ენას⁶². ამიტომაც იყო, რომ მე უფრო ბედნიერ კაცად მომეწენა იგი, ვიდრე მამკავად, რაკილა

ხელსაყრელი შემთხვევა აპოკა შენთვის მოეძღვნა მოელი ხიცოცხლე. მეც ხომ ამისთვის ვგმინავდი, წემივე საკუთარი ნების ბორკილით გათანგული. წემი ნება მტერს ეკერა ხელთ, რომელმაც მისგან გამოჭედა ჯაჭვი და ქელზე დაშადა. ეკოური ნებისაგან დასაბამს იღებს ბილწი გულისბოქმა; გულისბოქმის მონა კი წვეულებად აქცევს მას. ხილო წვეულების მინიბით წვეულება აქცილებლობად იქცევა⁶³. ამ ურო-იერთგადაჭლობილი რგალებით ვიყავი შეკრული წემი სახტოკი მინი-ბის⁶⁴ მიერ (ამიტომაც ვახსენე წვედან ჯაჭვი). ხილო ახალი ნება, რი-მელიც იხ-ის იყო ისახებოდა წემში და რომელსაც სურდა, უყავლო, შენივე გულისბოვის თავეპი მეცა შენთვის და მხილოდ შენით ვყო-ფილიყოვ სუგემწეპული, - ჯერ კიდევ უმწყო იყო ხაიმისიდ, რამ დაუორგუნა ძველი ნება, ძეად-რბილიში რამ მქონდა გამჯდარი. ასე რამ, წემი ორი ნება - ძველი და ახალი, ხორციელი და სულიერი - ერთმანეთს ებრძოდა და ამ ბრძოლაში ირდუყოდა მოლიახობა წემი სულისა⁶⁵.

11. მე მესმოდა, რამ თვითონვე ემოწმობდი იმას, რახედაც წამე-კითხა: „ხორცს სულის საპირისპიროდ სერს, და სულს - ხორცის საპირისპიროდ“⁶⁶. მე ერთითაც ეცხიერობდი და მეორითაც, მაგრამ უფრო იმით. ეცხიერობდი, რაც მოსაწონად მიმანდა წემში, ვიდრე იმით, რაც არ მომწონდა. ამ მხრივ, მე არც კი ვიყავი მე, რადგანაც უმეტესწილად იძულებით ვითმენდი იმას, რაც არ მომწონდა, ვიდრე წემი საკუთარი ნება-სურვილით. და მანაც, წემს არხებაში ღრმად ყვხ-ვგადგემული წვეულება გადაუღახავ დაბრკოლებად მელობებოდა წის, რაკილა წემივე ნებით მივედი იქ, სადაც არ მინდოდა მისხე⁶⁷. ეის შეუქლია, ან ვისა აქვს იმის უფლება, რამ წის აღუდგეს სამართლიან მსჯავრს, რომელიც თავს ატყდება ცოადივლს? მე ეკვე ვეღარ ვი-მართლებდი თავს იმით, რასაც ადრე ფარივით ვიმეულოებდი: „ოუ ამ ქვეყანას არ განუდგები, რათა შეს გემსახურო, მხილოდ იმიტომ, რამ ტემშარიტება ჯერ კიდევ არ შემიცვლია-მოქოქი“, - რადგანაც ეკვე სართელი წარმოდგენა მქონდა მასზე. მიწას მოჯატეული უარყოფდი იმას, რამ შენი მხედარი გავმხდარიყავი, და ისევე ვეყოროხილი ეოველგვარი ტვირთისაგან განთავისუფლებას, რატორც თვით ტვირთის ხიმძიმისა უნდა მშინებოდა⁶⁸.

12. საერო ცხიერების ტვირთი ისეთი მსუბუქი იყო, რამ სიზ-მარში მეგონა თავი. შესზე ფიქრი იმ კაცის მცდელობას პგავდა, გო-მოღვიებდა რამ სურს, მაგრამ ღრმა ძილით ძღვეული ხელახლა ინ-თქმება მასში. ვინ იქნება, სულ მუდამ ძილი რამ სურდეს? - ხაყო-ელთაო და სხლი განსჯით, ღვიძილი უმჯობსია, - მაგრამ კაცი მანაც ძხელიად ელევა ძილს: ასოები დამძიმებია, ძილიც ხაამო რილია მის-

ვის, მაგრამ მაინც განაგრძობს თვლემას, თუმცა დიდი ხანია ადგომის დროა. მეც ასევე დაბეჯითებით ვიცოდი, რომ უმჯობესია შენი სიყვარულისთვის მიმძღვნა თავი, ვიდრე კვლავაც ჩემი გულისთქმის მონა-მორჩილი ვყოფილიყავი. პირველი მსიბღავედა და მატყუარება, მეორე კი მიყვარდა და ხელ-ფეხს მიკრავდა. ვერაფერს ვიტყვი შენი სიტყვების პასუხად: „გაიღვიძე, მძინარე; აღსდებ მეკვდრით, და ქრისტე ნათელს გფენს შენ“69. ყველგან თვალნათლივ მივლენდი შენი სიტყვების ჭეშმარიტებას, მაგრამ ამ ჭეშმარიტებით ძლეულს საპასუხო არა მქონდა რა, და მხოლოდ უმწუხარ ვლულულვლებდი: „ახლავე“, „ამ წუთას“, „ცოტაც მაცალე“, მაგრამ ეს „ახლავე“ და „ამ წუთას“ სულაც არ ნიშნავდა რაიმე განსახდვრულ ჟამს, ხოლო „ცოტაც მაცალე“ უსაშუალოდ ატიანურებდა დროს. ამოდ ვტკებოდი „შენი სჯულით, შინაგანი კაცისამებრ“70, მაშინ როდესაც „ჩემს ასოებში სხვა სჯულს ვხედავდი, რომელიც უწრებოდა ჩემი განუების სჯულს, და იმ ცოდვილი სჯულის ტყვედ მხდიდა, რომელიც იყო ჩემს ასოებში“71. ხოლო ეს „ცოდვილი სჯული“ ძალაა და მეუყება ჩვეულებისა, რომელსაც მტკიცედ უპყრია ხელთ და თავის ნებასე ათამაშებს სულს, თვით მისდა უნებურად; ახია მასზე, რაკიდა თავისი ნებით იტყა ამ ჩვეულების ნადავლად. ვინდა დამიხსნის უბელურს „სიკვიდილის ამ სხეულისაგან“72, თუ არა შენი მადლი, რომელსაც გვანიტებ უფლის ჩვენის - იესო ქრისტეს მეოხებით?

VI

13. აღსარებას გუბნები, უფალო, მწვევ ჩემო და მხსნელო ჩემო; აღსარებას გუბნები და იმასაც ვიტყვი, თუ როგორ დამიხსენ ხორციელ გულისთქმათა დამორგუნველი ხუნდებისა და ამქვეყნიურ საქმეთა მონობისაგან.

მე კვლავ ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემი მღელვარება კვლავაც იზრდებოდა. დღენიდავ ვტმუნავდი შენს გამო და შენს ეკლესიაშიც დავდიოდი, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევდნენ ჩემი საქმენი, რომელთა სიმძიმითაც ქანცვაწვევტილი ვგმინავდი. ჩემთან იყო აღიბიუსი, რომელიც უკვე აღარ ასრულებდა იურისკონსულის მოვალეობას, რასაც თავი დააღწია მას შემდეგ, რაც უკვე მესამედ იყო ასესორად73. მოთმინებით უცდიდა მუშტარს, ვისთვისაც შეეძლო მიეყიდა თავისი რჩევა, როგორც მე ვყიდიდი მტვერმეტყველების ხელოვნებას (თუკი დაეუშვებთ, რომ შეიძლება ვინმეს ასწავლო იგი). ნებრიდიუსიც დაჰყვა ჩვენს მეგობრულ თხოვნას და თანაშემწედ დაუდგა ჩვენს გულითად მეგობარს, მედიოლანელ ვერეკუნდუსს, რომელიც გრამატიკოსი იყო და გულით უნდოდა ერთ-

ერთი წყენგანი აუკვანა ერთგულ თანაშემწედ, რომელიც ძალიან სტირდებოდა და, რაკი წყენი მეგობარი იყო, უუღლებაც ქქინდა წყენთვის მოუთხოვა იგი. წებრიდიუსი გამორჩენის სურვილმა როდი მიიყვანა მასთან (გაცილებით მეტს მიაღწევდა, დამოუკიდებლად რომ დაეწყო მასწავლებლობა): არა, ამ უსათხოვსმა და უსათუთესმა მეგობარმა კეთილმოხურსეობის გამო ვადლებულად ჩათვალა თავი და არ უზულებელყო წყენი თხოვნა. ახალ ადგილას ძალზე კეთილგონიერულად იქცეოდა: თავს არიდებდა სახელის მოხვეჭას „ამა ქვეყნის ძლიერთა“ შორის და, ამრიგად, გაურბოდა სულის ყოველგვარ მღულვარებას; ის მხოლოდ სულიერ თავისუფლებას მიეღობოდა და ცდილობდა რაც შეეძლება მეტი დრო გამოეყენებინა კვლევა-ძიებისა თუ წიგნების კითხვისათვის და ბრძნული საუბრის მოსახმნად.

14. ერთ მშვენიერ დღეს – ახლა ვეღარ ვიხსენებ, რატომ არ იყო წებრიდიუსი წყენთან, – მე და ალიპიუსს ვინმე პონტიციანუსი გვეწვია, წყენი თანამემამულე, რადგანაც ისიც აფრიკელი იყო, ხოლო ამჟამად დიდი გავლენით სარგებლობდა სასახლის კარზე. არ მახსოვს, რა საქმე ქქინდა წყენთან. სასაუბროდ დაგხხედით. შემთხვევით თვალის მოკერა წიგნს, რომელიც წყენს წინ მდგარ სათამაშო მაგიდაზე იდო; აიღო, გადაფურცლა და პაელები მოციქულის ეპისტოლენი შერჩა ხელში, თუმიცა, აღბათ, ეგონა, რომ მტკავრმეტყველების სახელმძღვანელო იქნებოდა, რომელიც უკვე ეელში მქინდა ამოსული. გაიღიმა, გაოცებულმა შემომხედა და მომილოცა, რომ სხვა კი არა, სწორედ ეს წიგნი მედო მაგიდაზე. ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და მრავალგზის განრთხმულა შენს წინაშე, ღმერთო წყენო, როცა ხშირად დიდხანს ლოცულობდა ეელესიაში.

როცა ვუთხარი, ამჟამად ყველაზე ხშირად საღმრთო წერილს ვკითხულობ-მეთქი, ანტონზე, ამ ეგვიპტელ ბერზე, ჩამოგვიგდო სიტყვა, ვისი სახელიც სიწმინდის შარაფანდელით იყო მოსილი შენს მსახურთა თვალში, წყენთვის კი მხოლოდ იმ წუთას გახდა ცნობილი⁷⁴. ეს რომ გაიგო, პონტიციანუსმა კელაე ანტონ ეგვიპტელზე განაგრძო საუბარი; გატაცებით გეაცნობდა ამ საოცარ კაცს, რომელიც სრულიად უცნობი იყო წყენთვის, და უკვირდა, რომ დღემდე არაფერი გესმენოდა მასზე. გაოგნებული დაფრინით: თურმე სუ იტყვიო და, აგერ აქვე, თითქმის წყენს დროში, ეჭვშეუვალად დადასტურებულა შენი მრავალი სასწაული, უფალო, ჭეშმარიტი რწმენით აღსრულებული კათოლიკურ ეელესიაში. ყველას გვიკვირდა: წყენ – სიდიადე ამ უჩვეულო ამბებისა, პონტიციანუსს კი – ის, რომ პირველად ვისმენდით ამას.

15. ამის შემდეგ მონასტერთა სიმრავლეა და ბერ-მონაწიხისთა სხე-ჩვეულებებზე წამოაგდო სიტყვა, 'სხე-ჩვეულებებზე, შესს კეთილ-სურსელებას რომ აფრქვევენ; ილაპარაკა განდგილებით ხაცხე უდაბ-ნიობზუდაც, რომელთა შესახებაც დღემდე არაფერი ვიცოდით. თვით მედიოლანუმიშიც, ქალაქის გაღაფანს გარეთ ყოფილა მონასტერი, ხაცხე კეთილ ძმათა კრებულით⁷⁵, რომელთაც ამბროსი მყარველობდა თურმე (ესეც პირველად გავიგეთ). პონტიციანუსი განაგრძობდა ლა-პარაკს, ჩვენ კი, სმენად ქცეულნი, ვღუქმდით. მერე სხვა ამბავიც მოგვიყვა: ერთხელ ტრევერიში⁷⁶, საშუადაღვს, როცა იმპერატორი ხაციროსი სანახაობის ყურებით იყო გართული, სამ ამხანაგთან ერთად ქალაქგარეთ მღებარე ბაღში გასულა სახიერხიდ. ისა და მისი ერთ-ერთი ამხანაგი დანარსენ ორს დაშორებინა: ორი ერთ მხარეს წახულა, ორიც - მეორეს. სურსობისას ეს მეორე წვეილი ერთ ქახს წახწუ-დომია, ხადაც შენი მსახურნი ცხოვრობდნენ, - „გლახაქნი სუელითა“, რომელთაც უნდა დაიძვიდროს „ცათა სასუყუველი“⁷⁷. იქ უნახავო წიგნი, რომელშიაც წმინდა ანტონის ცხოვრება ყოფილა აღწერილი⁷⁸. ერთ მათგანს გადაუშლია წიგნი და კითხვას შესდგომია: კითხულობდა, უკვირდა და უწვეულად აღგზნებულს თანდათანობით ვუფლებოდა იმის სურვილი, რომ თვითონაც ამნაირი ცხოვრებით ეცხოვრა, მიეტოვებინა ხაერო სამსახური და შენი მსახური გამხდარიყო, უყვალა. ორივენი ხომ იმპერატორის მცველები იყვნენ. და, აი, ანახდად, წმინდა ხიე-ვარულთი აღსავსემ, ხაღვთისმოსაო კრძალვით აღძრულმა და თავის თავსე განრისხებულმა მეგობარს მიაპერო მხერა და წამოიძახა: „ითიხარი, გთაყვა, რას მოველით ჩვენ ამდენი შრომის სანაცვლოდ? ანდა რას ვექებთ? რისთვის ვმსახურებთ? რისი იმედი უნდა გვქონდეს სასახლის კარსე? მხოლოდ იმისა, რომ „იმპერატორის მეგობრებად“⁷⁹ ვიწოდებოდეთ? მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიაც კი რამდენი ხიყათი და განსაცდელი გველის! ამდენი ფათურაკი გამოვლი და უყრო დიდ ფათ-ურაკში წაიგდო თავი? ან კი როდის მივალწვეთ ამნაირ მდგომარეობას? ღვთის მეგობარი კი, თუ მოინდომებ, შემოდლია ამ წამსვე გავხედე“.

ესა თქვა და ახალ ცხოვრებაში დაბადების ტკივილებით გაწამე-ბულმა კვლავ წიგნში ჩარგო თავი: კითხულობდა და უწვეულა ცველი-ლებას განიცდიდა მისი გული, რასაც მხოლოდ შენ ხედავდი, უყვალა; ცდილობდა განდგომილა საწუთროს, რაც მალე გამუქდავინდა კიდევ-წიგნის კითხვაში წაფლულმა და უწვეულა მღელვარებით მოცულმა საბოლოოდ განსახლვრა და გადაწვიტა, რა იყო უკეთუი; ის უკვე შენი გახდა, უყვალა, და თავის მეგობარს უთხრა: „ამიერიდან სამუდა-მოდ ვიფიწვიებ ჩვენს უწინდელ იმედს; აი, ამ წუთს და ამ ადგილას გადაწვიტე მღეროს ვემსახური. თუ არ მიმბაძე, ხელს მანიც სუ

„შემომლო“. მანაც მოუგო: ამნაირი საზღაურისა და სამსახურისთვის „შენი ერთგული მეგობარი ვიქნებიო. ისინი უკვე შენ გეკუთვნოდნენ და ოცნებაში, მათთვის ხელსაყრელ ფასად აგებდნენ სულის ხსნის კოშკს; მიატოვეს ყველაფერი, რომ შენს კვალს შესდგომოდნენ80.

ამასობაში კი პონტიციანუსი თავის თანმხლებთან ერთად ბაღის მქორე მხარეს დასეირნობდა. თავიანთი ამხანაგების ძებნაში იმავე ქოხს მიადგნენ, სადაც ნახეს ისინი და უთხრეს, უკან დაბრუნების დროაო, რადგანაც დღე იწურებოდა. ამხანაგებმა თავიანთი გადაწყვეტილება გაანდეს და ისიც აუწვეს, თუ რამ აღუძრათ და გარემოცვათ ამის სურვილი; თანაც სთხოვეს, თუ არ შემოგვიერთდებით, ჩვენსას მანაც სუ გადაგვათქმევინებთო. პონტიციანუსმა და მისმა თანმხლებმა არ გაიზიარეს თავიანთი ამხანაგების გადაწყვეტილება, თუმცა თავიანთი თავი კი გამოიტვირეს. მოწიწებით მოულოცეს მეგობრებს ახალი ცხოვრების დაწყება და მათ ღოცვა-ვედრებას მიანდეს თავი. შემდეგ ამკვეთიური საზრუნავით გულდამძიმებულებმა სასახლისაკენ გასწავეს, ის ორნი კი, სუცის მიმართ მიდრეკილი გულისთ, ქოხში დარჩნენ. თურმე ორივე დანიშნული იყო: თავიანთი საქმროების გადაწყვეტილება რომ გაიგეს, უფალო, საპატარძლოებმაც შენ მოგიძღვენეს თავიანთი ქალწულებდა.

VII

16. ამას გვიყვებოდა პონტიციანუსი, შენ კი, უფალო, ვიდრე ის ღაპარაკობდა, ჩემი თავისკენ მიმაქცევიანე მსურა, მაიძულე, საკუთარ სურგს ამოფარებულს მიმეტოვებინა ჩემი სამალავი, სადაც მშვიდად მოგვალათებუელიყავი და ვერ ვებუდავდი ჩემი თავისთვის გამესწორებინა თვალი. შენ დამაყენე საკუთარი თავის პირისპირ, რათა დამენახა ჩემი სიმახინჯე და სიბილწე, ჩემი უბადრუკობა, ჩემი მწიკლოვანება და წყლულება. მეც დავინახე და შევეძრწუნდი, მაგრამ გასაქცევი გზა მოჭრილი მქონდა. ვცდილობდი თვალი ამერიდებინა ჩემი თავისთვის, მაგრამ პონტიციანუსი იქვე იყო თავისი ნამბობითურთ, ასე რომ, კვლავ ჩემივე თავის პირისპირ მაცენებდი, უფალო, და მაიძულებდი თვალმოუშორებლივ მეცქირა მისთვის: „შეხედე შენს უსამართლობას და შეისიღე იგი“. მე რა ხანია ვიცოდი ჩემი უკეთურება, მაგრამ განზრახ ვეხუჭავდი თვალს და ვცდილობდი დამევიწეებინა იგი81.

17. რაც უფრო გულმხურვალედ მიყვარდა ისინი, ვისზედაც მსმენოდა, რომ ცხოველმყოფელი გზებით აღძრულთ მთლიანად მოგიძღვენეს თავი განსაკურნავად, მით უფრო მძაფრად მძულდა, მათთან შედარებით, ჩემი თავი. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ (თორმეტი წელი მანაც იქნება), რაც ციცკრონის „ჰორტენზიუმსა“

ცხრამეტე წლის ჭაბუკს სიბრძნის სიყვარული აღმოგ'ხსო გუელ'ში⁸², მაგრამ საბოლოოდ მანც ვერ შევიძულე ამქვეყნიური ბედნიერება და ცვდილობდი ხამერისოდ გადამედო ძიება იმ სიკეთისა, რომლის არა მარტო მიკვლეა, მარტოდენს ძიებაც კი ათასწილ ხჯობს ამა ქვეყნის ყველა ხაუნჯუკს, ყველა სამეფოს თუ სიტკბობებს, რომელიც თითქოს მზადაა ყოველ წამს მოგვეცეს ხორციელი განცხრომის სვიროებს. თა, რა უბადრეკი ვიყავი სიჭაბუკისას, მეტადრე სიჭაბუკის გარიურაუხე-უმანკობასაც კი გთხოვდი და გვეუდრებოდი: მომეც უმანკობა და კრძალულება, მაგრამ არა ახლავუ-მეთქი. თითქოს მექმნიოდა, მაქმნივე არ შეგეხმინა ჩემი ვედრება და არ განგეკერნა უკუთური გულისთქმა ჩემი⁸³: მერნია კი არ ნამეხ'მო, არამედ დამეცხრო თგი. ახე ვიდრდი მკრუხელური ცრურწმენის „მრუდე გ'ხებით“⁸⁴, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დარწმუნებული ვიყავი მის სისწორეში: მე მას თითქოს ვამჯობინებდი სხვა მოძღვრებებს, მაგრამ ქედმოდრეკით კი არ ვიკვლევდი ამ უკანასკნელთ, არამედ მტერივით ვებრძოდი მათ⁸⁵.

18. რაკი დღეები დღეებს მისდევდა, მე კი ვერასდიდებით ვერ ვეღლოდი ფუქს იმედებს, რათა მხოლოდ შენს კვალს შევედგომოდი, ამის მიხეხი ის მეგონა, რომ ვერას ეხედავდი ცხადს და გარკვეულს, რათა მისკენ წარმემართა ჩემი საბიჯი. მაგრამ, თი, მოვიდა დღე, როცა შიშველ-ტიტველი წარუხდექი ჩემივე თავის წისარ'მე და ჩემმა სინიდისმა შემომდაღადა: „სად არის შენი სიტყვა? აკი ამბობდი, იმიტომ ვერ ვიცოდებ ამაობის უღელს, რომ ჭეშმარიტება დაფარულია ჩემთვის? მაგრამ შენთვის უკვე სათელია ჭეშმარიტება, ის კი კვლავ დამთრგუხველად მოქმედებს შენზე. უფრო თავისუფალ მხრებს უკვე ფრთები გამოეხსა: არც ამდენი ძიებით გავამებულან და არც ათი თუ მეტი წელი გაუტარებიათ გამუდმებულ ფიქრსა და ტენის ჭყლეტაში“.

ახე ვიტანჯებოდი „შერცხვენელი; სინიდისი მექნჯნიდა პონტიციანუხის ლაპარაკისას. ბოლოს საუბარი დასრულდა და თხიც გავიგეთ, თუ რამ მოიყვანა ჩუქსას. პონტიციანუხი შინ წავიდა, მე კი ჩემსავე თავს ჩაუკლრმავდი. რადა არ ვაკადრე საკეთარი თავს! რანაირი ახრების მათრახი აღარ ვუცხენე ჩემს სულის, რათა ნებას დამყოლოდა და შენს კვალს დახდგომოდა. მაგრამ უწინდებურად მეურნებოდა, კვლავ თავის ახრზე იდგა და დანაშაულში გამოტეხას არ აპირებდა. ამოიწურა და უარყოფილ იქნა ყველა მისი საბუთი, მაგრამ დარჩა უტკევი მშფოთავრება: სიკვდილივით უფროთხიდა იმას, ვაითუ ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან ამომავდისო, კალაპოტიდან, რომელშიაღც იხე ჩამყაყებულოყო, რომ ხრწნილებას აღარაფერი უკლდა.

19. იმ დიდ 'სქოთხა და აქაღმაყალ'ში, ჩემს 'შინაგან სამკვიდრუ-
ბელ'ში, კერძოდ, მის ეველა'ზე მეუბრო აღგიდას - ჩემს გუელ'ში რომ
აქუტჩეხე საკეთარ ხელს, სახე'შემილიო მივეარდი აღიპიუსს და 'მღუ-
გივით 'შეგბდაელე: „რა ამბავია ჩვენს თავს?! გაიგონე? აღიძერიას უმე-
ცარნი და მიიტაცებენ ცათა სახუევეელს⁸⁶, ჩვენ კი, ამ ჩვენი უხულო
მეცნიერებით, კვლავაც ხორციელ მწვირუ'ში ვგორავო! რაკილა ჩვენსე
წინ არიან, გვეთაკილება მათ გ'ხას გავევეთ, ხილიო ის ამბავი, რომ
ერთი საბიჯიც არ გადავდგათ ამ გ'ხასე, სელაც არ გვექვენება სათაქ-
ილიოდ?''⁸⁷

არ ვიცი, ამას რა მოვავლდე; გა'შმაგებული გავეცადე აღიპი-
უსს, გაოგნებული უხიტვეოდ რომ 'შემომცქეროდა. ამსაირი რამ არა-
სოდეს სმენიდა ჩემგან. ჩემს მა'შინდელ სულიერ მდგომარეობას ჩემი
'შუბლი, დაწვები, თვალები, სახის ფერი და ხმის ქლერალობა უკეთ
გამოხატავდნენ, ვიდრე ჩემივე ხიტვები.

ჩვენი სახლი პატარა ბაღში იდგა, რომლითაც ისევე ვხარგუ-
ბლობდით, როგორც მთელი სახლით, რადგანაც ჩვენი მასპინძელი,
რომელმაც 'შეგვიფარა, აქ არ ცხოვრობდა. აღელვებულმა სწორედ ამ
ბაღს მივაშურე, სადაც არავის 'შემიშლიდა ხელს იმა'ში, რომ
ბოლომდე მიმეყვანა ის სახტიკი ბრძოლა, რომელიც ჩემს თავს გაეუ-
მართე, მაგრამ რანაირი იქნებოდა ეს ბოლო, მე კი არა, მხოლოდ 'შეს
იციოდი, უყვალო: განუბამსხილი ვიქავი, რათა გონს მოვხუელიყავი;
გვდებოდი, რათა მეცაცხედა; ვიციოდი, რა ბოროტება'შიაც ვიქავი დან-
თქმული, მაგრამ არ ვიციოდი, რანაირი ხიკეთე მელიოდა სულ მადე.

ამრიგად, ბაღს მივაშურე; აღიპიუსი კვლავდაკვალ მომეცა. მის
სიხლგოვეს სელაც არ დაურღვევია ჩემი მარტოობა. მას კი რა ექნა:
ამ დღე'ში ხომ ვერ მიმატოვებდა?

სახლიდან მო'შორებით დავსხუდით. სული ყრუდ 'შემომკენხოდა,
სა'შინლად აღ'სქოთოებული იმის გამო, რომ ამდენ ხანს ვაყოვნებდი
'შენსკენ საბიჯის გადმოდგმას, ხილიო ამ საბიჯის გადმოდგმა რომ
საჭირო იყო, ამას დადადებდა „ყოველი ძეალი ჩემი''⁸⁸, და ეს დადა-
24. ხაუბრისას იმ დასკენამდე მოვედით, რომ გრძობებდით განცდილი სუბსიმოური ხამოვსება, რანაირი მოწიერი სათლითაც არ უქდა იქის იგი მოხილი, არამცთუ ვერ შევედრება ხაქექისი ცხიერების სეტარებას, არამედ მასთან ხსენების დირხიც კი არ არის. და მასის, გულმხურვადე სწრაფით, „თვით მის100 ხიდადექმდე აქმადლდით, თანდათანობით უკან მოვიტოვეთ მისი ყოველი ქმსილეება და ვის თაქანს მოვალწით, ხიდანაც სათელს პექენს დედამოწას მზე, მოქარე და ვარსკელავები. ასე მოვიწველდით ხელ უფრო და უფრო მადლა, შენს ქმსილეებზე ვევიქრობდით, ვსაუბრობდით და გახეცოფრებულსი ვიყოთ მათი სრულყოფილებით. ბოლოს, წესს ხელსაც ვეწით და უკან მოვიტოვეთ ისიც, რათა მოვეწვდომოდით უღვევი ხსახვის მხარეს101, ხადაც მარადის ასახრდიოებ ისრავლს ჭეშმარიტების სახრ-

დათი02, ხადაც ცხიერება ის სიბრძნეა, რომელიც დასაბამს აძლევს ყოველივე იმას, რაც არის, იყო, ახდა იქნება. თვითონ კი დაუსაბამია და ყოველთვის ისეთია, როგორც არის, იყო და იქნება, ან, უფრო სწორად, მასზე არ შეიძლება ითქვას „იყო“, ან „იქნება“, არამედ მხოლოდ „არის“, რადგანაც წარუვალა, ხოლო წარუვალისათვის უცხია წარსულიც და მომავალიც03.) მარადიული სიბრძნის ამ ხაუკუნო სავანესე სავბრისას, ხარბად რომ ვიღვავდით მისკენ, მორთილგარე გულთ ღამის კიდევაც მივწვდით მას. ამოვიკუნებუთ და იქ დავტოვეთ აპირველსაყოფი სულისა“04, რათა კვლავ დავბრუნებოდით ამქვეყნიურ ფუცსიტყვაობას, სიტყვებს, წამში რომ წნდებიან და მუიხეუ ქრებიან. რა შეუდრება შესს სიტყვას, წყესს უყვალსა და მუეუეს, თავის თავშივე დაეახებულს, მარადის უბერებელსა და ყოველის განსაახლებელს05

25. წყეს ვამბობთ: „თუკი ვისმეში დაცხრება ხორცის ბობოქრობა, დაიპრიტება მიწის, წყლისა თუ პაერის წარმოდგენა, დადუმდება ცა და იეუქებს სულიც06, თავის თავს განუდგება და აღარც საკუთარ თავზე იფიქრებს, უტყუი გახდება სისმარეული წყნება თუ წარმოსახვისეული გამოცხადება, დამუხჯდება ყოველი ენა, ყოველი სიშანი და ყოველივე ის, რაც იბადება და ქრება, მოკლედ, თუ სრული მღკმარება დაიხადგურებს, – რადგან, ეური რომ ვუვდით, ყველაფერი ამას ღაღადებს: „კვენ როდი შეგვიქმნია წყნისე თავი; არა, წყეს შეგვიქმნა იმან, ვინც წარუვალა უკუნისამდე“07, – თუკი ამის მოქმენიც ხმას გაკმენდეს, ეურს მიაპყრობეს თავიანთ შემოქმედს და მხოლოდ ის ამტყველდება, არა მათი მემკვიდით, არამედ უშუალოდ და თავისთავად, რათა ვისმინით მისი სიტყვა, არა ხორციელი ბაგეუბით, არა ანგელისთა ხით, არა მეხობტეხით, არა იგავებითა თუ სართაული მინიშნებით წარმოთქმული, არამედ თვითონ მის მიერ, ვინც გვიყვარს მისხავე ქმნილებებშიუ დიახ, თვითონ მის მიერ, ყოველგვარი ქმნილების გარეშე, როგორც ახლახან, როცა დავებტვეთ წყნისე თავი08 და ფრთამალი ახრით მიევახლეო ყოველის უმადლესსა და უსუნაეს, უხრწნელსა და წარუვალ სიბრძნეს, და თანაც სულის ამნაირი მდგომარეობა რომ დიდხანს გაგრძელდებუდიყო, ხოლო დაბალი ხატებანი განქარებუდიყვნენ, ასე რომ, მარტოადენ მას, მარტოადენ წარუვალ სიბრძნეს აღეტაცებისა, შთაენთა და უსახდური სიხარულით წაელეკა მისი მტერებელსი, – და თუკი საუკუნო სიცოცხლე იმნაირია, რანაირიც იყო ნათელხილვისა და ხანეტარო წვდამის ეს წამი, რის გამოც ასე ვტკუნავდით, – განა სწორედ ეს არ არის ის, რახედაც ითქვა: „ემოვეუდ უფლის შესის სიხარულში“09 როდისღა ახლება ეს?

იქნებ მაშინ, როცა აქველანი აღუგებდით, მაგრამ ეველანი როდი შეეცვლებოთ? 110

26. აი, ამას ვამბობდი მე, იქნებ არც მთლიად ახე და არც ზეხტად ამ ხატევენით, მაგრამ შეხ იყო, უფალი, რომ იმ დღეს, როცა მე და დედანქისი ვხაუბრობდით, ეს ქვეყანა ისეთი უბადრეკი და ხსილის ღირსი გვეჩვენა, მთელი მისი ხაიმთა და ხატებობითურთ, რომ დედანქისს მოთხრა: შეიღო, მე უკვე აღარაფერი მიხარია ამ ქვეყანად. აღარც კი ვიცი, რა უნდა ვაკეთო აქ, ან რისთვისღა ვიყო? არაფრის იმედი აღარა მაქვს. მხოლოდ ერთი რამ მაკავებდა ამ ცოდვილ დედამიწასზე: არ მისდოდა იხე მოვსკედარიოქი, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანად არ შეხიდე. დემროსა უშურველად ამისრულა ეს ხაწადელი: მის მხახურად და მიწიერი ბედნიერების მოძელედ მანქენა შენი თავი. მაშ, რაღა დამრწენია აქ?

XI

27. აღარ მახსოვს, რა ვუბახუხე, მაგრამ ხეათიდე დღის შემდეგ ციებამ დარია ხელი და ლოგისად ხააგლო. აქადმოყოფობისას ერთხელ გონი დასკარგა და ცოტა ხანს გულწახული იყო. ეველანი მოეცვივდით, მაგრამ მადლე მოეგო გონს, დაგვიანახა მე და ნემი მსა, თავს რომ ვადექით, და - „ხად ვიკავიო?“ - იხე თქვა, თათქის რადაცას ექებხა. შემდეგ მწუხარედ გარინდებულთ გავთხრა: „აი, აქ დამარხავთ დედათქვენს“. მე ვლერსი და ძლივს ვიკავებდი ცრემლებს. ნემსა მსამ ხანუგემოდ წაიღულდულა, დემროსა გვარიდის ეს ხომწარე, რომ ხამშობლიდან ახე შორს, უცხა მხარეში დაიმარხია. ამის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს, შეკრთა, ევედრებთ შეხედა მას, მერე ნემსე გადმოიტანა მხერა და მოთხრა: „გუნისს, რას ამბობს?“ შემდეგ კი ორთვეს მოგემართა: „ხელერთია, ხად დაახევენთ ამ ხეულს. ერსხა გთხოვთ მხოლოდ: ხადაც არ უნდა იყოთ, უფლის ხატეობეველთის მოიხსენიეთ დედათქენი“. ძლივხდლივობით წარმოსთქვა ეს ხატევები და მოევენა, ხეულეობით გაწამებულა.

28. მე კი, დემროსა უხილავი, ვეცქრობდი ეველა იმ ხატზე, შენს ერთგულთ რომ უხერგავე გულში, ხადაც ხაკიორველ ხაყოფს გვიდელევენ; მიხაროდა და მადლს გწირავდი!!! აკი ვიცოდი, რარიგ დედანქისა ყოველთქის თავისი დაკრძალვის თაობაზე, წინახწარ იტერდა თადაროგს და მტკიცედ აქონდა გადაწვევტილი, ქრის გვერდით დამარხულიყო. ტკბილი ცოლ-ქმრობა აქონდათ და დედანქის ხერდა ეს ბედნიერება კვლავაც გაგრძელდებოდა (ადამიანის ხელს არახდიდებთ არ ეთიობა ხაწურთი), რათა ხადხს ეთქვა: აი, ხომ ხედავთ,

ხლეის იქით იყო და დაბრუნდა, რათა ქმრის გვერდით ეძოვა საუკუნო განსახლება.

არ ვიცა, როდის წაქრა მის გულში, შენი უხასღვრო მადლის წყალობით, ეს ფეხები სურვილი. ამიტიმაც მიხაროდა და მიევირდა მისი უცნაური ფერისცვალება, თუმცა ხარკმელთა საუბრისას, როცა მოხრა, რაღა დამსწენია ამ ქვეყნად, მის ხიჯვებში უკვე აღარ იგრძნობოდა, რომ მშობლიურ მხარეში სატრობდა ხიჯვედს. როგორც უფრო გვიან გავიგე, ოსტიაში ეოფნისას დედობრივი გულახდილობით გაუხლეა წემი მეგობრებისთვის, რაღაც შეხებულხდა ეს საწუთრო და რა ხახოებით ელადა ხიჯვედს. მე ამ საუბარს არ ვესწრებოდი, წემი მეგობრები კი განცვიფრებული დარჩენილას ქალის ამნაირი გამბედაობით (ეხეც შენ უწყალობე, უყვალა) და უკეთხავთ, წყოუ არ გეშინია, მშობლიური კეთილდანი ასე შორს დახტოვა შენი ხეუელთა დამერთობვის არაფერია შორს, - უთქვამს დედანქმს, - და არც ისაა საშიში, რომ ქვეყნის დასახრუელს ვერ გაიხსენებს, სად აღმადგინოს".

ამრიგად, ავადმყოფობის მეცხრე დღეს, თავისი ხიჯვედის ორმოცდამოუქმნევე წელსა და წემი ამქვეყნიური არსებობის ოცდამოცამევე წელს განქმორა ხეუელს ეს კეთილმორწმუნე და ღვთისმორწმინდი ხელი.

XII

29. თვალები დავხრეკე და უხასღვრო მწუხარებამ შეიძერა წემი გული, რათა ცრემლების საკადულად გადმოღვრილიყო. ხელის მძაფრი ძალისხმევით ვაიბულე თვალები, ხადინარი არ მიეცათ ამ საკადისთვის და სრულიად მშრალნი დარჩენილიყვნენ. ოპ, რა მტანჯველი იყო ეს ძალისხმევა! როცა დედანქმსა ხელი დალია, ემანველი აღვიდატეხი საწყალობლად ატირდა, მაგრამ წვეს ვაიბულეო განუქმებულყო. რაღაც ბადღური ასევე ითხოვდა წემშიც ცრემლებითა და ქვითით წამქმნი სიმწარე, მაგრამ ისიც დაფორგუხე და წაკიკად გულში. წვეს მოგეანნდა, რომ ამნაირ აღსახრულს არ შეეყვროდა ცრემლის ღვრა და მოთქმა-გოდება. ასე ხომ ისათ მწარე ხეუდრს დახტირიანი, ვისაც ჰგონია, რომ ხიჯვედით ყველაფერი მთავრდება. დედანქმისთვის კი ხიჯვედით ხელაც არ იყო მწარე ხეუდრი; მეტიც, ის ხაერთოდ არ არსებობდა მისთვის!2, რასაც ნათლად მოწმობდა მისი სხეობა და „ეპირფერო რწმენა“13.

30. მაშ, რა იყო ის, რაც ასე მწვავედ მტკითდა შიგნით? ახალი ჭრილობა, რომელიც ამ ხეუელთა, ეხოდენ ტბილი და საამერი, ერთობლივი ცხოვრების უეცარმა შეწყვეტამ მომაცუნა? შეუბდას მტვრიდა მისი შეგნება, რომ ამ უკანახტეელი ხეუელთის ვამს, როცა თავს

ვადექი, აღეურხით მისხდია მადლობას, თავის კეთილ შვილს შეძახდა და ეხითუქმელი ხივეარულით იხსენებდა, რომ არახიდეს ხმეხია ნემგან რაიყოდ წამიხრიადილი ახ უხამხი ხიჭეკა.

კი მაგრამ, დმერთო ნემო, ნეეხო შუქოქმელი, ხად ნემო მოკრძაღლებული ხამხახური მისხდამი და ხად მიხი ამაგი ნემჩუ? დიდი სუკამისმცემელი დაკარგე მიხი ხახომ; მოწველული იყო ნემი სული, თითქოს შუახე გაწვდაო ერთ მოულად ქველელი ხილოცხლე ნეეხი.

31. მამ, ახე, ტირილი დაცემადეო ბიჭეხას; ევადეეხმს დავთხი ბილა და ფხადმეხის გაღობახ შეეღვა, რახაც მოული ხახლეკული აქევა: აგულმოწვადეხას და ხამართალს შესხას ევადეობ, უვადო"14. როცა გაიგეს, რა მოხდა, მრავალმა მამ და მორწმუნე ქელმა მოიყარა თავი. ეხიაც მართებდა, გვამის გაპატიოსნებახ შეეღვა; მე კი თინავ მომორებთ ვადექი, ხადაც შექმელი, ვითარებხ შესაბამისად, მეხაებრა იმ ხადხიახ, ეხიცი გადაწეუტა არ მივეტოვებხე, მეხაებრა იმაზე, რაც ხატირო იყო ამ დროხ. ჭემსართებხს წამლით მსურდა შემემსებუქეხმხი ტანჯეკა, რაც შეს ილოდი, ნემსს თახამოსაებრეეხმა კი არ იციდნენ, უვადო: ახე ევანათ, არავითარ ტოიცილხ არ გახეციდით. მიხილოდ შეს გახაგონად - ხეეახ არავის ეხმიდა, - ევკიეხებდა და ხხეხეტეს ვაქეუდრიდი ნემს თავეს, ევადილობდი რეგორმე დამეოქებხი მწეხარებხს ხიადეარი, და იხიცი თითქოს შემსრნილებოდა, მაგრამ მალე კელავ მიტაცებდა მიხი ბობიქარი დინება, თქიკა იმდენხ კი ვახერხებდი, რომ არც ცრემლი გადმომეგდაო და არც ხახის გამომეტეეეელება შემცველიოდა. მაგრამ კარგად ვიცოდი, რახაც ვიკლავდი გულში. და რაკი ხამისილად მორეეხავდა იმის შეეებება, რომ ამ ზომამდე შემძრა კაცოთოვის გარდეეეადომხ ხიკვადილმა, რომელხაც ვერვის გაემკეეეა, ვერავის დაადწეეს თავეს, - ტოიცილხ ტოიცილი ქმატეობდა და ორმოგად მისმსურდებოდა ურეო.

32. ცხედარი გამოსახეეეეს, ნეეხცი გავეეეეოთ და ეცრემლოდვე დავებრეხით უკას. დოცეის დროხ, შესხდამი რომ ავეეეეისეოთ, ვადრე გამოსახხხეულ მხეეერკლხ გწირავით მიხიოვის და, იქაერთო ნეეეელებხამებრ, ხეეული კეობში ხახეეებამდე მის ახლოს ეხეეეა, დიახ, თვით დოცეის დროხაც კი არ გადმომეარხხი ცრემლი. მოული დღის განმავლობაში ხამისილად ვიტანხეებოდი, მაგრამ ეს არავის შეუქმნეეეა, და ამ სუელიერი ხადმიობხ უამხ შექმლებხიდაგვარად გვეედრებოდი, ტოიცილისაგან მიხეხეხი-მეთუი. შეს კი არ შეეხისხე ნემი ევდრება, აღბათ, იმეტამ, რომ ნემს განებმაში ხამელამოდ ადგებეედა, თუ რა მტკიცეა ნეეეელებხ ბორკილები თვით იმ სუელისოეხიცი კი, რომელიც უკვე ეტეეერი ხიჭეეით ხაზრდილობხ.

და მამის აბანოში წახვდა გადაუწყვიტეუ (გაგახილი მქანდა, რომ აბანოს ბერძნულად „ბადანუიონი“ ქქია: ვითამცა სულისანი მწუხარების განდევნას უწყობს ხელნაი15). გულახდილად ვაღიარებ ამას შენს წინაშე, თბილთა მამაო: წავედი და განიძბანე კიდევ, მაგრამ ისეთივე მწუხარე დავერნი, როგორც განძბანდე ვიყავი. არასდიდებით არ ამოირეცხა ჩემი გულიდანი ხიმწრის ნადეკლი. მერე წამქინა და როცა გამოვიღეიძე, ჩემი მწუხარება მიუქნებულაიყო. ხარეცელსუ მარტო მწოდარეს გქმახხენდა შენი ამბროსის მართალი სიტყვები16:

„ღმერთო, ვივლის შემოქმელო,
ცისა და მიწის გამრიგეე,
დღის ნათული სხივინანი,
ხარეცელი შეგებო ღამის,
რომ სხეულმა დაქანცულმა
კვლავაც იგრძნოს ძველი ხიმხე,
მოყვინოს წამებულ ხელს,
ხაზარული დაცხრეს ურეა“17.)

33. მერე კი თანდათანობით დამიბრუნდა უწინდელი გრძობა: გამახხენდა შენი მხეველი, მისი ღუთისმოხაობა, დედაბრძვი ალურსი და გულმოწყალება; გამახხენდა, ვინც ასე უეცრად გამომეცვალა ხელიდან, და კვლავ მომიხდა ტირილით მეჯერა გული შენს წინაშე. მისილდა მეტირა მასსუ და მისთეის, ჩემსუ და ჩემოთეის. და მე გ'ხა მივეცი ცრემლებს, აქამდე რომ ვიკავედი: დაე, თაესიყვლად ედინათ. თოქოს რბილ ხარეცელსუ მოისეგნათ, ისე დამშვიდდა ამ ცრემლის ღერით ჩემი გული, რადგანაც შენ გეხმოდა ჩემი ტირილი, რომელსაც ვერ გაიგებდა ვერაინ, ვისაც შეეძლო მცდარად განემარტა მისი მიხეი.

და, აი, ახლა აღხარებას გეუბნები, უყვლო, და შენს წინაშე ვაღიარებ ამას ჩემს წიგნში. დაე, წაიკოხოს, ვისაც სურს, და ისე განმარტოს, როგორც სურს. თუ ვინმეს მოუწყენება, რომ ვცოდე, რაკილა ასე ცოტა ხანს დავტირადი დედაჩემს, რომელიც დროებით მოკვდა ჩემს თვალში, და ამდენ ხანს კი დამტიროდა, რათა მეცოცხლა შენს თვალში, - დაე, დამცინოს; მაგრამ თუ ჭეშმარიტად გულმოწყალება, დაე, შენს წინაშე დაიტიროს ჩემი ცოდვები, ეველა ქრისტესნიერთი ძის მამაო.

XIII

34. მას შემდეგ, რაც ჩემი გული განიკურნა ამ ჭრილობისგან (რის გამოც შეიძლება ვამხილათ კაცთა ხორციელი სიხეხტე), მე უკვე სულ სხვა ცრემლებს ეღვრიდი შენს წინაშე, ღმერთო წყნო, ამ შენი

ხათია მხეველისთვის: ცრემლებს, რომელთაც აფრქვევს სული იმ ხა-
ფრთხის წარმოდგენასზე, რაც მოელის უკლებლივ ეველას, ვინც კვდება
ადამის მიერ¹¹⁸. და თუკია შენი მხეველი, ჯერ კიდევ ხორც შემოხილი,
ქრისტეს მიერ კვლავ ეხიარა სიცოცხლეს და ისე ცხოვრობდა, რომ
თავისი რწმენითა და სწავლით განადიდებდა შენს სახელს, მაინც ვერ
ვბედავ იმის თქმას, თითქოს მას შემდეგ, რაც ხელახლა იშვა სათ-
ლისებობით, დედანების ბაგეს ერთი სიტყვაც არ დასცვლია შენი მცნე-
ბების წინააღმდეგ¹¹⁹. აკი თვით ჭეშმარიტების, არე შენი ძის მიერ
თქვა: „ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგი, ცეცხლის გუნჯაში უნდა
წავარდეს“¹²⁰. და ვაი იმ კაცს, ხანაქობა ცხოვრებითაც რომ ეცხოფ-
როს, ვისაც გულმოწყალების გარეშე განსჯი და განიკითხავ მას, რა
გვახუცდებდავ იმის მოიძულეთ, რომ თუნიდაც სულ მცირე ადგილს
მოვიპოვებთ შენს გვერდით? მხოლოდ ის, რომ მოული სიმკაცრით არ
იძებ ნუქსს შეცოდებებს. რადგანაც ვინც დაწვრილებით წამოგთოვლის
ეველა თავის დამსახურებას, სხვას რას წამოთოვლის, თუ არა შენს
მადლსა და ნიჭს? თუ, ნეტა კაცი შეიგნებდეს, რომ მხოლოდ კაცია,
„ხოლო ვინც იქადის, უფლით იქადიდეს“¹²¹.

35. ამრიგად, „დიდებაჲ და ცხოვრებჲ წემი“¹²², „ღმერთო წემი
გულისა“¹²³, მცირე ხნით დავიფრქვებ დედანების კეთილ საქმეებს, რო-
მელთათვისაც სიხარულით გწირავ მადლობას, და ახლა გვედრები,
მოუტყუო მისი ცოდვები: შეიხმისე წემი ღოცვა მისი სახელით, ვინც
განკურსა წენი წყალობები და წვენთვისეუ ჯვარცმული „წვენდა მე-
ოხად“¹²⁴ დაჯდა შენს მარჯვნივ.


ვიცი, რაღაქნ მოწყალებე იყო და მთელი გულთ მოუტყუებდა
„თავის მოვადყო“¹²⁵; შენც მოუტყუე მისი ცოდვები, თუკი რამ შეუცო-
დავს აძღენი წლის განმავლობაში სათლისებობის შემდეგ. მოუტყუე,
უფალო, გვედრები, მოუტყუე და „სუ შეხეალ სამსჯავროსი მას-
თან“¹²⁶, არამედ „მოწყალებამ იმსდავროს მსჯავროსე“¹²⁷, რადგანაც
ჭეშმარიტია შენი სიტყვა, შეწყალება რომ აღუთქვი მოწყალებით. ხოლო
ვინც მოწყალება, შენი წყალობითაა მოწყალებე, რაკიდა „შეიწყალებ
შესაწყალებულს და გებრალება, ვინც უნდა გებრალებოდეს“¹²⁸.

36. მე მგონია, უკვე ამისრულე თხოვნა, მაგრამ „შეიწყინარე,
უფალო, ნუბითი მსხვერპლი წემი ჰირისა“¹²⁹. სიკვდილის წინა დღეს
განა მდიდრულ გახვეწებაზე ფიქრობდა, ან მოითხოვდა კეთილსურნე-
ლოვანი საცხებელი ეცხოთ და დიდებული ძეგლი ავეთ მისთვის,
ანდა მოხობლიურ მხარეში დაემარხათ? არა, ეს როდი დაუბარებია,
მხოლოდ ის გვთხოვა, შენს წმიდა საკურთხეველთან მოგვეხსენიებინა,
რომელსაც ერთგულად ემსახურებოდა მოული სიცოცხლის განმავლო-
ბაში, რადგანაც იცოდა რომ მასზე შეიწირება წმიდა მსხვერპლი,

რომლითაც „წარისიციება ჩვენს გამო 'შეოხ'სული ხელწერილი, მიმართული ჩვენს წინააღმდეგ“130 და მარცხდება ჩვენი მტერი, რომელიც ეძებს იმის საბაბს, რომ ბრალი დაგედოს131, მაგრამ ვერაფერს პოულობს მასში, ვისი მეოხებითაც ვიმარჯვებო. ვინ დაუბრუნებს უმანკოდ დათხუელ სიხელს? ვინ გადაუხდის იმის საფსურს, რითაც გამოგვისყიდა ჩვენი მტრისაგან?

გამოსყიდვის ამ საიდუმლოს ჩაეწნა სული 'შენი მხვედლის რწმენის საკრელით. დაე, ვედარავინ მოსწვევითოს იგი 'შენს წიადს. დაე, ვერც ლომმა და ვერც მგელმა ვერ 'შესძლონ მასში 'შელწევა ძალითა თუ ცბიერებით132: სული არ ეტყვის მათ, რომ არაფერი არ მართებს მათი, იმისი 'შიშით, ვაითუ მასხილოს და მიმიტაცოს მაცთურმა ბრალმდებელმაო, არამედ პასუხად მიუბებს, რომ მიეტევა ცოდვები მის მიერ, ვისაც ვერავინ მიაგებს იმას, რაც მან მოგვაგო, თემცა არაფერი მართებდა ჩვენი.

37. დაე, მწვიდობა მისცეს დიერომა მეუღლესთან ერთად, ვის გარდა სხვა ქმარი არ პოლიოა, არც მანამდე და არც მისი სიკედილის 'შემდეგ; ვისაც ემსახურებოდა და „ნაყოფიც გამოაქონდა მოთმინებით“133, რათა 'შენთვის 'შეეძინა იგი134. მაშ, ჩააგონე ყველა 'შენს მსახურსა და ჩემს ძმას, ყველა 'შენს 'შეილსა და ჩემს მოძღვარს, რომელთაც ემსახურები სიტყვით, გულით და კადმით, რომ ამ სტრიქონების კითხვისას 'შენს წმიდა საკუროხვევლთან მოიხსენიონ მონიკა, 'შენი მხევალი, და პატრიციუსი, ოდესღაც მისი მეუღლე, რომელთა ხორცის მეოხებითაც გამომიხმე ამ ქვეყნად, მაგრამ როგორ, ეს კი არ ვიცი. დაე, სიყვარულით მოიხსენიონ ჩემი მშობლები ამ წუთისოფლად, 'შენმიერი და-მსა ჩემი 'შენში135, მამაო, და ჩვენს დედა ეკლესიაში, ჩემი თანამოქალაქეები სუციურ იერუსალიმში, რომლისთვისაც თავის ხეტიალში დასაბამიდან დასასრულამდე გამქდმებით ჭმუნავს 'შენი ერი. დაე, მრავალი მოყვასის ლოცვით უფრო სრულად აღსრულდეს მისი უკანასკნელი თხოვნა ჩემდამი, - არა მარტო ჩემი ლოცვა-ვედრებით, არამედ ჩემი აღსარებითაც.





I

1. „შეგიცნობ შენ“, ჩემი შეპყრობილი, „შეგიცნობ შენ, როგორც შენგას შევიმეცნებო“1. ძალდა სულია, შემოდი ჩემსავე სულში და მიხადდე თუ, რათა იყოს შენი სამკვიდრო, ამწიკვლითა თუ ზადის გარეშე2. ესაა სახეობა ჩემი, ამიტომაც ამას ვამბობ3 და ამ სახეობით ვხარობ4, თუკი ჭეშმარიტია ეს ჩემი სიხარული. ამა სოფლის სხვა სიკეთენი მით უფრო ნაკლებ ღირსნი არიან ცრემლების ღერისა, რაც უფრო მწარედ დასტირიან მათ, და მით უფრო მეტად იმსახურებენ ცრემლებს, რაც უფრო ნაკლებ გოდებენ მათ გამო. „და, ამა, შენ შეიყვარე ჭეშმარიტება“5, რადგანაც „ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის“6. მეც მინდა ჩემს გულში აღვასრულო ჭეშმარიტება შენს წინაშე ჩემივე აღსარებით და, იმავდროულად, ჩემი ქმნილებითაც მრავალი მოწმის წინაშე.

II

2. მაგრამ აღსარებაც რომ არ მეტყვა შენთვის, უფალო, გახა რაიმე დაემადლებოდა შენს თვალს, რომლისთვისაც „არა არის რა დაფარული, არამედ ყოველივე გაშიშვლებულია და გამოაშკარავებული“7, თვით უფსკრულიც კი ადამიანის სინდისისა8 შენ შეიძლება დაფარული იყო ჩემთვის, მე კი ვერხად დაგემადლები. „და ახლა, როცა ჩემი გმინვა თვალნათლივ მოწმობს, რომ აღარად მიმანია ჩემივე თავი, ათასწილ უფრო მეტად ბრწყინავ, სიტკბოებავ და სინათლევ ჩემო, რათა მიეყვარდე და დაუოკებლად ვილტვოდე შენსკენ; რათა სირცხვილმა დამწვას, უარყო ჩემი თავი და მის ხანაცვლოდ შენ აგირჩიო, რომ მხოლოდ შენით მომწონდეს თავი და მოხაწონი ვიყო შენთვისაც.“

როგორიც უნდა ვიყო, უფალო, მთლიანად შენს წინაშე ვდგავარ; უკვე გითხარი, რა ნაყოფსაც მოველი ამ ჩემი აღსარებიდან, რომელსაც ხორციელი ხმითა და სიტყვებით როდი გეუბნები, არამედ სულის სიტყვებითა და ფიქრთა დაღადისით, რასაც აღიქვამს შენი სასმენელი. როდესაც უკეთურება მომჭარბდება, მოუღი ჩემი აღსარება შენდამი ისაა, რომ თვითონვე არ მომწონს ჩემივე თავი, ხოლო როცა სიკეთე მძლავრობს ჩემში, აი, ჩემი აღსარება შენდამი: ჩემს თავს როდი მივაწერ ამას, რადგანაც „შენ აკუროხებ მართალს, უფალო“9, მაგრამ მანამდე „შენვე უჩვენებ სიმართლის გზას იმას“10, ვინც ადრე ცოდვილი იყო. ჩემი აღსარება შენს წინაშე მღუქმარეცაა და დაუღუქმე-

ბელიც. დუმს ენა, მაგრამ დადადეგს გული. არ არსებობს ისეთი წრეველი სიტყვა, ხაღხს რომ ეუთხრა და უმადლ შენ არ იხსინო, და არც რა გსმენია ნემგან ისეთი, უმადლ შენ რომ არ გუჟიქვას ნემთვის.

III

3. მაშ, რა მესაქმება ხაღხთან, ან რატომ უხდა იხსინის ნემი აღსარება, თითქოს შეეძლოთ „ყოველი ნემი სხეულები“¹¹ განკურნვა? ეს მოდგმა მხოლოდ სხვისი ცხოვრების წხრეკაში იხენს გულმოდგინებას, მაგრამ თითხაც არ გაანძრევს იმისთვის, რომ გამოსასწოროს თავისი საკუთარი ცხოვრება. რატომ ცდილობენ ნემგან გაიგონ, ვინ ვარ და რა ვარ? რატომ ცდილობენ ამას იხსინი, ვისაც არ სურს შენგან გაიგოს, რანი არიან თავად? თქმცა ვინც ნემგან იხმენს ნემსავე ამბავს, რანაირად გაიგებს, მართაღს ვამბობ თუ არა, ვინაიდან არცერთმა კაცმა არ იცის „რა ხდება კაცში, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში“¹². ხოლო თუ შენგან გაიგებს, რა არის თავად, ვეღარ იტყვის, უფალი ცრუობსო. ვინც იხმენს, რას ამბობ მასზე, განა ამით არ შეიცნობს საკუთარ თავს? ან ვის შეუძლია, თავისი თავი შეიცნოს და თქვას, ეს სიცრუეაო? მაგრამ რაკი „სიყვარულს ეველაფერი სწამს“¹³, ყოველ შემთხვევაში, მათ შორის მაინც, ვინც ერთარხად შეუისხიხორციება, ამიტომ მეც აღსარებას გუჟებები, უფალო, რათა გაიგოს ის იმ ხაღხმა, რომელსაც ვერ დავემტკიცებ, მართალია თუ არა ეს ნემი აღსარება; მაგრამ იმათ მაინც სწამთ ნემი, ვისაც ეურსი სიყვარულმა განუხენა ნემი სიტყვებისათვის.

4. მაშ, განიმიარტე, ნემი სულის მკურნალო, რისთვის ვიქმ ამას. უწინდელ ცოდვათა აღიარება, რომელნიც უმევე წარხოცე და მომიტყეე, რათა ბედნიერი ვყოფილიყავი შენში, და რწმენითა თუ იდუმალებით შეცვალე ნემი სული¹⁴, დიახ, ამნაირი აღიარება აფიხილგებს მისი მკითხველისა თუ მსმენელის სულს, ნებას არ აძლევს მას სასოწარკვეთილებას მიეცეს და მწარედ ამოიგმინოს, აღარ შემოიძლიაო, აიძულებს იფიხილოს შენი მოწველებისა და უტყებესი მაღლის იმედით, მოწველებისა, ძაღას რომ ანიჭებს უძღურს, რომელიც მისი მეოხებით შეიცნობს თავის უძღურებას¹⁵. კეთილი კაცი სიამოვნებით იხმენს სხვის მიერ ოდესხად განცდილი უბედურების ამბავს, მაგრამ თვით უბედურება კი არ ანიჭებს სიამოვნებას, არამედ ის, რომ უბედურება უკან დარჩა.

მაშ, რას მოველი, დმერთო ნემო, ვისაც ნემი სინიდიხი ყოველდღე მოგმართავს აღსარებით, სინიდიხი, რომელსაც შენი გულმოწველების იმედი უფრო აქვს, ვიდრე თავისი უმანკოებისა? გუჟიხები, რას მოველი-მეთქი, ამ ნემი აღსარებით რომ ვდგავარ რო-

გორც შენს წინაშე, უფალო, ასევე კაცთა წინაშეც, და იმას კი არ გაუწყებთ, თუ როგორი ვიყავი უწის, არამედ იმას, თუ როგორი ვარ ახლა. რა ნაყოფი გამოაქვს გარდასუელ შეცოდებთა აღიარებას, ეს დაეინახე და აღვნიშნე კიდევ. მაგრამ ვის მიხედვით, რამდენს უნდა გაიგოს, რანაირი ვარ მე ახლა, როცა ამ წემს აღსარებას ვქერ; ზოგი მიცნობს, ზოგი კი არა, მაგრამ რაღაცა გაუგია წემგან ან წემსზე. ვი რომ უერს ვერ მიაღებენ წემს გულს, თორემ მაშის კი მიხედვითდნენ, ვინცა ვარ. ამიტომაც სურთ მოიხმინოს წემი აღსარება იმის თაობაზე, ვის ვარ და რა ვარ შინაგანად, რაც მიეწველიყლია როგორც მათი თვალისთვის, ისე უერისა თუ განებთხოვისაც. მათ სურთ ირწმუნოს წემი ხიტყვები, თორემ რა გ'ხით შემიცნობეს სხვათაირად? ხივეარული, რამელიც აკეთილშობილებს მათ სულს, არწმუნებს მათ, რომ არ ვიცრუებ წემს აღსარებაში, და თვით ამ ხივეარულს მათხას სჯერა წემი.

IV

5. მაგრამ ან იხინი რა ნაყოფს მოელოან აქედან? იქნებ სურთ მიიღლოცოს, როცა გაიგებენ რამდენად მოგიახლოვდა შენი წყალობით, და იღლოცოს წემთვის, როცა გაიცხადებეს, რარიგად შემსაყურია წემივე ტვიროის ხიმისიმე? თავს გაუქმლავნებ ამნაირთ. მცირედი რიდა ნაყოფი, უფალო ღმერთო წემო, როცა „შენს მიმართ მრავალნი აღაუღენენ მადლს წემთვის“¹⁶ და მრავალნი შეგაუყვდრებენ წემს თავს. დაე, შეიქვაროს მოყვასის სულმა წემში ის, რის ხივეარულსაც გვასწავლი, და დაიტიროს ის, რაც სატირლად გიჩანს.

დაე, თგრძისო უცხომ კი არა, მოყვასის სულმა, არა იმათმა, „ვისი ბაგენიც ტყუილს იტყვიან და ვისი მარჯვენაც უხამართლობის მარჯვენაა“¹⁷, არამედ მისი სულმა, რამელიც, თუ მიწინებს, ხარობს წემს გამო, ხილო თუ მგმობს, წემთვისვე წუხს, რადგან მიწინებს თუ მიწინებს, მაინც ერთნაირად ვუყვარვარ. თავს გაუქმლავნებ ამნაირთ: დაე, უხაროდეთ ყოველივე კარგი, რაც არის წემში, და წუხდნენ ცუდის გამო. რაც კარგია წემში, შენსიერია, ცუდი კი წემი ცოდვებისგან იღებს დახაბამს, რამელთაც შენ პგმობ. დაე, სიხარულით უმსერდნენ პირველს და წუხდნენ მეორის გამო. დაე, წემს ძმების გულიდან, როგორც ხასკეკლედან, ამოიქმეს შენდამი საგადლობელიც და გოდებაც. შენ კი, ვინც ტკბები შენივე ტამრის კეთილსურნელებით, „შემიწყაღე შენი უხასღვრო გულმოწყალებით“¹⁸, და რაკი არახილდეს დაუბოლოვებლად არ ტოვებ შენს საქმეს, ბოლამდე წარხოცე არახრულქმისილებაც წემი.

6. აი, წემი აღსარების ნაყოფი: იმის გადმოცემა კი არა, თუ როგორი ვიყავი უწის, არამედ იმისა, თუ როგორი ვარ აქამად. მე

მინდა ვაღიარო ეს არა მარტო შენს წინაშე, იდეალური „შიშით და ძრწოლით“¹⁹, იდეალური ჭმუნვით და სასიყვარულო, არამედ ადამის კეთილ-მორწმუნე ძეგლი წინაშეც, რომელნიც იხიარებენ ჩემს სიხარულს და ინაწილებენ ჩემს მწარე ხვედრსაც – მოკვდავობას. ისინი ჩემი თანამო-ქალაქენი არიან და ჩემივე თანამგზავრნი ამქვეყნიურ ცხოვრების ორომტრიალში, მიუხედავად იმისა, წინ მისწრებდნენ, უკან მომდევნ თუ ჩემს მხარდამხარ მოდიან: შენი მსახურნი და ჩემი ძმები, შენი შვილები და ჩემი უფალნი, რომელთა მსახურებაც მიბრძანე, თუკი ვისურვებდი შენითა და შენთვის მეცოცხლდა. შენს ძეს რომ მხოლოდ სიტყვებით დავემოძღვრეთ, ეს არ იქნებოდა საკმარისი, მაგრამ მან თავისი საქმით გვიჩვენა გზა, და მეც ამ გზას მივსდევ: სიტყვით თუ საქმით ვემსახურები ჩემსავე მოყვასთ, „შენი ფრთების ჩრდილს შე-ფარებული“²⁰, რადგანაც საშინელი განსაცდელი მეუპყრობოდა, შენს ფრთებს რომ არ შეხიზვნოდა ჩემი სული, და არ გცოდნოდა ჩემი უძლეულება. მე ვარ უმწყო ყრმა, მაგრამ უკვდავია მამა ჩემი და ყოვ-ლისმძლეა მფარველი ჩემი. მან დამბადა და მმფარველობს კიდევც. შენა ხარ მთელი ჩემი სიკეთე, მძლეუთამძლეო; ყოველთვის ჩემთან იყავი, თვით მაშინაც კი, ვიდრე მე მოვიდოდი შენთან. ამიტომაც ვაუწყებ იმ ხალხს, ვისი მსახურებაც მიბრძანე, არა იმას, თუ რა ვიკავი, არამედ იმას, თუ ვინა ვარ და რა ვარ ახლა. მაგრამ „მე თვითონ როდი განვი-კითხავ ჩემსავე თავს“²¹; დაე, ახსოვდეთ ეს ჩემს მსმენელებს.

V

7. შენ განმიკითხავ, უფალო, რადგანაც არაღინ იცი „რა ხდება კაცში, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში“²². მაგრამ არის კაცში რაღაც ისეთი, რაც არ იცი თვით კაცის სულმა, რომელიც არის მასში, ხოლო შენ, უფალო, ჭეშმარიტად იცი ყოველი, რაც არის კაცში, რადგანაც შენ შექმენი იგი. ისე კი, მართალია, უბადრუკი ვარ შენს წინაშე და „მტერად და ფერუფლად“²³ მიმანსია ჩემივე თავი, მა-გრამ ვიცი შენზე რაღაც ისეთი, რაც თვით ჩემსედაც არ ვიცი. რა თქმა უნდა, „ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში“ და არა „პირისპირ“²⁴, ამიტომ შენგან განშორებული და უცხო მხარეს მოხეტიალე²⁵ ჩემს თავთან უფრო ახლოსა ვარ, ვიდრე შენთან, მაგრამ ის მაინც ვიცი, რომ ვერავინ დაგატანს ძალდას, ხოლო რანაირ საც-თურს შემოძლია აღვუდგე წინ და რანაირს – არა, ეს კი არ ვიცი. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ „სარწმუნო ხარ“ და „არ განგვაცდევინებ იმას, რისი თმენაც ჩვენს ძალ-ღონეს აღვმატება, არა-მედ განსაცდელში გამოსავალსაც გაპოვინებ, რათა შევიძლოთ დათ-მენა“²⁶.]

ამრიგად, აღსარებას გუეზნები და ვალიარებ არა მარტო იმას, რაც ჩემსავე თავზე ვიცი, არამედ იმასაც, რაც არ ვიცი. რადგან ის, რაც ჩემსავე თავზე ვიცი, შენგან ნათელაყენილმა ვიცი, ხოლო რაც არ ვიცი, მანამდე არ შეცოდინება, სანამ ჩემი „წყველიაღი“ „შუადღესავით არ გაბრწყინდება“²⁷ შენი სხივოსანი სახის წინაშე.

VI

8. ცხადად შევიგრძნე, რომ მიყვარხარ, უფალო: აქ არაფერია საგვეო. შენი სიტყვით განწონე ჩემი გული და მეც შეგიყვარე. ცა(ც, მიწაც და ყოველივე ისიც, რითაც კი საესობენ ისინი, ყოველი მხრიდან მიხმობენ, გიყვარდესო შენი უფალი, და ამასვე გამუდმებით ჩააგონებენ ყველას, რათა ვერაინ „შეძლოს თავის მართლება“²⁸. უფრო სრული იქნება შენი წყალობა იმის მიმართ, ვისაც სწყალობდი, და უფრო გუდმოწყალე იქნები მისდამი, ვისაც გუდმოწყალებით ემსჯელებოდი²⁹. ასე რომ არ იყოს, ცა და მიწა ყრუებს თუ უქადაგებდნენ დიდებას შენსას.

მაგრამ რა მიყვარს, როცა მიყვარხარ შენ? არა ხორციელი სილამაზე, არა წარმავალი მშვენიერება, არა თვალთათვის ესოდენ საამო ბრწყინვალეობა, აი, ამ ნათლისა, არც კეთილხმოვანება სიმღერებისა თუ საგალობლებისა, არც ყვავილთა, საკმეველთა თუ ნელსაცხებულთა ამო სურნელი, არც ზეციური მანანა თუ თაფლი, არც ქალის სავსე სხეული, ესოდენ სასურველი ხვეწნა-კოცნისთვის: არა, ყოველივე ეს როდი მიყვარს, როცა მიყვარს ღმერთი ჩემი. ეს ნათელიც, ეს ხმაც, ეს სურნელებაც, საზრდოც და ხვეწნაც „მინაგანი კაცისაა“, რომელიც არის ჩემში, იქ, სადაც ჩემს სულს აცისკროვნებს სივრცით გარშემოუწერელი უცხო ნათელი; სჯდაც უღერს ის ხმა, რომელსაც დრო ვერ დაადუმებს; სადაც იკმევა სურნელება, რომელსაც ქარი ვერ განაქარებს; სადაც საზრდოს ვერ მოგვაყირჩებს ნაყოფანება და სადაც ხვეწნის ნეტარებას ვერ გვაბეზრებს ტკობის სისახე. აი, რა მიყვარს, როცა მიყვარს ღმერთი ჩემი.

9. კი მაგრამ, მაინც რა არის ღმერთი? ვკითხე მიწას, და მან მომიგო: „მე არა ვარ ღმერთი“; და მიწის ყოველმა მკვიდრმაც იგივე აღიარა³⁰. ვკითხე ზღვას, უფსკრულს და მასში მობინადრე ქვეწარმევალთაც; მათაც მომიგეს: „ჩვენ არა ვართ ღმერთი; ეძიე. ჩვენს შემოთ“. ვკითხე ბობოქარ ქარებს და მთელმა პაეროვანმა სივრცემ, თავისი ბინადრებითურთ, პასუხად მითხრა: „ანაქსიმენეჰი ცდება: მე არა ვარ ღმერთი“. ვკითხე ცას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს: „არა ვართ ღმერთი, რომელსაც ეძებ“, – იყო პასუხი. მაშინ დავეკითხე ყველაფერს, რაც გარს არტყია ჩემს სხეულს: „მითხარით რამე ჩემს

დმერთხე, - თქვენ ხომ არა ხართ იგი, - რამე მასიც მოთხაროთ მასხე“. და მათაც შემომღადადეს: „ჩვენ კი არა, ჩვენი შემოქმედი, - აი, ვის არის დმერთი“³². ჩემი ჭერეცა იყო ჩემი შეკითხვა, ხალა მათი პასუხი - მათივე მშვენიერება.

მაშინ ჩემსავე თავს მიეუბრუნდი და ვკითხე: „ვისა ხარ შენ?“ და მან მომიგო: „ადამიანი“. აჰა, ჩემი ხორცი და ჩემი სული, ჩემდა ხამსახურად გამზადებულნი, ერთს გარეგან გარსს რომ ეკლდებო, ხალა მეორეს - შინაგან არსს. ამ ორთაგან რომელსა ვკითხო, ვის არის ჩემი დმერთი-მეთქი, ვისაც ამდენხანს ვეძებდი, მიწიდას მოეღებულე ვიდრე ზეცამდე, ხალამდისაც კი შემეძლო მიმეწვიდნა ჩემი თვალის სხივები? რა თქმა უნდა, უმჯობესია ჩემს შინაგან არსს ვკითხო. ყველა ხორციელმა მაცნემ უკვე აუწვა ჩემს სულს, ჰეგემონსა და მხაჯულს, როგორც ცისა და მიწის, ისე ყოველივე ზეციურის თუ მიწიერის პასუხი: „არა, ჩვენ კი არა, ჩვენი შემოქმედი, - აი, ვის არის დმერთი“. შინაგან კაცს გარეგანმა აუწვა ეს, რომელიც არის მისი მხახური. ჩემმა სულმა, ანუ ჩემმა შინაგანმა „მე“-მ ხორციელი გრძობების მემკვიდრით შეიტყო თავისი კითხვის პასუხი. ვკითხე მოელ სამყაროს ჩემი დმერთის ამბავი, და მანაც პასუხად მოთხრა: „არა, მე კი არა, ჩემი შემოქმედი, - აი, ვის არის დმერთი“.

10. მერედა, ნოთუ ყველას, ვისი ხორციელი გრძობებიც ხალა, ერთნაირად არ წარმოეჩნდება სამყაროს ეს მშვენიერება? მაშ, რატომ არ ეუბნება იგი ყველას ერთსა და იმავეს? როგორც პაწაწკისტელა, ისე ვეება ცხოველებიც ხედავენ მას, მაგრამ არ შეეძლიათ რაიმე პკითხონ, რადგანაც მათ არა ჰქავთ სულის მაცნე გრძობების ფხიზელი მხაჯული - განსხჯული გონი. ადამიანებს კი შეეძლიათ პკითხონ, რათა „ის, რაც უხილავია დმერთში, ხაცნაური და ხილული გახდეს“³³. მაგრამ შექმნილი სამყაროს სიყვარულით თვალდავხილნი კიდევაც ემსახებიან მას, დამონებულთ კი აღარ შესწევთ განსჯის უნარი. ზალა შექმნილი სამყარო შეკითხვაზე მხოლოდ იმას მოუგებს, ვისაც განსჯის უნარი აქვს: ის არ იცვლის ხმას, ანუ თავის მშვენიერებას, და სხვადასხვა სახით არ წარმოეჩნდება არც იმას, ვინც მხოლოდ ხედავს და არც იმას, ვინც ხედავს და კიდევ ვკითხება. თუმცა ერთნაირი სახით რომ ველისება ორივეს, პირველის მიმართ მუნჯია, მეორეს კი პასუხს მოუგებს, მაგრამ მისი ხმა გასაგებია მხოლოდ მისთვის, ვინც ამ ხმის გაგანებისას იმ ჭეშმარიტებას აღარებს მას, რომელიც მკვიდრობს ჩვენს სულში³⁴. ეს ჭეშმარიტება კი, აი, რას მეუბნება მე: „შენი დმერთი არც ცაა, არც მიწა და არც ესა თუ ის სხეული“. თვით მათი ბუნება ცხადყოფს ამას. მხედველი-სათვის ყოველი სხეულის ნაწილი ნაკლებია მის მოელ მასხე. ამ-

ტიმაც უკეთესი ხარ, შენ გვეუბნები, სულა, რადგანაც შენ ასეულდგ-
მულელებს სხეულის მთელ მსახარს, რომელშიაც მკვიდრობ, და სიცოცხლეს
ანთვებს მას, მაშინ რადგანაც ვერცერთი სხეული სიცოცხლეს ვერ მო-
ანთვებს მეორე სხეულს³⁵. ხოლო შენი ღმერთი უფრო მეტია: იგია
შენი სიცოცხლის სიცოცხლე.

VII

11. კი მაგრამ, მათაც რა მოეყარს, როცა მოეყარს ღმერთი წემი?
ვის არის იგი, წემს სულზე უმაღლესი და უხუცაესი? ამ წემი სულით
ავსაღლდეები მის ხიდადემდე. თავს მოვეყვლები იმ ძალას, რომელიც
მაკავშირებს სხეულთან და სიცოცხლით აღაქვებს მას. ეს ძალა რაღა
მაპოვინებებს ღმერთს, თორემ მაშინ მის პოვნას აუგახი ცხენიცა და
ჯორიც³⁶ შესაძლებლეს. მაგრამ მათაც აქეთ სწორედ ეს ძალა, რო-
მელიც სიცოცხლეს ანთვებს მათ სხეულს.

არის სხვა ძალაც, რომლითაც არა მარტო სიცოცხლეს ვანთვებ
წემს სხეულს, არამედ მგრძნობელობაც. ეს ძალა შექმნა ღმერთმა,
რომელმაც თვალს დაუწვება, კი არ იხმენდეს, არამედ ხედავდეს,
ხოლო უერს – კი არ ხედავდეს, არამედ იხმენდეს, და ახე, თვითვე
გრძნობას თავისი ადგილი და დანიშნულება მიუჩინა. სწორედ მათი
მეშვეობით ვახრულებ სხვადასხვა დანიშნულებას და იმადროულად
ვინარჩუნებ წემს სულიერ ერთიანობას. უკან მივითვებ ამ ძალასაც;
ის ცხენსაცა აქვს და ჯორსაც, რადგან მათთვისაც ნიშნულთა
სხეულებრივი გრძნობები.

VIII

12. ამრიგად, უკან ვივითვებ წემი ბუნების ამ ძალასაც, რათა
თანდათანობით ავსაღლდე მის ხიდადემდე, ვინც შექმნა. და, აი, მე
ვეახლოვდები მეხსიერების ვრცელ ველსა და სრა-სასახლეს³⁸, ამ
უხარმსხარ განმობაცავს, სადაც თავისიერილია გრძნობებით აღქმულ
საგანთა ურიცხვი ხატებანი. აქა დაცული ეველაფერი, რაც დავიწყ-
ბას არ მოაუწყობს და დაუსამარებია; ეველაფერი, რასაც ვაფ-
აღიბებთ, ვხრდით ან ვაქნისებთ, ვცვლით და ამა თუ იმ სახეს ვანი-
ჭებთ.

როცა იქა ვარ, მე შემოიღია გამოვიხმო ის ხატებანი, რომელნიც
მინდა. სოგი მაშინვე წარმოამჩნებდა, სოგს კი დიდხანს უნდა
ელოდა, თითქოს თავიანთი საკნიდან გამოსვლა უხარებდით; სოგიც
ჯგროდ გამოვიფინებდა, საცვლად იმისა, რასაც ვეძებ და ვოხულობ,
და თითქოს მეუბნება, წვენ ხომ არ გვიხმო? მე გონების ხელს ვეჭმევ
ამ აბქნრებს, ძალით ვიცვილებ თავიდან, და ბოლოს ის, რაც მსურდა,

თითქოს ღრუბლებიდან გამოანათაო, ზღაპრით გამოდის თავისი სამალავიდან; სოგიც ძალდაუტანებლად მეკლინება და მწყობრი წესრიგით ჩამივლის გონების თვალწინ, სწორედ ისე, როგორც მე მსურდა: წინამორბედი მომდევნოს უთმობს ადგილს, თვითონ კი უწინარდება, რათა შემდეგ, ჩემი მოთხოვნისთანავე, ხელახლა გამომეცხადოს. ასე ხდება, როცა რაიმეს ვიგონებ და ვეკვები ვინმეს³⁹.

13. აქ ცალ-ცალკე, სახეობებისდა მიხედვით ჯგუფდება და ინახება ყველაფერი, რაც გრძნობებს შეუტანიათ შიგ, თვითუელს – თავისი გზით: სინათლე, ყოველი სხეულის ფერი თუ ფორმა – თვალებს; ბევრათა ურიცხვი სიმრავლე – ყურებს; ათასგვარი სურნელი – ნესტოებს; ათასნაირი გემო – პირს; ყოველივე ის, რაც მკვრივია თუ რბილი, ცხელი თუ ცივი, მქისე თუ გლუვი, მძიმე თუ მსუბუქი, შინაგანი თუ გარეგანი, – მოელ სხეულს თავისი გრძნობელობით. ყოველივე ამას მეხსიერება მიირქმევს თავის უსასრულო საცავეში, თავის ფარულსა და იდუმალ სენაკებში, ურიცხვ ცხრაკლიტულსა თუ უღრმესსა და უშინაგნეს კუთხე-კუნტულში, რათა სათანადოდ გადაამუშაოს და, თუ საჭიროება მოითხოვს, კიდევ გამოიხმოს იქიდან. ყველაფერს თავისი შესასვლელი აქვს და ამ საცავეში გროვდება.

მაგრამ შედიან არა საკუთრივ საგნები, არამედ მათი ხატებანი, დაუყოვნებლივ რომ ამოტივტივდებიან მისი გონების თვალწინ, ვინც მათ იგონებს. ეინ იცის, როგორ ჩამოყალიბდნენ, თუმცა ის კი ნათელია, რომელმა გრძნობამ მოიხელთა და მოათავსა სკელის სიღრმეში.

გასუჭვრეტელ უკენეთსა და მღვმარებაშიც რომ ვცხოვრობდე, თუ მოვინდომებ, მაინც შემიძლია მეხსიერებაში გამოვიხმო ფერები, ერთმანეთისაგან განვასხვავო თეთრი და შავი, ან, თუ გნებავთ, ნებისმიერი სხვა ფერი. იქვეა ბევრების სავანეც, მაგრამ ისინი არ ცდილობენ თავიანთი ხმოვანებით შემოიჭრან და აამღერიონ ჩემს მიერ გამოხმოილი ხატებანი: ისინი თითქოს ცალკე სენაკებში არიან მიყუჟულნი. მე შემიძლია, თუკი მომეპრიანა, ბევრებიც გამოვიხმო იქიდან, და ისინიც არ დაახანებენ, წამსვე ამოიშლებიან: ენა უტყვია, ჩემი ყელი დუმს, მე კი ვმღერი, ან ვლიღინებ, რაც მსურს. ხოლო ფერების ხატებანი, რომელნიც იქვე არიან, არაფერში არ ერევიან და ხელს არ მიშლიან; ვიდრე ჩემი მეხსიერების სულ სხვა საგანძურს ვჩხრეკ, ჩემივე სმენის მიერ დაგროვილს და დახვავებულს. ასევე ვიხსენებ, როცა კი მომესურვება, ყოველივე იმას, რაც ჩემს გრძნობებს შეუკრებიან და შემოუტანიათ ამ საცავეში. ასე მაგალითად, მშვენიერად ვასხვავებ ერთმანეთისაგან იისა და შროშანის სურნელს, თუმცა ამ დროს არც ერთს ვყნოსავ და არც მეორეს⁴⁰, ხოლო მაჭარს თაფლს ვამ-

ჯობინებ, რბილს კი - მაგარს, თუმცა არც რას გემოს ეუხსინჯავ და არც რას ვეხები, არამედ მხოლოდ ვიგონებ.

14. ყოველივე ეს ხდება ჩემში, ჩემი მეხსიერების ვრცელ დარბაზებში. აქ ჩემს განკარგულებაშია ცაც, მიწაც, ზღვაც და ყველაფერი, რაც კი გრძნობებით აღმოქვამს; ყველაფერი, გარდა იმისა, რაც დამავიწყდა. აქვე ვხვდები ჩემსაკუთავს, როცა ვიხსენებ, რას ვაკეთებდი, ან იმ დროსა თუ ადგილს, როცა ამას და ამას ვაკეთებდი, და იმ გრძნობებსაც, რასაც განვიცდიდი მისი კეთებისას⁴¹. აქა ყველაფერი, რაც - კარგად მახსოვს, - საკუთარი გამოცდილებით შემიძინია, ან სხვისგან შემოთვისებია. სწორედ ამ საგანძურს ვიყენებ, როცა ყოველივე იმის მიხედვით, რაც საკუთარი გამოცდილებით მაქვს შეძენილი, ან სხვისგან შემთვისებული, ისევე, როგორც მათთან მსგავსების საფუძველზე ვქმნი ხან ერთსა და ხან მეორე ხატებას, რომლებსაც ვაქსოვ ნამუშაოში და მათი მეშვეობით ვქსოვ მყოლობასაც; ურიცხვი ქვევა, ვითარება თუ სახლება, - ყოველივე ამას ხელახლა ვიზრებ როგორც აწმყოს. „მე გავაკეთებ ამას და ამას“, - აი, რას ვეუბნები საკუთარ თავს ჩემი სულის ამ უსარმაზარ საცავში, რომელიც ესოდენ ურიცხვსა და დიად ხატებას აღევსია, - რასაც მოსდევს ხან ერთი და ხან მეორე დასკვნა: „აჰ, ნეტა ასე და ასე მოხდეს!“ ან „ღმერთმა გვაშროს ეს!“ აი, რას ვეუბნები ჩემსაკუთავს და მაშინვე წარმომინსდებიან იმათი ხატებანი, რასუდაც ვლაპარაკობ, მეხსიერების იმავე საცაიდან გამოხმობილნი. იქ რომ არ ყოფილიყვნენ, ვერაფრის თქმასაც ვერ შევძლებდი⁴².

15. დიდია ძალა მეხსიერებისა, ღმერთო ჩემო, უსასღეროდ დიდი! ესაა წმიდა ტაძარი, უსასრულო და გონებაშიუწვილიძელი. ვის შეუძლია შედწევა მასში? და მაინც, ესაა ჩემი საკუთარი გონების ძალა, ის ნიშნულია ჩემი ბუნებისათვის, მაგრამ მე არ შემძლია მთლიანად დაეიტიო ჩემივე თავი. ნუთუ სული მეტსიმეტად ვიწროა საიმისოდ, რომ თავისი თავი მოიცვას? მაშ, სადღაა ის, რასაც ვერ იტევს? ნუთუ მის გარეთაა და არა თვით მასში? კი მაგრამ, როგორ ვერ იტევს? ყოველივე ეს გამაოგნებლად მოქმედებს ჩემზე და ენითოთქმელი განცვიფრებით მავსებს.

ადამიანები განცვიფრებით უყურებენ მთის მწვერვალებს, ზღვის ბობოქარ ტალღებს, ვეება მდინარეებს, მთელი ხმელეთის გარემოცველ უსასღერო და უკიდვანო ოკეანეს თუ ვარსკვლავთა წრებრუნვას ცის თაღზე, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ თავიანთი თავი. არც ის უკვირთ, რომ მე შემძლია ვილაპარაკო ყოველივე ამის შესახებ, თუმცა თვალწინ როდი მიდგანან ისინი, მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ ვიტყოდი მათზე, ამ მთებს თუ ტალღებს, ამ მდინარეებს თუ

ვარსკვლავებს, რომლებიც მე თვითონ მინახავს, ან ამ ოკეანეს, რომლის უსახურეობის ამბავიც მხოლოდ სხეებისგან მსმენია, წემი მეხსიერების სიღრმეში რომ არ ვხედავდე მოული მათი სიდიადით, თანაც ისე ცხადად და მკაფიოდ, თითქოს ამ წუთში სწორედ მათ მივხიერებოდე. მაგრამ თვალუბით როდი შემისხრებოდავს ისინი და არც თვითონვე არიან წემში, არამედ მხოლოდ მათი ხატებია, და მე ვიცი, რა აღიბეჭდა, ან გრძნობის რომელი ორგანოთი აღიბეჭდა წემს სულში.

IX

16. მაგრამ მარტოაღენ ამას როდი შეიცავს წემი მეხსიერების უზარმაზარი ხაცავი. იქვეა თავმოყრილი ყოველთვე ის, რაც თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლისას შემოძენია და აქამდე არ დამიწვინია. მოული შესწავლილი მახალა მეხსიერების რომელიღაც შორეულ კუნჭულშია დაკული, ხელის სიღრმეში მისჩქალაულ ადგილას, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, ვერც კი ვუწოდებთ ადგილს. აქ მე შესწავლილ საგანთა უბრალო ხატებებს კი არ ვინახავ, არამედ მათი შესწავლით შემქნილ ცოდნას. წემი ცოდნა გრამატიკის, დიალექტიკისა თუ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის საკითხებისა მეხსიერებაშია მოქცეული, მაგრამ არა როგორც საგნის ხატება, არამედ როგორც საკუთრივ საგანი⁴³. ეს იმას როდი აგავს, ბგერა რომ გაიხმინებს და გაქრება, თუმცა ყურში თავის კვალს ტოვებს, რისი წყალობითაც თითქოს კვლავ ხმანებს იტყვე ბგერა, რომელიც უკვე მისრულდა; ვერც სურნელს შევადარებთ ამას, აქურში რომ ტრიალებს და, ვიდრე განქარდებოდეს, წემს ენისვასე ახდენს ზემოქმედებას, რის შედეგადაც თავის ხატებას უტოვებს მეხსიერებას, მოგონებისას რომ ცოცხლდება წვენში; არც სახრდოსა აგავს ეს, რომელიც კუჭში, რა თქმა უნდა, მთლიანად აქარავს თავის გემოს, მაგრამ მეხსიერებაში კვლავინდობურად გამრიელია; არც რაღაც ისეთს, რაც შეიძლება შეხებით შეიგრძნოს, და რისი წარმოდგენა წვენს მეხსიერებას მამისაც კი შეუძლია, როცა ის შორსაა წვენგან. არა, ამნაირ საგნებს როდი შეუძლიათ წვენს მეხსიერებაში შეღწევა, რომელიც საოცარი ხისწრაფით „იხელთებს“ მხოლოდ მათ ხატებებს და არანაკლებ საოცარ ხაცავებში ათავსებს მათ, საიდანაც ისინი უკანვე ამოიხილებიან ასევე საოცარი მოგონების მიერ.

X

17. და მართლაც, როცა მესმის ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი კითხვა: არსებობს თუ არა ესა და ეს საგანი, რას წარმოადგენს თავისთავად და რანაირია მისი თვისება⁴⁴, - წემში რჩებიან მხოლოდ

„... ბგერათა ხატებანი, რომელთაგანაც 'შედგებიან ეს ხიტყვები; ისიც ვიცის, რომ იგივე ბგერები პერსში გაიხმისალებენ და გაქრებიან. ხოლო მათი მქმევიბით გამოხატულ აზრებს ვერც ნემი გრძობდებით აღვიქვამდი და ვერც ვერსად ვპოვებდი, თუ არა ნემსავ გონებაში. ნემს მეხსიერებაში აღიბეჭდა არა ამ აზრების ხატებანი, არამედ საკუთრივ აზრები45.

კი მაგრამ, რა გ'ხით 'შემოდლწიეს მათ ნემში? კეთილ-ინებონ და მითხრან, თუ 'შეუძლიათ. გარს ვუვლი ნემი სხეულის ეველა ბჭეს და ვრწმუნდები, რომ ვერცერთიდან ვერ 'შემოვიდოლხენ. თვალები ამბობენ: „თუ მათ ფერი აქვთ, მამის წვენ გაუწყეთ ისინი“. ევრები ამბობენ: „თუ ისინი ხმისალებენ, მამის წვენ ვყოფილვართ მათი მაცნენი“. ნებსტოები ამბობენ: „თუ ისინი სურსელს აფრქვევენ, მამის წვენი მქმევიბით 'შემოდლწიეთ 'შენში“. გემოვნება ამბობს: „თუ მათ გემო არა აქვთ, მამის მე რაღას მუკთხები?“ 'შეხება ამბობს: „თუ ისინი უსხეულონი არიან, მათ ვერ 'შეეხები, ხოლო თუ ვერ 'შეეხები, რანაირად უნდა მქეუვიბინა ისინი 'შენთვის?“

მამ, საიდან, რა გ'ხით 'შემოვიდნენ ნემს მეხსიერებაში? არ ვიცი. რადგან მათი 'შეცნობისას სხვის მოწმობას კი არ ვსდობივარ, არამედ ნემს საკუთარ გონებას ვენდე, და სწორად ვცანი ისინი; ამიტომაც გონებასვე გადავეცი 'შესანახად, რათა უკანვე გამომეხმო, როცა კი მოვისურვებდი. მამსადამე, მათ 'შეცნობამდეც იქ იყვნენ, მაგრამ არა ნემს მეხსიერებაში? მამ, სადღა იყვნენ, ან როგორ მოხდა, რომ როგორც კი მათზე ჩამომიგდეს ხიტყვა, მამისვე ვიცანი ისინი და ვოქვი: სწორია, ასეა-მეთქი? ერთადერთი ახსნა ისაა, რომ ისინი უკვე იყვნენ ნემს მეხსიერებაში, მაგრამ მის იღუქმალ ხიდრმქში დაფლულნი და მიჩქმალულნი, ასე რომ, აღბათ, ახრადაც არ მომივიდოდა მათი არსებობა, თუკი ვინმე არ აღმძრავდა საიმისოდ, რომ გამომეხროკა ისინი46.

XI

18. ამრიგად, წვენ ვხედავთ 'შემდეგს: 'შეიცნო ის, რახაც ხატებათა მქმევიბით კი არა ვცნობთ, გრძნობის ორგანოები რომ გვაწვდიან, არამედ ხატებათა გარეშე, 'შინაგანი ჭკერეტის გ'ხით, თავისი საკუთარი სახით რომ წარმოგვიჩენს იმას, რახაც ვჭკერეტთ, - ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ ახრით 'შეკრიბო და 'შეაგროვო ის, რაც მეხსიერებაში მიჩქმალული თუ უთავბოლოად მიმოფანტული იყო, და ისე განაღდაცო, რომ ადვილი ხელმისაწვდომი 'შეიქნეს გონების წვეული ძაღისხმევისთვის47.

რამდენ ამნაირ რასმე ინახავს ჩემი მეხსიერება, უკვე ცნობილსა და, როგორც უკვე აღუნიშნე, ხელმისაწვდომს, რაზედაც შეიძლება ითქვას: „ჩვენ ეს შევისწავლეთ და ვიცითო“. თუკი მე, თუნდაც დროის ხანმოკლე შუალედებში, ერთმიეორის მიყოლებით არ გამოვიხმო მათ, ისინი კვლავ დაინთქმებიან მეხსიერების სიღრმეში, თითქოს მის იდუმალ სენაკებში მიიუკუენო. მაშინ მოგვიწვეს გონების ქმედითობით კვლავ გამოვიხმოთ ისინი, თითქოს რაღაც ახალს მივაკვლიეთო, გამოვიხმოთ სწორედ ამ იდუმალი სენაკებიდან, – რადგანაც სხვაგან არსად არიან, – რათა კვლავ ერთად შევკრიბოთ მიმობნეულ-მიმოფანტული და, ამრიგად, შევიცნოთ ისინი. სწორედ აქედან იღებს დასაბამს სიტყვა cogitare (ფიქრი). cogō (გკრებ) და cogito (ვფიქრობ) ისე მიემართებიან ერთმანეთს, როგორც ago (ვამოძრაებ) და agito (ვძრავ)48, facio (ვაკეთებ) და factio (ვიქმ). გონებამ გაითავისა ეს ზმნა, როგორც უშუალოდ მისი კუთვნილი, ვინაიდან სადმე სხვაგან კი არა, მხოლოდ გონებაში მიმდინარეობს ეს შეკრება (colligitur), ანუ თავმოყრა (cogitur), და სწორედ ეს იწოდება „მოაზრებად“ (cogitare).

XII

19. მეხსიერება შეიცავს აგრეთვე რიცხვებისა და განსომილებების ათასნაირ თანაფარდობას, მათი ურთიერთმიმართების ურიცხვ წესსა თუ კანონს, რომლებსაც ვერცერთი ხორციელი გრძნობა ვერ აღბეჭდავდა ჩვენს სულში, რადგან მათ არც ფერი აქვთ, არც სუნი, არც გემო, არც ხმიანებენ და არც ხელშესახებნი არიან. მათზე მსჯელობისას მე.მეხმის ბგერები, რომლებიც აღნიშნავენ იმ სიტყვებს, მსჯელობისას რომ იყენებენ, მაგრამ სხეაა ეს სიტყვები და სულ სხვა – მსჯელობის საგანი. სიტყვები სხედასხვანაირად უღერენ ბერძნულად და ლათინურად, მაშინ როდესაც ამ სიტყვებით გამოხატული ცნებები დამოუკიდებელნი არიან ბერძნული, ლათინური თუ სებისმიერი სხვა ენისაგან.

მე მინახავს ოსტატთა ხელით გავღებულნი ხაზები, აბლაბუდასავით წერილი და ნატიფი, მაგრამ ჩემს სულში გავღებულნი ხაზები სულ სხვა ხაზებია, რომლებსაც იმათ ხატებებად ვერ მივიჩნევთ, ჩემმა ხორციელმა მზერამ რომ აღმაქმევინა. მათ ისე ცნობ, რომ არაერთარ სხეულს არ უკავშირებ: საკმარისია შენსავე თავს ჩაუღრმავდე, რათა საკუთარ სულში აღმოაჩინო ისინი. ხორციელი გრძნობებით მე აღვიქვამ ეგრეთწოდებულ „აღრიცხვად რიცხვებს“, მაგრამ სულ სხვანი არიან „აღმრიცხველი რიცხვები“49, რომლებიც პირველთა ხატებებად

როდი გვევლინებიან და ამიტომაც ჭეშმარიტად არსებობენ. დაე, დამცინოს, ვინც ამას ვერ ხედავს, მე კი შევიბრალებ ჩემს დამცინავს.

XIII

20. ყოველივე ამას მეხსიერებაში ვინახავ და მასშივე მაქვს დაცული, როგორ ვისწავლე ყოველივე ეს. ბევრი მცდარი მოსაზრება მსმენია ამ ჩემი აზრის საპირისპიროდ, მაგრამ მეხსიერებაში ვინახავ მათაც, თუმცაღა ეჭვიც არ მეპარება მათ მცდარობაში. მე ერთმანეთსაგან გავმოჯენ და განვასხვავე სწორი და ის, რაც მცდარად უპირისპირდება სისწორეს. ესეც მახსოვს, მაგრამ ახლა ვხვდავ, რომ ერთია მათი განსხვავება და მეორე – ხსოვნა იმისა, თუ რამდენჯერ განმისხვავებია ისინი მათზე ფიქრისას. ხოლო თუ ახლაც ვფიქრობ, ვასხვავებ და მესმის, რომ ვასხვავებ, ჩემს მეხსიერებას ვანდობ ამას, რათა შემდეგ გამახსენდეს, რაც ახლა მესმის. მაშასადამე, მე მახსოვს, რომ მახსოვდა, და თუ შემდეგ გავიხსენებ, რისი გახსენებაც დღეს შეუძელი, რა თქმა უნდა, ჩემს მეხსიერებას უნდა ვუმაღლოდე ამას.

XIV

21. იგივე მეხსიერება ინახავს ჩემს სულიერ მდგომარეობებსაც, მაგრამ არა იმ სახით, რა სახითაც განუცდია ოდესღაც სულის, არამედ ძალზე განსხვავებულად, რაც მეხსიერების ძალაზეა დამოკიდებული.

ვთქვათ, გამახსენდა, რომ ოდესღაც მიხაროდა, მაგრამ ამ გახსენებისას უკვე აღარ განვიცდი სიხარულს; ასე, მწუხარების გარეშე ვიხსენებ გარდასულ მწუხარებასაც; არც შიშს განვიცდი, როცა მახსენდება, თუ როგორ ვძრწოდი ოდესღაც, და აღარც ენება მამღერევეს გარდასული ენების გახსენებისას. ზოგჯერ კი პირიქითაც ხდება: გარდასულ მწუხარებას სიხარულით ვიგონებ, სიხარულის გახსენებაზე კი მწუხარება მეუფლებად.

საქმე რომ სხეულს ეხებოდეს, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ სული ხომ სხვაა და სხეული – სულ სხვა. თუ მხიარულად ვიხსენებ გარდასულ ხორციელ ტკივილს, ეს არც ისე საკვირველია, მაგრამ მეხსიერება ხომ გონებაა და სული. როცა რაიმეს ვავადლებთ ვინმეს და გვინდა, რომ ჩვენი დაწაღება არ დაავიწყდეს, ამ სიტყვებით ვაფრთხილებთ მას: „აბა, შენ იცი, კარგად ჩაიბეჭდე გონებაში“. დავიწყებისას კი ვამბობთ: „სულ აღარ მომგონებია“, ან „გონებიდან ამომიფარდა“. მაშასადამე, მეხსიერებას სულსა თუ გონებას ვუკავშირებთ.

ხოლო თუ მართლა ასეა, რას ნიშნავს ეს? როცა სიხარულით ვიხსენებ გარდასულ მწუხარებას, ჩემს სულში სიხარული ცოცხლობს,

მეხსიერებაში კი წუხილი? თუ წემი სული მხიარულია, — ეს იმიტომ, რომ სიხარულითაა ხავეყ, მეხსიერება კი სულაც არა წუხს იმის გამო, რომ მწუხარებას მოუცდავს? თუ მეხსიერება დამოუკიდებელია სულისაგან? ვინ იცის?!

არა, მეხსიერება თითქოს სტომაქია სულისა, ხილთ სიხარული და მწუხარება — ტკბილი თუ მწარე საჭმელი; როცა მეხსიერებას გადავცემთ მათ, თითქოს სტომაქში გადავუძახეთო, იხინი დიდხანს ინახებიან იქ, მაგრამ გემოს კი ვეღარ ინარჩუნებენ.

ეს შედარება შეიძლება სახაცილოდაც არ გვეთ, მაგრამ ერთგვარი მსგავსება აქ უთუოდ არის.

22. და, აი, წემი მეხსიერებიდან გამომყავს დასკვნა, რომლის თანახმადაც არსებობს სულის ამმღერევი ოთხი ვნება: სურვილი, სიხარული, შიში, მწუხარება. მოელ წემს მსჯელობას მათ შესახებ, როცა თვითუელს მის საკუთარ სახეებად ვყოფ, ან გვარის მიხედვით განვსახდურავ, წემს მეხსიერებაში ვპოულობ და იქიდანვე გამომყავს ყველაფერი, რასაც აქ ვამბობ. და მაინც, სულის ამმღერევი ამ ოთხი ვნებიდან ვერცერთი ვერ ამამღერებს მათი გახსენებისას. ვიდრე მათ გაუიხსენებდი, იხინი უკვე იყენენ წემი მეხსიერების სიღრმეში, და სწორედ იმიტომ გახდა შესაძლებელი გახსენებით გამომეხმო იხინი.

შესაძლოა, როგორც ცხნისას ამოიხილება სასრლო პირუტყვის ფაშიდან, გახსენებაც ასევე გამოიხმობს ამ გრძობებს მეხსიერებიდან. კი მაგრამ, ვინც მათზე მსჯელობს, ესე იგი, იხსენებს მათ, რატომღა ვერ გრძობს ვერც სიხარულის სიტკბოს და ვერც მწუხარების სიმწარეს? იქნებ ეს ორი რამ სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მათ შორის გამორიცხულია სრული მსგავსება? ვინ წამოაგაღება თავისი ნებით სიტყვას მათზე, თუკი შიშისა და მწუხარების ყოველ ხსენებაზე ეს განცდები ხელახლა დაუყოფლებოდნენ მას?

და მაინც, წვენ ვერ შევძლებდით გველაპარაკა მათზე, თუკი მეხსიერებაში ვერ ვპოუვდით არა მარტო იმ სახელწოდებებს, ხორციელი გრძობების მეშვეობით წვენს სულში აღბეჭდილ ხატებებს რომ შეესაბამებიან, არამედ თვით იმ საგანთა ცნებებსაც, რომელნიც ვერანაირი ხორციელი ბჭით ვერ შემოაღწევდნენ წვენში: სულმა პირადი ცდით შეიცნო თავისი საკუთარი ვნებანი და ამის შედეგად წამოყალიბებული ცნებები გადასცა მეხსიერებას, ან იქნებ იხინი ყოველგვარი გადაცემის გარეშეც აღბეჭდნენ მასში.

XV

23. ხატებათა მეშვეობით თუ მათ გარეშე? ვინ იცის?!

მე წარმოვთქვამ ქვისა თუ მისი სახელს, თუმიცაღა არც ერთია წემს წინაშე და არც მეორე, მაგრამ მათი ხატებანი, რა თქმა უნდა, აქაა, წემს მეხსიერებაში. მე ვასახელებ ხორციელ სხეულებას, თუმიცა სხეული არა ვარ: არაფერი არ მტკივა. მაგრამ სხეულების ხატება რომ არ იყოს წემს მეხსიერებაში, არ მეცლიდნებოდა, რა მეთქვა, და ვერ შევძლებდი მსჯელობისას ზღვარი გამეკლო ტკივილსა და შუკბას შორის. მე ვლაპარაკობ ჯანმრთელობაზე, და თვითონაც ჯანმრთელი ვარ; ეს წემი თვისებაა, მაგრამ მისი ხატება რომ არ ყოფილიყო წემს მეხსიერებაში, ვერასდიდებთ ვერ გაეცხხეებდი, რას სიშნავს ეს სახელწოდება. არც სხეულებს ეცლიდნებოდათ, რას სიშნავს სიტყვა „ჯანმრთელობა“, მეხსიერებაში რომ არ აქინოდათ მისი ხატება, თუმიცაღა თვით ჯანმრთელობა უცხია მათთვის.

მე ვასახელებ იმ რიცხვებს, რომელთა მეშვეობითაც ვანგარიშობთ, და ისინი წემს მეხსიერებაში არიან: მათი ხატებასი კი არა, არამედ თვითონ რიცხვები. მე ვასახელებ მისი ხატებას, და ისიც წემს მეხსიერებაშია: არა ხატების ხატება, არამედ თვითონ ხატება, რომელიც წარმოიმჩნედა მისი ხსენებისას. „მეხსიერება“ – ვამბობ, და ვიცო, რასაც ვამბობ. კი მაგრამ, ხად შეიძლებოდა რაიმე გამეკო მასზე, თუ არა თვით მეხსიერების წიადში? ნუთუ ისიც ხატების მეშვეობით ადიქვამს თავის თავს, და არა უშეალოდ?

XVI

§ 24. ან კიდევ, როცა ვამბობ „დავიწყებდა“⁵², და ვიცო, რასაც ვამბობ, საიდან მეცლიდნებოდა, თუკი არ მეხსიემბოდა იგი? მე ხომ თვით ამ სახელწოდებას კი არ ვგულისხმობ, არამედ მის შინაარსს. რომ დამეიწყნოდა, ვერც მის შინაარსს გაეცხხეებდი. როდესაც მეხსიერებას ვიხსენებ, თვით მეხსიერების მეხებით წარმოიმჩნედა მეხსიერება, მაგრამ როცა დავიწყება მახსენდება, ორივე თავის ადგილზეა: მეხსიერებაც და დავიწყებაც: მეხსიერება, რომლის მეშვეობითაც ვიხსენებ, და დავიწყება, რომელიც მახსენდება. მაშ, რა არის დავიწყება, თუ არა მახსიერობის დაკარგვა? მაშ, როგორღა ვიხსენებ იმას, რისი არსებობაც წემს სულში საერთოდ ხელს უშლის გახსენებას? მაგრამ თუ წემს მეხსიერებაში ვინახავთ იმას, რასაც ვიხსენებთ, ამიტომ დავიწყება რომ არ გვახსოვდეს, ამ სიტყვის გაგონებისას ვერასდიდებთ ვერ შევძლებდით მისი მნიშვნელობის გაგებას. მაშასადამე, დავიწყებასაც მეხსიერება ინახავს: მისი არსებობა აუცილებელია საიმისოდ, რომ არ დაგვაიწყედეს, მაგრამ სწორედ ეს არსებობაა დავიწყების მიზეზი.

ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ საკუთრივ დავიწყება კი არაა მეხსიერებაში, არამედ მისი ხატება, როდესაც მასვე ვიხსენებთ? რადგანაც თვითონ რომ იყოს იქ, გახსენების მიხედვით კი არ იქნებოდა, არამედ დავიწყებისა.

ვის ჩასწვდება ამ საიდუმლოს? ვინ აგვიხსნის, რანაირად ხდება ეს?

25. დიახ, უფალო, მე ამისთვის და, მაშასადამე, ჩემივე თავისთვისაც ვიღწვი: თვითონვე ვიქვც საკუთარი თავისთვის მიწად, ქანცგამწვევტ შრომასა და გამუდმებულ ოფლის ღვრას რომ მოითხოვს. რადგან ჩვენ ახლა ციურ სივრცეთა უსასრულობას როდი ვიკვლევთ, არც ვარსკვლავთა შორის მანძილსა ვსომავთ და არც იმას ვკითხულობთ, თუ რა განაპირობებს დედამიწის წონასწორობას: მე ვარ, ჩემსავე თავს რომ ვიხსენებ, მე, ანუ სული. რა გასაკვირია, რომ ჩემგან შორსაა ის, რაც ჩემს გარეთაა, მაგრამ რა არის ჩემთან ჩემს თავზე უფრო ახლოს? და, აი, მე არ მესმის ჩემი მეხსიერების ძალა, თუმცა მის გარეშე საკუთარი სახელის წარმოქმნასაც კი ვერ შევძლებდი. რა მეთქმის, თუკი დარწმუნებული ვარ, რომ ჩემივე მავიწყობა მახსოვს? ნუთუ ვიტყვი, რომ ჩემს მეხსიერებაში არ არის ის, რაც მახსოვს? ან იქნებ დავიწყებ, რომ მავიწყობა ჩემს მეხსიერებაშია, რათა არ დამავიწყდეს? ყოვლად უაზროა როგორც ერთი, ისე მეორე ვარაუდი.

კი მაგრამ, არსებობს შესამეზიარი ახსნა? თუ შემძლია ვთქვა, რომ დავიწყების გახსენებისას თვით დავიწყებას კი არა, მხოლოდ მის ხატებას ინარჩუნებს ჩემი მეხსიერება? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყოველთვის, როცა რაღაცის ხატება აღიბეჭდება მეხსიერებაში, ამ „რაღაცას“ მანამდე უნდა ეარსება იქ, ვიდრე მისი ხატება აღიბეჭდებოდა? ასე მაგალითად, მე მახსოვს კართაგენი, მახსოვს მისი ყოველი კუთხუკუნტუელი, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ; მახსოვს იმ ხაღხის სახე, ვისაც ვიცნობდი; მახსოვს ყველაფერი, რასაც მაუწყებდნენ ჩემი გრძნობები; მახსოვს ჩემი ჯანმრთელობა თუ ტკივილი. კართაგენში ჩემი ყოფნისას აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში მათი ხატებანი, რომელნიც შემძლია ჩემი ნება-სურვილით გამოვიხმო (ისინი ხომ ყოველთვის ჩემთან არიან), რათა მათი მეშვეობით კვლავ თვალწინ დამიდგეს ყოველივე ის, რასაც ოდესღაც პირისპირ ვეჭვრეტდი.

მაშასადამე, თუ მეხსიერება საკუთრივ დავიწყებას კი არ ინარჩუნებს, არამედ მხოლოდ მის ხატებას, ამ უკანასკნელის „მოხახელთებლად“ ის უთუოდ უნდა არსებობდეს ჩემს სულში. ხოლო თუ არსებობს, რანაირადღა შესძლიო ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდა იაფისი ხატება? რადგან თვით იმასაც კი, რაც უკვე აღიბეჭდილია მეხსიერებაში, უკვალად შლის დავიწყების არსებობა. და მაინც, მი-

უხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს სრულიად გაუკვებარია და გონებამიეწვდომელი, დაბუჯითებით ვიცი, რომ ვიხსენებ თვით დაეწეებას, რომელიც ასამარებს ყველაფერს, რაც კი გვახსოვს.

XVII

26. დიდია მეხსიერების ძალა; არ ვიცი, უფალო, მაგრამ რაღაცნაირად შიშის მოშგერელი კია მისი სიღრმე და უსასრულო მრავალფეროვნება. და ესაა ჩემი სული, ესა ვარ მე თვითონ. კი მაგრამ, ვინა ვარ, ღმერთო ჩემო? რანაირია ჩემი ბუნება? უთვალავ ფერად მოცემული, მრავალსახოვანი სიცოცხლე, გამოაზნებელი და განუწომელი.

23. შენი მარადიული ზრახვით თავის დროზე მოქალაქე ზეციურ სიკეთეს მიწას: „ხოვს სულისაგან ეძლევა სიბრძნის სიტყვა“¹³²; – ესაა დიადი მნათობი მათთვის, ვინც ისე ტკბება ჭეშმარიტების სხივოსნობით, როგორც ცისკრის ნათლით; „ხოვს – ცოდნის სიტყვა, იმავე სულით“¹³³; ეს უფრო მცირე მნათობია; „ხოვს – რწმენა, ხოვს – ნიჭი მკურნალობისა; ვის – სასწაულთმოქმედება, ვის – წინასწარმეტყველება, ვის – სულთა გარჩევა, ვის – სხვადასხვა ენა“¹³⁴, – და ყველა ესენი ვარსკვლავებია. „ხილო ყოველივე ამას შეიქმნ ერთი და იგივე სული, და უწილადებს თვითთველს, როგორც თავად ნებავეს“¹³⁵; და აიძულებს მნათობთაც გამოჩნდნენ და ხარგოდ ნათობდნენ.

ხოლო სიტყვა ცოდნისა, რომელიც მოიცავს ყველა იმ საიდუმლოს³⁶, მთვარესავეთ რომ იცვლებიან დროში, აგრეთვე ზემოთ ნამოთყლილი ყველა სიკეთე, ვარსკვლავებს რომ პგვანან, ისევე განსხვავდებიან სიბრძნის კაშკაშა სინათლისაგან, როგორც განთიადის სხივცისკოაუნება – მწუხრის ბინდბუნდისაგან. და მაინც, იხინი აუცილებელნი არიან კაცთათვის, რომლებთაც შესს ყველაზე გონიერ მსახურს „არ შეუძლო ელაპარაკა როგორც სულიერთა მიმართ, არამედ როგორც ხორციელთა, როგორც ერთთა მიმართ ქრისტეში“³⁷, – მას, ვინც „ჰადაგებს სიბრძნეს სრულქმნილთა შორის“.

მშენებერი კაცი, – აი, ერთა ქრისტეხი, რომელიც სვამს რძეს, ვიდრე არ მომაგრდება იმდენად, რომ უხეში ხაზრდის მიღება და მხისათვის თვალის გასწორება შესძლოს³⁸. დაე, სუ ეგონება, რომ მარტომდარტაა დამეში, არამედ დასჯერდეს მთვარისა და ვარსკვლავთა შუქს.

აი, რას გვასწავლი, ყოელისმცოდნე დმერთა ჩვესო, შენი წერილით, ამ შენი მეართ, რათა საოცარი ჭვრეტის წკაღობით შევიდლოთ ყველაყრის გარჩევა, თუნდაც ჯერ მხოლოდ სიშების, დროის, დღეებისა და წლების მიხედვით³⁹.

XIX

24. მაგრამ თავდაპირველად „განიბანეთ, განიწმინდეთ, თვალთაგან განმარიდეთ ავი სრახევის“⁴⁰, რათა „გამოწმდეს ხმელი“⁴¹; ისწავლეთ კეთილის ქმნა, დაიფარეთ თბილი, გამოეხარნლეთ ქერიეს⁴², „რათა აღმოაცენოს მიწამ ბადახი და ხე ნაყოფის მამცეში“⁴³; რათა იყენეს მნათობნი ცამქარის მანათობლად და ნათელს აურქვევდეს მიწას⁴⁴.

მდიდარი ჭაბუკი სახარებისა კეთიხებოდა კეთილ მოძღვარს, როგორ მოვიტყე, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდროთ. ხოლო კეთილმა მოძღვარმა, რომელიც ჭაბუკს აღამიანად მიანდა, – ის კი კეთილია იმიტომ, რომ დმერთია, – ასე მოუგო მას: თუ გსურს შეხვიდე საუკუნო ცხოვრებაში, დაიცავი მცნებანი, განიშორე ბორატება და გარეყნილების სიმწარე, არა კაც კელა, არა იმრეშო, არა იპარო, არა ცილი სწამო, რათა გამოწმდეს ხმელი, და მან აღმოაცენოს პატივისცემა დედ-მამისადმი და მოყვასთა სიყვარული. აყოველივე ეს დამიცავს, – უაზრა მდიდარსა ჭაბუკმა, – მას, თუ მიწა პოხიერია, საიდანღაა ამდენი სარეველა და ეკალი? წადი, ამოძირკვე სიხარბის შამბნარი, გაყიდე რაც გაბადია, მონაგები მიეცი გლახაკთ და გექნება საუნჯე ცაში; მერე მადი და შეუდეგ უყვალს, თუკი გსურს იყო სრულქმნილი⁴⁵. შეუერთდი იმათ, ვისაც თავისი ბრძნული სიტყვით

მიმართავს ის, ვინც იცის, რა მიახიჭოს დღესა და დამეს146. 'შეიც' შეიცანი ისინი, რათა მნათობებად გაქცენ ცამქარსე. ეს კი მხოლოდ მამის მიხედება, როცა 'შენი გული იქნება იქ, ვინაიდან „ხადაც არის გული შენი, იქვე იქნება საუხჯეც შენი“147. აი, ეს სიტყვები გენსა კეთილი მოძღვრისაგან. მაგრამ დამწუხრდა უნაყოფო ქვეყანას148, და ხარეველამ მთაშთა სიტყვისა149.

25. ხილო თქვენ, „რსეულო ხაღხო“150, „ეძღვრნო სოფლისა“151, რომელთაც მიგიტოვებით ეველაფერი, რათა შეხდგომოდით უფლის კებას152, კვლავაც მიხდიეთ თქვენს წინამძღოლს, რათა „არცხვინით ძლიერნი“153; მიხდიეთ, „ფეხმშეგნიერნი“154, და ნათელი მოაფისეთ მეარს, რათა „ცანი ხმობდნენ დემროის დიდებას“155; ერთმანეთისაგან განაცალკევეთ სრულქმნილთა „ნათელი“, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან ახგულსთა მსგავსნი, და მცირეთა, მაგრამ არა უმეღათა „წყვიადი“. ნათელი მოაფისეთ მოელ დედამიწას, რათა მზის სხივებით გაბრწყინებულმა დღემ „დღეხვე აქწეს ხობრძის სიტყვა“156, ხილო მოვართ განათებულმა დამემ „ცოდნის სიტყვა აქწეს დამეს“157. მოვარე და ვარსკვლავები დამით ნათობენ, მაგრამ დამე ვერ აბნელებს მათ, რადგან თვით ისინი შეძლებსდაგვარად ანათებენ დამეს. და, აჰა, როგორც თქვა დემრომა: „იქმნან მნათობნი ცის მქარსე“158, „და ანახდად იყო ხმა სუცით, თითქოს გრიგალი აგუგუნდაო, და მოვეღისა მათ ალივით გაყოფილი ქნები, რომლებიც დაუყინა თვითუელ მათგანს“159; და „გაბრწყინდნენ მნათობნი ცამში, რომლებსაც აქანდათ ცხოვერების სიტყვა“160. თქვენა ხართ „ნათელი სოფლისა“161, და „ხვიმარის ქვეშ“162 როდი ხართ. ამადღდა ის, ვისთვისაც იყავით ხმობილნი, ამადღდა და თქვენც აგამადღათ.

XX

26. დაე, ჩასახოს 'სღვამ და დაბადოს თქვენი საქმენი. დაე, „წარმოშენს წლებმა ქვემდრომნი, ცოცხალი სულის მქონენი“163. რადგანაც ერთმანეთისაგან რომ აცალკევებდით ფახეულსა და უფახურს, ღვთის ბაგედ იქცეით164, რომელიც ამბობა „დაე, წარმოიქმნას წელი-საგან ცოცხალი სული, არა იმნარი, რანარსაც წარმოქმნის მიწა“, არამედ „ქვემდრომნი, ცოცხალი სულის მქონენი, და ყრისეულნი, მიწის სუქით მყრინაენი“165. და ასე, შენი წმიდა საიდუმლონი166, დემროთა, შენსავე წმიდათა ღვაწლით, ქვემდრომბივით განიფანტებიან ამა სოფლის საცთურთა მყრთონაც ტადლებს შორის, რათა განძანონ შენი ერი წმიდა ნათლისღებით, შენივე სახელით რომ სრულდება.

ამახობაში აღსრულდა დიადი ხახწაული, „ვეება ვეშაპთა“167 მსგავსი; და შენი სიტყვების ქადაგთა ხმებმა თავს გადაუყრინეს

დედამიწას, შენივე წერილის მეორე, თავისი ავტორიტეტით რომ იფარავდა მათ ფრენას სუბსიმიური მიმართულებით. რადგან „არ არის სიტყვა და არც ნათქვამი, კიდით-კიდემდე რომ არ იხმოდეს; მთელ დედამიწას სწვდება მათი ხმა, ვიდრე თვით საჩქაროს სღვრამდე“168, ვინაიდან შენი კუროთხევით ამრავლდე, უფალო, იგი.

27. განა ეცრუობ, ან ერთმანეთისაგან ვერ ვახსებებ, ერთის მხრივ, იმ საგანთა ნათელ შექმცნებას, რომელთაც ცამქარი მთიცავს, ხოლო მეორეს მხრივ, აღამიანურ საქმეთა ცოდნას, მყრინავე სღვის ტაღღებში რომ სრულდებიან, ცამქარს ქვემოთ? არსებობს მქარი და დაუხსრელბელი ცოდნა, რომელიც არ მატკულობს თაობებიდან თაობებამდე169 - ესაა სიბრძნისა და ცოდნის ნათელი. მაგრამ ის ვლინდება მრავალგვარი და საირ-საირი გარეგნული მოძრაობის წყალობით, რაც შენი კუროთხევით იზრდება და მრავლდება, ღმერთო. ამრიგად ახუკაქმებ ჩეენი მოკვდავი გრძნობების უმწეობას, რაკილა საშუალებას აძლევს სულს მრავალსაირი გზით შეიცნოს ერთიანი ჭეშმარიტება, ათასგვარად გამოხატული გარეგნულ მოძრაობათა საშუალებით.

აი, რა წარმოშვეს წყლებმა, მაგრამ მხოლოდ შენი სიტყვის წყალობით. შენი მარადიული ჭეშმარიტებისაგან განდგომილი ხადხის გაჭირებამ განაპირობა ამის წარმოქმნა შენივე სახარების მიხედვით. რადგან თვით წყალთა მღელვარებამ გამორიყა საპირსე ეს, და კაცთა მწარე სისუსტე იყო ამის წარმოშობის მიზეზი.

28. მშეენიერია ეველაფერი, რაც შენ შექმენი, და, აჰა, შენც, ყოელის შემოქმედო, ენით უთქმელად მშეენიერი ხარ170. ადამი რომ არ განგდგამოდა, მაშინ არც სღვიური სიმაღლე გადმოიდგრებოდა მისი მუცლიდან - ეს მისი უკიდურესად ცნობისმოყვარე, ბორგნეულად ქედმაღალი და მერყევი მოღგამა171. მაშინ არც შენი მქადაგებელნი გახდებოდნენ იძულებულნი ამ მყრონავ სღვაში ეღვაწათ და გრძნობადი სახით ეუწეებინათ ჩეენთვის შენი იღუმადლი საქმენი თუ სიტყვანი. ამნაირად წარმოიჩნდებიან ამჟამად „ქვემძრომნიცა“ და „ფროსანნიც“172, მაგრამ თვით ამ სიმბოლოთა არსში მწვდომნიც კი შორს ვერ წავიდოდნენ, მათი სული რომ არ ცოცხლობდეს და თანდათანობით არ მადლდებოდეს შენი მადლით, საწყისი სიტყვიდან სრულქმნილების მიმართ მღტოლველი.

XXI

29. ამიტომაც იყო, რომ, შენი სიტყვისამებრ, სღვის უფსკრულმა კი არა, მწარე წყალთაგან განმხოლოებულმა მიწამ წარმოშვა არა ცოცხალი სულის მქონე ქვემძრომნი და არა ფროსანნი, არამედ „ცოცხალი სული“173.

ამ სულის უკვე აღარ სჭირდებოდა ნათლისღება - რაც აუცილებლად ღებოდა წარმართთათვის, - როგორც მაშინ, როცა წყლით იყო დაფარული. რადგანაც სხვა გზით ვეღარ აღწევენ ცათა სასუფეველს მას შემდეგ, რაც შენ დაიდგინე სასუფეველში შესვლის პირობა.

ის არ მოითხოვს რწმენისათვის რაღაც დიადსა და საკვირველს, რადგანაც „ნიშებისა და სასწაულების“ 174 გარეშე სწამს, რაიღა მორწმუნე მიწა უკვე განცალკევებულია ურწმუნეობის მწარე წყალთაგან, ვინაიდან „ენები ნიშებია არა მორწმუნეთათვის, არამედ ურწმუნეთათვის“ 175. მიწას, რომელიც „დაამკვიდრე წყალთა ზემოთ“, აღარ სჭირდება ის ფროსიანი ქმნილებანი, შენი სიტყვისამებრ რომ წარმოიქმნეს წყალთაგან 176. მოუვლინე მას შენი სიტყვა შესავე მაცნეთა მეშვეობით. წვეს შეგვიძლია მხოლოდ სიტყვებით გადმოვცეთ მათი საქმენი, მაგრამ შენ მოქმედებ მათი მეოხებით, რათა შესძლონ ცოცხალად სულის შექმნა.

მიწამ შექმნა იგი, რადგანაც სწორედ მიწამ განაპირობა მათი მოქმედება, როგორც ზღვამ გამოიხილა არსებობისთვის ცოცხალი სულის მქონე ქვემორამში და ცამყარს ქვემოთ მყრისავე ფროსიანსი. მიწას უკვე აღარ სჭირდება ისინი, თუცდაღა დიახაც შექცევა ზღვის ხიღრმიდან ამოყვანილსა და ტრაპეზსუ დადებულ თუქსნი 177, ტრაპეზსუ, რომელიც „განაწილდე მორწმუნეთა წინაშე“ 178. ის ამოყვანილ იქნა ხიღრმიდან, რათა ესაზრდოებინა ხმელი მიწა 179. ფროსიანსიც ზღვის ნაშოერსი არიან, მაგრამ ისინიც მიწასუ მრავლდებიან. პირველი ხმაც სახარების ქადაგებისა კაცთა ურწმუნეობის გამო გაიხმა, მაგრამ მორწმუნეთაც დღითიდღე უმწურველად აზიარებს იგი შეგონებასა და კურთხევას. ცოცხალი სულიც მიწისაგან იღებს დასაბამს, მაგრამ მხოლოდ მართლმორწმუნეთათვისაა სასარგებლო განუშორის ამა სოფლის სიყვარულს, რათა შენთვის ცოცხლობდეს მათი სული, რომელიც მკვდარი იყო, როცა განცხრომით ცხოვრობდა, მამაკედინებულ სიამეთა შორის 180, რადგანაც წმინდა გულისთვის მხოლოდ შენა ხარ, უფალო, ცხოველმყოფელი სიამე.

30. მაშ, დაე, სხვანაირად მუშაკობდნენ მიწასუ შენი მსახურნი, და არა ისე, როგორც ურწმუნეობის წყალთა შორის, როცა სიტყვით თუ შეგონებით აუწყებდნენ წარმართთა ქვემაროტებას, სასწაულების, ნიშებისა თუ მისტიურ გამონათქვამთა მეშვეობით, რათა შემოქმედება მოეხდინათ უმეცართა სულსუ (უმეცრება ხომ განცვიფრების დასაბამია), და ამ ბუნდოვანი ნიშნებით დაეშინებინათ ისინი. ასე მიდიან რწმენამდე ადამის ძენი, რომელთაც დავიწყნიხარო და შეგვან განუშორებულნი „უფსკრულად“ 181 ქცეულანი. დაე, ისე მუშაკობდნენ შენი მსახურნი, როგორც ზღვის ხიღრმიდან გამოყოფილ მიწასუ. დაე, ერთ-

გულთა თვალწინ მიმდინარეობდეს მათი ცხოვრება, რათა რწმენის ნი-
მუქად იქცეხნენ და მიბაძვის სურვილი აღძრას მათში. მარტო იმისო-
ვის ხომ არ იხმენენ, რომ იხმისონ, არამედ იმისთვისაც, რომ იმოქმე-
დონ. „ეპით ღმერთი და ცოცხალი იქნება თქვენი სული“183; მიწა
დასაბამს მისცემს ცოცხალ სულს. „ნუ ემსგავსებით ამ ქვეყანას“184,
არამედ განდექით მისგან. სული ცოცხალია, როცა ამ სოფელს გაურ-
ბის და კვდება, როცა მისკენ მიიღვების. კერძალკო საზარელსა და
არაადამიანურ ამპარტაუნებას, გარეწილების ფუჭ სიამეს და იმას,
რაც ყაღბად იწოდება მეცნიერებად185, რათა მომინაურებულ იქნენ
გარეული მხეცები, მათეონიურდხენ შინაური ცხოველები და უვნებელნი
გახდნენ გველები. ეველა ისინი ნართაულად გამოხატავენ სულიერ
მდგომარეობებს186, მაგრამ ქვამადღური თვითგანიღლება, ეკეთური
გულისთქმით თრობა და ცნობისმოყვარეობის შხამი თვისებებია
მკედარი სულისა. სულის სიკვდილი სრულ უგრძობლობას როდი
ნიშნავს: ის კვდება, როცა განუშორება ცხოვრების წყაროს187, წუთი-
სოფლის ბობქარი ღინებით წარიტაცება და ცდილობს მიხვადგოს
მას.

31. ხოლო შენი სიტყვა, უყვალა, საუკუნო ცხოვრების წყაროდ188
და არასოდეს გარდაეა იგი. ამიტომაც გეიკრძალავს შენი სიტყვა გან-
უქშორით მას, და ამიტომაც ითქვა: „ნუ ემსგავსებით ამ ქვეყანას“189.
დაე, აღმოაცენოს მიწამ ცხოვრების წყაროსაგან ცოცხალი სული,
თანახმად შენი სიტყვისა, შენივე მახარებლების მიერ რომ გადმოგვეცა
ჩვენ: სული თავდაჭერილი და შენი ქრისტეს მიმბაძველთა მბაძვი-
სწორედ ამას ნიშნავს სიტყვები: „თავისი გარისდა მიხედვით“190,
რადგანაც მეგობარი მეგობარს ბაძავს. „ოყავით ჩემსავით, – გვეუბნება
იგი, – რადგანაც მეც ისე ვარ, როგორც თქვენ“191.

ამრიგად, „ცოცხალი სულის“ წყალობით კეთილი და თვინიერი
მხეცები იმოქმედებენ. რადგან შენ თვითონ დაგივლე აღთქმა: „მშვიდად
წარმართე შენი საქმენი და ღვთის სათხო კაცი შეგოყვარებს“192.
შინაური პირუტყვიც უოველთვის კეთილი და მშვიდი იქნება: მაშინაც,
როცა უხედა აქვს საკვები, და მაშინაც, როცა აკლია იგი193. არც
კეთილი გველები იქნებიან საშიშნი და არავის ავნებენ რასმე194; თავს
აარიღებენ წარმატალს და მხოლოდ იმდენად გამოიკვლევენ მას, რამ-
დენადაც ეს საჭიროა, რომ ქმნილების მიხედვით შეიცნონ წარუ-
ვალობა. ამრიგად, გონების მორჩილი ეველა ეს ცხოველი თავს
დაადწევს სიკვდილის გზას195, რათა თავიანთი სიკეთით ცოცხალნი
დარჩნენ.

32. აი, როდის აღიკვეთება, უკვალოდ დამართო წევნი, ყოველის შემოქმედო, წევნი მიდრეკილება ამა სოფლისხადმი: წევნი ვკვლევით ამ მიდრეკილებით, როცა უკეთურად ვცხოვრობთ, და, პირიქით, როცა კეთილია წევნი ცხოვრება, აღმოცენებას იწყებხ ცოცხალი ხელით; მაშინ ხრულდება შენი სიტყვა, თქმული შენივე მოციქულის პირით: „ხუ ემსგავსებით ამ ქვეყანას“197; მაშინვე იხსამს ხორცს შენი მომღვწეო სიტყვებიც: „გარდაიქმენით თქვენი გონების განახლებით“198, მაგრამ არა „თქვენი გვარისამებრ“199, ესე იგი, არა წევნი წინამორბედების მიბაძვით200 და არა იმით, რომ წევნივე უკეთესთა მსგავსად ვიცხოვროთ. შენ ხომ არ გითქვამს: „შეიქმნას კაცი თავისი გვარის მსგავსად“, არამედ თქვი: „შევექმნათ კაცი წევნის ხატად და მსგავსად“200, რათა საშუალება მოგეცა წევნთვის შეგვეცნო შენი ნება.

ამიტომაც ამბობს შენი სიტყვის მკადაგებელი, რომელმაც აძღვინი შვილი შეგძინა შენივე სახარების მეოხებით201, და არ სურდა მარადეამ ყრმათა მხრდელი ყოფილიყო, რომელმაც რით უნდა კვებავდნენ და ელოდიავებოდნენ, როგორც ძიძა – ბუბუქმწოვარ ჩვილს202; დიახ, ამიტომაც ამბობს: „გარდაიქმენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ნება დმრთისა, კეთილი, ხათნი და სრული“203. აი არც შენ ამბობ: „შეიქმნას კაცი“, არამედ – „შევექმნათ კაცი“; არც ამას: „მისივე გვარის მსგავსად“, არამედ – „წევნის ხატად და მსგავსად“. გონებით განახლებულსა და შენი ჭეშმარიტების შემეცნობს აღარ სჭირდება ადამიანი, რომელიც უწევსებდა, როგორ მიებადა „თავისი გვარისათვის“. შენი მინიშნებით თვითონვე შეიცნობს „შენს ნებას, კეთილს, ხათნოს და სრულს“. შენ ასწაველი და მას უკვე უნარი შესწევს იხილოს ერთობის სამპიროვნება და სამპიროვნების ერთობა. ასე რომ, მრავლობით რიცხვში ნახმარ სიტყვებს – „შევექმნათ კაცი“, იქვე ერთვის მხოლობითი – „და შექმნა დმერთმა კაცი“; ხოლო მრავლობითს – „წევნის ხატად და მსგავსად“, მოსდევს მხოლობითი – „ხატად და მსგავსად დმრთისა“. ამრიგად, კაცი ღვთის შემეცნებით განახლდება204 „მისივე შემოქმედის ხატად“, და სულიერად ქვეყნი „განსჯის ყველაფერს, თვითონ კი არავისგან არ განისჯება“205.

33. ხოლო სიტყვები – „განსჯის ყველაფერს“ – იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მორჩილებენ ზღვის თევზები და ცის ფრინველები, ყოველი მხეცი და ცხოველი, მთელი ქვეყანა და მიწასე მხოლოე ყველა ქვემრომი206. ის მბრძანებლობს მათზე თავისი გონების ძალით, რომ-

ლითაც ესმის, რომ „ღვთის სულისაგან არის“207. თორემ „ადამიანი, რომელიც პატივშია და არ კი ესმის ეს, შეიძლება უგუნურ პირუტყვს შევადაროთ და მასვე ვამსგავსოთ“208.

ამიტომ შესს ეკლესიაში, ღმერთო ჩვენი, შენი წყალობით, რომელიც მიამაძღვე მას, - „რადგანაც შენი ქმნილებანი ვართ, კეთილ საქმეთათვის შექმნილნი“209, - მარტოოდენ სულიერი წინამძღვარნი კი არ არიან, არამედ ისინიც, სულიერად რომ ამორჩილებენ მათ. აკი შენ შექმენი ადამიანი, „კაცად და ქალად შექმენ ისინი“210, მაგრამ შენი სულიერი მადლით, „აღარც მამრია და აღარც მდედრი“, ვინაიდან „აღარც იუდეველია, აღარც წარმართი, აღარც მონა, აღარც თავისუფალი“211. ხოლო სულიერი ადამიანნი, წინამძღვარნიცა და მათი მორჩილნიც, სულიერად განსჯიან და განიკითხავენ212. მაგრამ მათი მსჯავრი სულიერ ტყეშობაზეებს როდი ეხება, სამყაროში რომ ნათობენ, რადგანაც ამ ტყეშობაზეათა ავტორიტეტი იმდენად მაღალია, რომ არავისა აქვს მათი განსჯის უფლება. იგივე ითქმის შენი წმიდა წიგნის მიმართაც, თუმიცადა მასშიაც არის ერთგვარი ბუნდოვანება: ჩვენ მას საკუთარ გონებას ვუქვემდებარებთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით ისიც კი, რაც დაფარულია ჩვენი თვალისთვის, სწორად და მართებულადაა ნათქვამი. თუნდაც სულიერი და „ღმერთის, ანუ ხატად და მსგავსად თვისა მისი შემოქმედის შემეცნებით განახლებული კაცი“213 სჯულის აღმსრულებელი იყოს, და არა მისი განმსჯელი თუ განმკითხველი214. ის როდი განსჯის, თუ ვის უნდა მივაკუთვნოთ სულიერად და ვინ - ხორციელად. ეს მხოლოდ შენი ნათელმხილველი თვალისთვისაა შესაძლებელი, უფალო, ჩვენთვის კი ჯერ არ გაცხადებულა მათი საქმე, რათა „თავიანთი ნაყოფით ვიცნოთ ისინი“215. ხოლო შენ, უფალო, ჯერ კიდევ მყარის შექმნამდე იცნობდი მათ, ჯერ კიდევ მანამ დაჰყვი და იდუმალი მიზნით იხმე ისინი. ამიტომ კაცი, სულ მთლად სულიერიც რომ იყოს, არ განიკითხავს ამა სოფლის მშფოთვარე ბრბოს. როგორ „განიკითხოს გარეშენი“, თუკი არ იცის, ამ ქვეყნიდან გახელის შემდეგ ვის ელის შენი მოწოდების სიტკბოება, და ვის - მარადიული ტანჯვის სიმწარე?216

34. ამიტომ კაცს, რომელიც შენს ხატად შექმენი, არ მისცემია ხელმოწევა არც ციურ მნათობებზე, არც თვით იდუმალ ცაზე, არც დღესა და ღამეზე, რომლებსაც ცის შექმნამდე უწოდებ სახელი, და არც წყალთა შესაქმნელზე, ანუ ზღვაზე. მას მიეცა ხელმოწევა ზღვის თევზებსა და ცის ფრინველებზე, ყველა ცხოველზე და მთელს ქვეყანაზე, აგრეთვე ყველა ქვეშრომზე, რომლებიც დახოხავენ მიწაზე217.

ის განსჯის და იწონებს იმას, რაც მართებულია, და იწუნებს იმას, რასაც უხამსობად მიიხსენებს, იქნება ეს საიდუმლოთა აღსრულებისას, რასაც უსიარებთან ისინი, შენს გულმოწკაულებას რომ მოუძიებია წყაღთა ხიდრმქში; წმიდა ტრაპეზისას, სადაც დებენ ზღვის უფსკრულიდან ამოყვანილ თევზს²¹⁸, რომელსაც შექცევთ ღვთისმოსავი მიწა²¹⁹; შენი წიგნის ავტორიტეტს დაქვემდებარებულ ნიშანთა თუ სიტყვათა აზრში წკლამისას, სიტყბით რომ ფრთხილებენ მყარს ქვემოთ, და განმარტავენ შენს წერილს, გადმოგვექმენ მის შინაარსს, ბჭობენ, კამათობენ მის გამო, დღოცვა-ქერთხევის ადავლენენ და ხმაწკრიალა სიტყვებით გაცხობენ შენ, რათა ხელხმა პასუხად შელადადოს: ამიხ ეველა ეს სიტყვა წარმოთქმულ უნდა იქნეს, ეველამ უნდა გაიხმიანოს, რადგანაც „ეს სოფელი“ უფსკრულია, ხორცი კი — ბრმა: რაიღა წმინდა აზრის დანახვა არ ძალუქს, ამიტომ აქცილებულია ხმაძაღლი ბგერებით განსწონოს მისი ხასმქული. და თუცა ფრინველებიც მიწაზე მრავლდებიან, მაინც წყლისაგან იღებენ დასაბამს.

სულიერი კაცი განსჯის და იწონებს იმას, რაც მართებულია, და იწუნებს იმას, რასაც უკეთურად მიიხსენებს მორწმუნეთა ქცევასა თუ სხე-წვეულებებში, მათ მოწაულებაში, მიწის ნაყოფიერებას რომ მოგვაგონებს; ის განსჯის ცოცხალ სულის, რომლის ვნებებიც მოუთვინიერებია უმანკოებას, მარხვას და საღვთისმოსავო აზრებს²²⁰ იმის შესახებ, თუ რა შეიძლება აღიქვას ხორციელი გრძნობებით. ასე რომ, მხოლოდ იმას განსჯის, რისი გამოსწორებაც შეუძლია.

XXIV

35. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ან ეს რა საიდუმლოა? აჰა, შენ აკურთხებ, უფალო, ადამიანებს: იზარდეთ, იმრავლეთ და ადავსეთ ქვეყანა²²¹. ხომ არ მიგვანიშნებ ამით რაღაც ისეთზე, რასაც უნდა ნაწვდეთ და გავიგოთ? რატომ არ აკურთხე ამნაირადვე ნათელი, რომელსაც დღე უწოდებ²²², ანდა ცამყარი, მნათობები თუ ვარსკვლავები, მიწა თუ ზღვა? მე ვისურვებდი, ღმერთო წვეწო, მეთქვა, რომ შენ, რომელმაც შენს ხატად და მსგავსად შეგვექმენ²²³, კეთილ-ისებე მხოლოდ კაცნი გეკურთხებინა; ვისურვებდი, მაგრამ აკი ასევე აკურთხე თევზებიც და ზღვის ურჩხულნიც: იზარდეთ, იმრავლეთ და ადავსეთ წყალისი ზღვისანი, ხოლო ფრინველებმა იმრავლონ ქვეყანაზეო. მე ვიტყვი, რომ ეს კურთხევა ეხება იმ არსებებს, რომლებიც შთამომავლობას აწევენ და ამრიგად აგრძელებენ თავიანთ გვარს, მაგრამ ვერ ვნახე, რომ ასევე გეკურთხებინოს ხეებიც, ბუჩქებიც და ცხოველებიც. „იზარდეთ და იმრავლეთო“, — ეს არც ბალახებზეა ნათქვამი, არც ხე-

ბზე, არც ცხოველებსა და გველებზე, თემცადა ისინი, თევზების, ფრინველებისა და ადამიანებისა არ იყოს, თავიანთ ნაშთს და ასე იცავს, ასე ინახვენ თავიანთ ჯიშსა და ჯილაგს.

36. მაშ, რა ვთქვა, სათელსა და ჭეშმარიტებაზე ჩემო? - ის, რომ ყუჩად და ტყვილებრალად ითქვა ეს სიტყვები? არამც და არამც, მაშაო ღვთისმოსაობისაო! შორს შენი მსახურისგან ამგვარი სიტყვა! თუ მე არ მესმის მისი აზრი, მაშინ, დაე, ჩემზე უკეთესებმა, ესე იგი, ჩემზე უფრო ჭკვიანებმა განმარტონ იგი; აქი ყველას მისი შესაფერისი გამტრიახობა უბოძე, ღმერთო ჩემო.

მაშ, შეიწყნარე ჩემი აღსარება, შენს წინაშე რომ წარმოვთქვამ. ვაღიარებ ჩემს რწმენას, უფალო; დიახ, ვაღიარებ, რომ ტყვილად როდი გითქვამს ეს. იმსახაც ვიტყვი, რანაირი აზრები აღმიძრა ამ ადგილის კითხვამ. ისინი ხარწმუნოსი არიან, და მე ვერ ვხვდავ, რა მიშლის ხელს იმაში, რომ გადატანითი მნიშვნელობით მესმოდეს შენი წერილის სიტყვები. მე ვიცი, რომ ის, რაც ერთსახოვნად აღიქმება გონების მიერ, სიტყვიერად შეიძლება მრავალსახოვნად გამოიხატოს, ხოლო ის, რაც მრავალსახოვნად აღიქმება გონებით, შეიძლება ერთადერთი სიტყვიერი ფორმულით იქნეს გამოხატული²²⁴. აი, ერთიანი აზრი ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის შესახებ; აზრი, რომელიც უამრავი სხვადასხვა სიმბოლოთი, ურიცხვი ენითა და თვითიველ ენაში უთვალავი სახითაა გამოთქმული.

აი, ასე იზრდებიან და მრავლებიან წყლის ნაშთიერი. დაე, ჩემმა მკითხველმა ყურადღება მიაქციოს შემდეგს: აი, საღმრთო წერილის ერთი წინადადება მისი ერთადერთი სახით: „თავდაპირველად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“²²⁵. განა ათასნაირად არ ესმით იგი (მე არ ვგულისხმობ მცდარსა და ყალბ გაგებას), იმ ურიცხვი თვალსაზრისის შესაბამისად, რომელთაგანაც თვითიველი სწორი და ხარწმუნო ჩანს? აი, ასე იზრდებიან და მრავლებიან ადამის ძენიც.

37. თუ ჩვენ ისე ვიფიქრებთ საგანთა ბუნების შესახებ, რომ არავითარ აღუგორიას არ მივმართაოთ, მაშინ სიტყვები - „იზარდეთ და იმრავლეთ“ ყველაფერს შეიძლება მიესადაგოს, რაც კი თესლისაგან იბადება. ხოლო თუ მათ გადატანითი მნიშვნელობით გავიგებთ - მე მგონია, სწორედ ეს იყო საღმრთო წერილის მიზანი: ტყვილად ხომ არ აკურთხებს მარტოოდენ ზღვის ცხოველებს და ადამიანებს, - მაშინ ამ „სიმრავლეს“ სულიერ და სხეულებრივ არსებებს შორის აღმოვანებთ, - ისინი აღინიშნებიან სიტყვებით „ცა და მიწა“, - ისევე, როგორც მართალთა და ცოდვილთა შორის, რომელთაც „ნათლით და ბნელით“ აღნიშნავენ; იმავე „სიმრავლეს“ ვსიყვებთ წმიდა ავტორებშიც, რომლებმაც გვიბოძეს სჯული (როგორც მყარში, წყალსა და წყალს შუა

რომ დაამკვიდრე); ადამიანებთან სწორე ურთიერთობაშიც (როგორც 'სღვაში'); ღუთისმოსავე ხელთა გ'სნებაშიც (როგორც „ხმელში“); ამქვეყნად აღსრულებულ გუელმოწყალებს ეველა საქმეშიც (როგორც „ნათეს ბაღახსა თუ საყოფიერ ხეებში“); ჩვენდა სასიკეთოდ გაცხადებულ ეველა სუელიერ ნიჭშიც (როგორც „ცის მნათობებში“) და 'სომიერებთ დაურევებულ გუელისთქმსშიაც (როგორც „ცოცხალ სუელში“).

მიუღს ამ სიმრავლეში ჩვენ აღმოვანხით ხიჭარბებს, 'სრდას და მატებას, მაგრამ ეს „სრდა და სიმრავლე“ იმნაირია, რომ მხოლოდ გრძნობად ხატებათა და განით საწვლამ მოველსათა სამკაროშია შესაძლებელი ერთი და იგივე რამ ათახსაირად გამითქვას, ხილს ერთი, ერთადერთი დებულება ათახსაირად იქნას გავებული.

წყალთა ნაშოერებად ჩვენს მიერ იველისხმებისა ის გრძნობადს ხატებანი, რომელნიც აუცილებელნი არიან უკიდერესად ხორციელ კაცთათვის; კაცთა ნაშოერებად კი - ნაყოფიერი გონების მიერ ნაშობი ახრობრივი წარმოდგენები.

ჩვენ გვგონია, რომ ერთთაც და მეორეთაც სწორედ ამიტომ უთხარი, უყვალთ: იხარდეთ და იმრავლეთო. ჩემის ახროთ, ამ კერძხევამ მოგემადლა იმის ძალა და უნარი, რომ ერთხახივნად აღქმული მრავალსახივნად გამოეხატოთ, და მრავალსახივნად გვესმოდეს ერთსახივნად გამოხატული მხელი და ბუნდოვანი ადგილი²²⁶. ასე აღიფხუბიან წყაღნი ზღვისანი და ურთისავენი სხედადახევა გამმარებებთ ახვირთებუღნი²²⁷. ასე აღიფხუბა მიწაც კაცთა ნაშოერთ; მისი ხხმელე²²⁸ ცოდნისკენ სწრაფევაში ეღინდება, და გონება მბრძანებლობს მასსე²²⁹.

XXV

38. იმის თქმაც მინდა, უყვალთ ღმერთო ჩემო, თუ რას შთამბგანებენ შენი წყრილის მომდევნო გვერდები. თამამად ვიტყვი ეველაფერს, რადგანაც, შენს მიერ შთაგონებული, სიმართლეს ვიტყვი. სწორედ შენ მკარნახობ იმას, რისი თქმაცა გხურს ჩემი მეშვეობით. მწამს, რომ სიმართლეს ვამბობ შენი შეგონებით, რადგანაც მხოლოდ შენა ხარ ჭეშმარიტი²³⁰, „ყოველი კაცი კი ცრეა“²³¹. ამიტომ „ვისც სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს“²³². ასე რომ, სიმართლის სათქმელად შენმიერის თქმა მმართებს.

აი, შენ მოგვეცი სახრდოდ „ყოველი ბაღახი, თხლის მოესველი, რაც კია დედამიწის ზურგზე, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თხლის მოესველი“²³³, - ჯა არა მარტო ჩვენ, არამედ ყოველ ფრინველს ზეცისას, ცხოველს ქვეყნისას და თვით გველებსაც, თუჩებისა და ზღვის ურსხულთათვის კი არ მიგიცია.

ჩვენ ვამბობთ, რომ მიწის ეს ნაყოფი ალექსანდრეულად განასახიერებენ მოწყალების საქმეს, რასაც ამქვეყნიურ გასაჭირში გვთავაზობს ნაყოფიერი მიწა: ამნაირი მიწა იყო ღვთისმოსავი ონესიფორე, ვის სახლსაც მიაგე წყალობა, რადგანაც „მრავალგზის მოეყოსა“ პავლეს და „სირცხვილად არ უნდა მისი ბორკილები“²³⁴. იგივე მოსმოქმედეს „მაკედონიიდან მოხულმა ქმებმა“, რომლებმაც მიაწიეს უხვი მოსავალი და „შეაესეს მისი ნაკლულოვანება“²³⁵. მაგრამ ზოგ ხეს კი უწივის, ჯეროვანი ნაყოფი რომ არ გამოიღეს მისთვის: „ჩემი პირველი თავის მართლებისას არავინ ამომიდგა მხარში, არამედ ყველამ მიმატოვა; სუ მოეკითხება მათ“²³⁶. ეს „ნაყოფი“ უნდა მიექლენას იმათ, ვინც გვაზიარებს გონივრულ მოძღვრებას და ღვთაებრივი საიღუმლოს შეცნობაში გეშველის; ეს „ნაყოფი“ უნდა მიექლენას მათ, როგორც ადამიანებს და კეთილისმყოფელთ, ყოველგვარი მოთმინების მისაბამ ნიშეშად რომ სთავაზობენ თავიანთ თავს „ცოცხალ სულებს“, აგრეთვე როგორც ცის ფრინველებს, მათი კურთხევის გამო, მთელ ღვდამიწას რომ მოეფინება, რადგანაც „ქვეყნიერებას კიდით კიდემდე სწვდება მათი სიტყვები“²³⁷.

XXVI

39. ამ საზრდოთი საზრდობენ ისინი, ვინც მას შეეხარის; არ ხარობს ის, „ვისი ღმერთიც არის მუცელი“²³⁸. და მათ შორისაც, ვინც „ნაყოფს“ სთავაზობს მოევასს, „ნაყოფის“ სახელს ის კი არ იმსახურებს, რასაც ისინი იძლევიან, არამედ ის გრძნობა, რომლითაც მას იძლევიან.

მე ვხედავ, რას შეეხარის ის, ვინც ღმერთს ემსახურება და არა თავის მუცელს, ვხედავ და ვულოცავ კადეც. მან ფილიპელთაგან მიიღო ის, რაც ეპაფროდიტოსის ხელით გამოუგზავნათ²³⁹; მე ვხედავ, რაც უხარია, და რაც უხარია, სწორედ ისაა მისი საზრდო, ვინაიდან მართალს ამბობს: „დიდად გაეხარე უფლის მიერ, რომ კვლავ დაიწყეთ ჩემსე სრუნვა; თუმცა უწინაც სრუნავდიო, მაგრამ ვითარებამ დაგაბრკალათ“²⁴⁰. ფილიპელები დამეყიდნენ ამ ხანგრძლივი დაბრკოლების გამო, რამაც დაატკნო მათი ქველმოქმედების ნაყოფი. მოცოქულს უხარია, რომ კვლავ ამოიწვერა მათი მსრუნველობის ნორჩი ყლორტები; თავისი თავის კი არა, იმის გამო ხარობს, რომ შეეწიენ მის გასაჭირს. აკი იქვე დასსენს: „იმიტომ როდი ვამბობ, რომ რამე მაკლია, რადგან მე ვისწავლდე კმაყოფილი ვიყო იმით, რაცა მაქვს. გაჭირვებაც ვიცი და ხელგამლილობაც; ყველაფერი მისწავლია ყოველში, სიმამლრეც და შიმშილიც, სიმწირეც და სიუხვეც. ყველაფერი შემძლია ჩემი გამაძლიერებელი ქრისტეს მიერ“²⁴¹.

40. მაშ, რა გიხარია, დიდი პეველე? რა გიხარია და რა გახასრდოებს, კაცო, ღმერთის შემეცნებით განახლებულა, 242, ღმერთისა, ხატად და მსგავსად თვისად რომ შეგქმნა შენ? რა გიხარია, ცოცხალი სული, შენივე თავის ბატონ-პატრონო, ფრთიანო ენავ, საიდუმლოთა არსზე მეტყველო? სწორედ ამნაირ სულებს შეპყვრის ეს ხასრდო. კი მაგრამ, მაინც რა გახასრდოებს? - სიხარული. შემდეგიც მოვიხსენიოთ: „კარგად მოიქცეთ, რომ გაიხიარეთ ჩემი გახატობა“ 243. აი, რა ახარებს, აი, რა ახასრდოებს: მათი კარგი ქცევა, და არა თავისი გახატობის შემსუბუქება. ის ამბობს: „ვიწროების ჟამს შენ მომეცი გახატობა“ 244, რადგანაც ყველაფერს მიუხედავად - „სიუხეხვაც და სიმწირესაც“, შენი შეწყვეთ, უფალო, რომელიც განამტკიცებდი და გააძლიერებდი მას. „ხოლო თქვენც იცით, ფილიპელსო, - კვლავ ამბობს იგი, - რომ სახარების დასაბამს, როცა გამოვედი მაკედონიით, არცერთმა ეკლესიამ არაფერი გამოიხარა, მოცემითა თუ მიღებით, თქვენს გარდა, ვინაიდან თვით თესალონიკეშიც ერთი-ორჯერ გამომიგზავნეთ, რაც საჭირო იყო ჩემთვის“ 245. და მას უხარია, რომ ისინი კვლავ მიუბრუნდნენ ქველმოქმედებას, და ნეტარებას უძლევა, რაკიდა ხედავს, როგორ იხრდება მათში სიკეთის სირინი ყლორტები, თითქოს დიდი ხნის ნანატრი წვიმის შემდეგ ხელახლა აბიბისებულ ვანას ხედავსო.

41. განა თავის საჭიროებაზე ფიქრობდა, როცა თქვა: „გამომიგზავნეთ, რაც საჭირო იყოს ჩემთვისო“? განა ეს უხაროდა? არა, ეს არა. კი მაგრამ, რა ვიცით? ცოტა ქვემოთ თვითონვე ამბობს: „საბოძვარს კი არ ვეძებ, არამედ ნაყოფს“ 246.

შენგან ვისწავლე, ღმერთო ჩემო, საბოძვარიხა და ნაყოფის გარჩევა. „საბოძვარია“ ის, რასაც გვაძლევს გახატობაში ჩვენი შემწეობა: ფული, სასმელ-საჭმელი, შესამოსელი, დახმარება, თავშესაფარი. „ნაყოფი“ კი საბოძვრის გამღების წრფელი და კეთილი ნებაა. ამიტომ კეთილ მოძღვარს მარტოოდენ ეს როდი უთქვამს: „ვინც შეიწყნარებს წინასწარმეტყველს“, არამედ იქვე დასძენს: „წინასწარმეტყველის სახელით“; არც მხოლოდ ეს უთქვამს: „ვინც შეიწყნარებს მართალს“, არამედ იქვე უმატებს: „მართლის სახელით“. მხოლოდ მაშინ მიიღებს საზღაურს ერთი - წინასწარმეტყველისას, ხოლო მეორე - მართლისას 247. არც მარტოოდენ ამას ამბობს: „ვინც ცივ წყალს მიაწვდის ერთს ამ მცირეთაგანს“, არამედ დასძენს: „მოწაფის სახელით“, და ასე აგრძელებს: „ტყეშმარიტად გუებნებით თქვენ, არ დაეკარგება თავისი სასდაური“ 248. წინასწარმეტყველის შეწყნარება, მართლის შეწყნარება, ცივი წყლის მიწვდა მოწაფისათვის - ყოველივე ეს საბოძვარია, ნაყოფი კი ისაა, რომ ყველაფერი „წინასწარმეტყველის სახელით“,

„მართლის სახელით“, „მოწაფის სახელით“ გაეკოდეს. ამნაირი ნაყოფით სასრდობდა ელია ქერიეი ქალისას, რომელმაც იცოდა, რომ ღუთის კაცს ინახავდა, და სწორედ ამიტომ ინახავდა მას. საბოძეარს კი ევაჯ- ისაგან იღებდა იგი249: ამ სასრდოთი შისაგანი ელია კი არ სასრ- დობდა, არამედ გარეგანი, რომელიც შეიძლება დაღუპულიყო ამ- ნაირი სასრდოს გარეშე.

XXVII

42. იძახაც ვიტყვი, უფალო, რაც ჭეშმარიტია შესხ თვალში. რადეხაც უმეცარნი და ურწმუნონი250, რომელნიც მხოლოდ ნიშებითა და ღიადი სასწაულებით თუ შეიძლება უზიაროს რწმუნას და შეემატონ შესხ სამწეხოს (მე მგონია, სწორედ ესენი იწოდებიან ხადმროთა წერ- იღში „თუეზებად“ და „სღვის ურწხულებად“), – თავს იღებენ დაეხმ- რონ და ცხოვრებისეულ გასაჭირში შეეწონ შესხ შეიღებ251, ისე, რომ არც კი იციან, როსოფის, ან რა მიწნით სნადიან ამას, არც იხინი გასცეშენ ჭეშმარიტ სასრდოს, და არც სხეები ღებულობენ მას. პირეული ქველმოქმედების წმინდა და წრეული განსრახეით რადი იქცევიან ასე, მეორენი კი არ ხარობენ მათგან მიღებული საბოძერიოთ, რადგან ჯერ კიდევ ვერ ხედავენ „ნაყოფს“. ხელს კი მხოლოდ ის ასასრდოებს, რაც სიხარულს ანიჭებს მას. ამიტომაცაა, რომ თუესები და სღვის ურწხულები არ იღებენ იმ სასრდოს, რომელიც შეიძლება აღმოაცენოს მხოლოდ სღვის მწარე წყაღთაგან გამოყოფიღმა და გან- ცაღკეუბღღმა მიწამ.

XXVIII

43. და შესხ იხილე ეველაფერი, რაც კი შეექმენი, ღმერთო, და დარწმენდი, რომ ეველაფერი „ძაღსე კარგია“252. სეგეც ვხედავთ ამას და ვრწმუნდებით, რომ „ეველაფერი ძაღსე კარგია“. შესხ ერთმიერთის მიეოლებით მიიხიღადეი შენივე სიტყვით შექმნიღ ეველა სახეობას და ხედავდი, რომ თეითეული მათგანი კარგი იყო. მე დავითუღაღე: შეიღ- ჯერაა ნათეკამი, რომ ეოველი შესხ ქმნიღების მიხიღვისას კარგად და კუთიღად მიგანსნა იგი. მერეედ კი, რიცა ერთობლიღად მიიხილე ეველაფერი, რაც კი შეექმენი, დარწმენდი, რომ არა მარტო კარგი იყო, არამედ „ძაღიან კარგიც“, როგორც რაღაც ერთიანი და მიღიანი. დიახ, ეველაფერი ერთად არა მარტო კარგი იყო, არამედ ძაღიან კარ- გიც. იგივე შეიძლება ითეკას მშეენიერ სხეულებსედაც. მთელი სხეული, რომელიც მშეენიერი ნაწიღებისაგან შეღგება, გაციღებით უფრო მშეენიერიღ, ვიღრე თეითეული ნაწიღი ცაღ-ცაღკე- ეოველი

მათგანი თავისთავადაც მშვენიერია, მაგრამ მხოლოდ მათი მწკობრი უროიერთშერწყმა წარმოქმნის მშვენიერზე მშვენიერ მოელს.

XXIX

44. მე ვცდილობდი გამეგო, მაინც რამდენჯერ - შეიძლება თუ რეაჯერ იხილე, რომ შენი ქმნილება კარგია და შენთვის მოხაწოხი. მაგრამ ვერხად მივაკვლიე იმის დასტურს, რომ ეს მოხილვა დროში ხდებოდა, რაც საშუალებას მომცემდა დამეგისა, რამდენჯერ მოიხილე შენი ქმნილება. და მაშინ შემოგვალადე: „უფალო, განა მართალი არ არის შენი წერილი, რომელიც შენ, თვით ჭეშმარიტებამ და ხი-მართლემ, მოგვეცი? 253 მაშ, რაღად გვეკვებები, რომ ეს შენი მიმოხილვა დროში არ ხდებოდა, შენი წერილი კი გვიხეხებებს, რომ დღი-თილდე უმხერდი შენს ქმნილებას და კეთილად მიგანსდა იგი; - ვის მოსთვლის, რამდენჯერ დამითვლია ეს?“

ამასე შენ მეუბნები, რადგანაც წემი ღმერთი ხარ, მინაგას ეურში ჩამძახი და შემუხრავ მის ხიერეეს: „ჰე, კაცო, რახაც წემი წერილი ამბობს, იმას მე ვამბობ. მხოლოდ ის დროში იტყვის, წემი სიტყვა კი დროს არ ექვემდებარება, რადგანაც მარადჟამ წემოსანაა, წემივე თანამარადისი 254. რახაც თქვენ წემი სულით ხედავთ, იმას მე ეხედავ; რახაც თქვენ წემი სულით იტყვი, იმას მე ვიტყვი. მაგრამ თქვენ დროში ხედავთ, ხილო მე - დროის გარეშე; სეხტად ასევე თქვენ დროში იტყვი, ხილო მე - დროის გარეშე“.

XXX

45. მე მოვისმინე ეს, უფალო ღმერთო წემო, და არ დამიღერია შენი უტკბუხი ჭეშმარიტების არცერთი წვეთი. მე მოვხედი, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოხწონთ შენი საქმნი 255: ისინი ამტკიცებენ, რომ ბუერი რამ აუცილებლობით იძულებულმა შექმნი, როგორც მაგალითად, ცათა წესრიგი და მნათობთა განლაგება; მათი ახროთ, შენი საკუთარი მახალისაგან კი არ შეგიქმნია ისინი, არამედ უკვე სადღაც იყვნენ, ვიღაცის მიერ შექმნილნი, შენ კი მხოლოდ შეკრიბე შეაერთე და შეაკავშირე, როცა სიღიე შენი მტრები და გაღაყნით შე-მოზღუდე სამიარო, რათა ძლეულნი კვლივაც არ ადმრულიყვნენ შენს წინააღმდეგ; ხილო ბუერი რამ თურმე საერთოდ არ შეგიქმნია და არც მოგიწესრიგებია: არც ხორციელი არსებანი, არც პაწაწკინტელა ცხოველები, არც ის, რაც მიწას ნახწენია და ნახტიდებია ფეხვეებით: ყოველივე ეს თითქოს სხვა, მტრულმა ბუნებამ შექმნა და წამოაყალიბა სამიაროს ქვედა სფეროში, ბუნებამ, რომელიც შენ კი არ შეგიქმნია, არამედ უცხია შენთვის და კიდევაც გიპირისპირდება თურმე 256.

უგუენური ამბობენ, რომ შენი თვალით როდი ხედავენ შენს საქმეებს, და ვერც შენ გცნობენ მათში.

XXXI

46. ხოლო ვინც შენი სულითა ხედავს, სწორედ შენ ხედავ მათში. და როცა ისინი ხედავენ, რომ შენი ქმნილებახი კარგნი არიან, ისევ შენ ხედავ მათი ხიკარგეს. ხოლო იმაში, რაც მათთვის ძვირფასია შენს გამო, თვითონ შენა ხარ ძვირფასი მათთვის; ის კი, რაც შენი სულით მოგვწონს, შენავე მოგვწონს ჩვენში. „რადგან რომელმა კაცთაგანმა იცის კაცისა, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში? ასევე არაჲნი იცის ღმრთისა, თუ არა ღმრთის სულმა. ხოლო ჩვენ ამ ქვეყნის სული კი არ მიგვიღია, არამედ სული, რომელიც არის ღმრთისაგან, რათა ვიცოდეთ, რა მოგვანიჭა ღმერთმა“²⁵⁷.

მაშასადამე, მე უყვლება მაქვს ეთქვა: რა თქმა უნდა, „არაჲნი იცის ღმრთისა, თუ არა ღმრთის სულმა“. მაგრამ ვინ იცის, „რა მოგვანიჭა ღმერთმა“? აი, რა მესმის პასუხად: რაც ჩვენ ვიცით მისი სულით, „არაჲნი იცის, თუ არა ღმრთის სულმა“. ასე რომ, მართებულად ითქვა მათ მიმართ, ვინც ლაპარაკობს ღმრთის სულით: „თქვენ როდი ამბობთ ამას“²⁵⁸, ისევე, როგორც მართებულად ითქვა მათ მიმართაც, ვინც იცის ღმრთის სულით: „თქვენ როდი იცით ეს“. არანაჯღებ მართებული იქნება, თუ ვეჭვით მათ, ვინც ღმრთის სულითა ხედავს: „თქვენ როდი ხედავთ ამას“. ამრიგად, ვინც ღმრთის სულითა ხედავს რაღაც კარგს, თვითონ კი არა, ღმერთი ხედავს, რომ ეს კარგია.

აი, პირველი შემოხვევა: ვიდაცას ცუდი ჰგონია ის, რაც კარგია, - იმ ხალხის მსგავსად, ვის სუდაც სემოთ ვილაპარაკეთ. აი, მეორე: ადამიანი ხედავს, რომ კარგი კარგია; ბევრს მოსწონს შენი ქმნილებანი, იმიტომ, რომ კარგნი არიან, მაგრამ შენ როდი უყვარხართ მათში; ისინი ამჯობინებენ ამ ქმნილებებით ტკებოდნენ, და არა შენით. და ბოლოს, მესამეც: ადამიანი ხედავს რაღაც კარგს; ეს რომ კარგია, ამას ღმერთი ხედავს მასში, და იმიტომ ღმრთის ქმნილებაში თვით ღმერთი უყვარს. მაგრამ ამ სიყვარულს შეეძლო თავი ეჩინა მხოლოდ სულის შესევობით, რომელსაც ღმერთი გვანიჭებს: „ეინაიდან ღმრთის სიყვარული ჩაიდგარა ჩვენს გულებში სულის წმიდის მიერ, რომელიც მოგვეცა ჩვენ“²⁵⁹. სწორედ ეს გვაძლევს იმის დანახვის საშუალებას, რომ კარგია ყოველივე არსებული, მიუხედავად იმისა, თუ რანაირად არსებობს იგი: ყველაფერი მის მიერია, ვინც ასე თუ ისე კი არ არსებობს, არამედ აბსოლუტურად არსებობს²⁶⁰.

47. მადლობას გწირავ, უფალო!261 ჩვენ ვხედავთ ცასა და მიწას, ანუ მატერიალური სამყაროს 'ხედა და ქვედა ნაწილს: სულიერსა და სხეულებრივ არსებებს. და როგორც სამკაულს ამ ნაწილებსას, რომელთაგანაც 'შეღებება მთელი ეს უსახრულო სამყარო, ანუ ყოველი ქმნილების ღიადი ერთობლიობა, - ჩვენ ვხედავთ ნათელს, 'შექმნილსა და ბუნებისგან გამოყოფილს. ვხედავთ ცამყარსაც, 'ზენა, ანუ სულიერსა და ქვენა, ანუ მატერიალურ წყაღთა 'შორის რომ მდებარეობს, სამყაროს პირველ სხეულსა და იმ პაეროვან სივრცეს, რომელსაც ასევე ცას 'უწოდებენ, სადაც დააქრიან ცის ფრინველები, იმ წყაღთა 'შუა, რომელთაგანაც ერთნი, ორთქლად ქცეულნი, სულ უფრო და უფრო მადლა მიიწვევენ, რათა მშვიდი და მკუდრო ღამით ცვარ-ნამად დაეფინონ მიწას, მეორენი კი, უფრო მიძიენი, ღვართქაყად თავს ატყდებიან ქვეყანას. ჩვენ ვხედავთ 'ზღვის უკიდვგანსი სივრცე'ში ერთად შეკრებილ წყაღთა მშვენებას; მიწას, ხან უსახოს და 'უდაბურს262, ხანაც ხილულსა და სიკეთით 'შემკულს, ხეოა და ბაღახოა დედას263. ვხედავთ ცის თაღზე მოელვარე მნათობებს: მსეს, ურომლისოდაც არ იქნებოდა დღე, და ღამის ნუგეშს - მოვარესა და ვარსკვლავებს; ყველა ისინი დროის ნიშნებად და სასომად გვევლინებიან264. ჩვენ ვხედავთ, რომ ნოტიო სტიქიანი მთლიანად თვესებით, ყველა ურჩხულუბითა და ფროთსანი არსებებითა დასახლებული265, რადგანაც პაერის სიმკერივეს, ფრინველთა ფრენას რომ 'უწყობს ხელს, წყაღთაგან ანადენი ორთქლი განაპირობებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყნიერების 'ხედაპირი მიწიერ ცხოველებს დაუმშვენებიათ; ვხედავთ კაცსაც, 'შენს ხატად და მსგავსად 'შექმნილს და ყველა უგონო ცხოველის მეუფედ და მბრძანებლად დასმულს266, სწორედ 'შენს ხატებისა და მსგავსების, ანუ გონიერებისა და 'შემეცნების ძალით. და როგორც მის სულში ერთი ნაწილი განსჯის და ბრძანებს, მეორე კი მას ემორჩილება, ხორციელად ასევეა 'შექმნილი კაცისთვის ქაღიცი: მისი ბუნება, გონიერებით და 'შემეცნებით, კაცის ბუნების სწორია, მაგრამ თავისი სქესით ქაღი კაცს ექვემდებარება, მსგავსად იმისა, როგორც მოქმედების სურვილი ექვემდებარება გონების კარნახს, სწორი მოქმედების გზას რომ 'უჩვენებს მას. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ქმნილება კარგია, ხოლო ყველა ერთად - ძალიან კარგი.

48. გადიდებენ, უფალო, 'შენი საქმენი267, რათა 'შეგიყვაროთ ჩვენ, და ჩვენ გეიყვარხარ, რათა 'შენი საქმენი გადიდებდნენ 'შენ.

დროშია მათი დასაბამიც და დასასრულიც, აისიცა და დაისიც, აღ-
მასულაც და დაღმასულაც, მშენიერებაც და არასრულქმნილებაც. მათ
დიდას საღამო მოსდევს, შეუმსწველადაც და ცხადადაც.

ყველაფერი „არაფრისაგან“ შექმენი შენ, თუმცა შენი საკეთარი
ზუბსტანციისაგან კი არა, არამედ მატერიისაგან; მაგრამ არა იმ მატ-
ერიისგან, რომელიც არ გეკუთვნის შენ, ანდა უწინაც არსებობდა,
არამედ შენს მიერ სამყაროს შექმნასთან ერთად შექმნილისაგან, რად-
განაც უსახოს შენ მიანიჭე სახე. დროის ყოველგვარი შექალუდის გა-
რეშე.

სხვაა მატერია ცისა და სხვაა მატერია მიწისა, სხვადასხვა-
ნაირია ცისა და მიწის იერიც. ეს მატერია შენ შექმენი
„არაფრისაგან“, სამყარო კი – ამ უსახო მატერიისაგან. ორივენი ერ-
თად შექმენი: უსახო მატერიამ ყოველგვარი შეყოვნების გარეშე მიიღო
სახე:

XXXIV

49. ჩვენ ვფიქრობდით, რა აღეგორიული აზრი გსურდა ჩაგედო
შესაქმის ამნაირ თანმიმდევრობაში, ანდა იმავე შესაქმის სიტყვიერად
გადმოცემის ამნაირ წყობაში. ჩვენ ვნახეთ, რომ ყოველი შენი
ქმნილება, ცალკე აღებული, კარგია, ხოლო ყველა ერთად – ძალიან
კარგი. შენს სიტყვაში კი, შენს მხოლოდშობილ ძეში, მთელი ცა და
მიწა ვიხილეთ, ეკლესიის თავი და სხეული, წინასწარგანსახდურულნი
ყოველგვარ დროზე უწინარესად, ყოველგვარი ცისკრისა თუ მწუხრის
გარეშე. ხოლო როდესაც წინასწარგანსახდურულის დროში
ხორცშესხმა დაიწყო, რათა გაგეცხადებისა დაფარული და მოგეწესრი-
გებინა ჩენი უწესრიგობა (რადგანაც ცოდვები თავს გადაგედოდა268
შენგან განსორბეულთა და პირქვეშ უფსკრულში დანთქმულთ, მაგრამ
თავს დაგეტრიალებდა შენი კეთილი სული, რათა დროულად მოველინა
ჩენთვის შემწობა), მაშინ გაამართლე უიმერთონი, ცოდვილთაგან
განაცალევე ისინი და განამტკიცე შენი წიგნის ავტორიტეტი
უხეანესთა შორის, რომელნიც შენ გმორჩიდებენ, და მათ მორჩილ
მდაბალთა შორისაც ერთად მოუყარე თავი ერთსულისეობით შეკრულ
ურწმუნოთ, რათა უფრო ნათლად წარმოჩენილიყო მართლმორწმუნეთა
გნება, გულომოწყალებით აღძრულნი მიწიერ სიკეთეს რომ უწილადე-
ბენ უპოვართ, რათა სანაცვლოდ დაიმკვიდროს ხეციური სიკეთე.

და მაშინ ცამყარზე აღაწოე ღამპარნი: ესენი არიან შენი წმი-
დანნი, რომელთაც აქვთ ცხოვრების სიტყვა, სულიერი ნიჭით გაბრწყ-
ინებულნი და უსხანესი ავტორიტეტით მოხილნი. იმაედროულად,
ურწმუნო ერთა მოქცევის მიზნით, სხეულებრივი მატერიიდან

ამოაფრქვიე სასწავლნი, საიდუმლონი და წიხასწარმეტყველებანი, თანახმად შენი წიგნის მეარისა, რათა კურთხევა მოაფენიოდა მორწმუნეთ, და შემდეგ შეიქმენი მათში ცოცხალი სული, თაუდატერილობის ძალით რომ მოაწესრიგე მათი გონიბები. გონება, რომელიც მხოლოდ შენ გემორჩილება და არავითარ ადამიანურ ავტორიტეტს არ სატიროებს მიბაძვისათვის, შენ განაახლე შესავე ხატად და მსგავსად; როგორც ქალი - კაცს, გონების კარნახს დაუმორჩილე ყველა გონივრული ქმედება, და მოისურვე, რომ ყველა შენს მსახურს, რომელნიც ესოდენ სატირონი არიან ამქვეყნიურ ცხოვრებაში მორწმუნეთა სრულყოფისათვის, სწორედ ეს უკანასკნელნი შეეწვიოდნენ ცხოვრებისეულ გასატირში; მომავალ ცხოვრებაში უხვ ნაყოფს გამოიღებს ეს შემწეობა.

ჩვენ ვხედავთ ყოველივე ამას და ვრწმუნდებით, რომ ყველაფერი ძალიან კარგია, რადგანაც ჩვენში შენ ხედავ ამას, შენ, ვინც მოგვეცი სული, რათა მისი მეშვეობით ვხედავდეთ შენს ქსილდებებს და მათში გვიევიარდე შენ.

XXXV

50. უფალო ღმერთო, რომელმაც მოგვეცი ყველაფერი, მოგვეც მშვიდობაც 269 სიმშვიდე მოსვენებისა, შაბათის სიმშვიდე, სიმშვიდე, რომლისთვისაც უცხია მწუხრი. მთელი ეს მშვენიერი მშვეობრი ძალიან კარგი ქსილდებებისა თავის გზას დაასრულებს და გარდავა; მათ ისევე ექსებათ თავიანთი მწუხრი, როგორც ოდესღაც რიურაუი აქონდათ.

XXXVI

51. მეშვიდე დღისთვის კი უცხია მწუხრიც და დასავალიც, რადგან შენ შემოსე სიწმინდით, რათა მარადის ვგოს. შენი საამო შრომის ბოლოს, მას შემდეგ, რაც დაასრულე „ძალიან კარგი“ ქსილდება, მეშვიდე დღეს განისვენე (თუმცა ისე ქსიდი სამყაროს, რომ შენი სიმშვიდე არაფერს დაურღვევია). - და შენი წიგნის ხმით გავუწია, რომ ჩვენც უნდა განვიხვეწეთ ჩვენი შრომის შემდეგ, რომელიც „ძალიან კარგია“, იმიტომ, რომ შენი შემწეობით დაეასრულეთ იგი; საუკუნო ცხოვრების შაბათს ჩვენ განვიხვეწებთ შენში.

XXXVII

52. და მაშინ შენც განისვენებ ჩვენში, როგორც დღეს ჩვენშივე მოქმედებ. და ჩვენი დასვენებაც შენი იქნება, როგორც ჩვენი შრომაა შენი 270. ხილო შენ, უფალო, მარად მოქმედებ და მარად ისვენებ.

დროის გარეშე ხელდაე, დროის გარეშე მოქმედებ და დროის გარეშე
ისვენებ, ჩვენ კი იმის უნარს გვაძლევ, რომ დროში ვხელავედეთ; შეს
ქმნი თვით დროს და განსვენებახაც დროის დასასრულს.

XXXVIII

53. ამრიგად, ჩვენ ვხელავეთ, რაც შექმენი, რადგანაც სამკარო
არსებობს, მაგრამ იმიტომ არსებობს, რომ შეს ხელავე მას271. გარე
სამკაროს ჭერუეჭისას ჩვენ ვხელავეთ, რომ ის არსებობს; მასზე ვიქრო-
ხას ვხელებით, რომ ის კარგია; შეს კი მასშინვე ხელავედი უკვე
შექმნიდს, როცა იხილე, რომ უნდა შეგექმნა.

და ახლა ჩვენში იღვიძებს სიკეთის ქმნის სურვილი, მას შემდეგ,
რაც ჩვენს გულში შესი შეგონებით აღიძრა იგი. მანამდე კი, შესგას
განშორებულნი, მხოლოდ ბოროტებისთვის თუ აღვიძროდიით. შეს კი,
ღმერთო ერთო და ყოვლად კეთილო, არასოდეს შეგიწვევია სიკეთის
ქმნა. შესი წყალობით, ჩვენც მოგვეძებნება თითო-ოროდლა კეთილი
საქმე, მაგრამ წარუვაღისი რადი არიან ისინი. თუმცა იმედი გვაქვს,
რომ მათი დასრულების შემდეგ განვიხვენებთ შესს სიწმინდესა და
სიდიადეში. შეს კი, ყოვლად კეთილო, არავითარი სიკეთე არა
გჭირდება და მარად ისვენებ, რადგანაც შესი დასვენება თვითონ შესა
ხარ.

ვინ, რომელი კაცთაგანი გააგებინებს ამას კაცს? რომელი ანგე-
ლოსი - ანგელოსს? რომელი ანგელოსი - კაცს? შეს უნდა გვიოხე-
ბოდეთ, შესში უნდა ვვძებდეთ და შესვე გიკაკუნებდეთ კარზეც272:
მხოლოდ ასე თუ მივიღებთ, ასე თუ ვსოვებთ და ასე გაგვიღებებს კარ-
საც.



კომენტარები



1. ფსალმ. 144,3;146,5.
2. იხ. იაკ. IV, 6; პეტრე, V,5.
3. რომ. X, 14; ფსალმ. 21,27.
4. "სოფიერითი კომპეტატორის ახრით, აქ უხდა იველისხსობადეს გელესოს ერთ-ერთი უდიდეს მსაბთავანი, მილანის არქიეპისკოპოსი ამბროსი მედიოლანელი (მილანელი; 340-397 წ.), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სეტარი ავგუსტინეს მოქცევაში.
5. დაბად. 1,1.
6. "მდრ. სეტარი ავგუსტინე, „შესაქმისათვის“, 4,12,22: „შეიქმნეს და მძლეთა-მძლე ყოველისმპყრობელის ძალმიხილვება, - აი, მისესი ყოველი ქსიილები არსებობისა“.
7. იხ.ფსალმ. 138,8.
8. "მდრ. რომ. XI,36.
9. იერ. XXIII,24.
10. „აღსარებათა“ ფრანგი გამომცემლის, მთარგმნელისა და კომპეტატორის, პუატეის უბიერსიტეტის პროფესორის პიერ დე ლაბრიოლის "შესიშვით, „იოთხეთი ფორმით გადმოცემული ამათი მსჯელობანი იმდგად ხშირია სეტარი ავგუსტინეს თხზულების ფილოსოფიურ ხაწილში, რომ მკითხველისათვის სოფჯერ მისაბეზრებელიც კი ხდება“ (Saint Augustin. Confessions, t. I, Paris. 1925, p.4).
11. ფსალმ. 17,32.
12. იხ.იობი; LX, 5 (სეტარი ავგუსტინე იხიარებს „ველბატის“ მცდარ ინტერპრეტაციას).
13. ეს მხატვრული სახეები ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებიდან იღებენ დასაბამს (დაწვრილებით იხ. Исповедь Блаженного Августина, епископа Иппонского, Примечания, - Богословские труды, сб.19, М.,1978, стр.228. прил.13).
14. "მდრ. სეტარი ავგუსტინე, „იოანეს სახარებისათვის“, 13,5: „ღმერთსე შეიძლება ეველაყერი ითქვას, მაგრამ ეერაფერს ვიტყვით ისვოს, მისი ღირსი რომ იყოს“.
15. ფსალმ. 34,3.
16. "მდრ.გამოსვლა, 33,20, სადაც უფალი ღმერთი ეუბნება მოსეს: „ვერ შეძლებ ჩემი პირის ხილვას, რადგან ისე ვერ მიხილავს ადამიანი, რომ ცოცხალი დარჩეს“.
17. ფსალმ. 18, 13-14.
18. "მდრ. ფსალმ. 115,1.
19. ფსალმ. 31,5.
20. "მდრ.ფსალმ. 129,3.
21. დაბად. 18,27.

22. შდრ. ბღუეს პასკალი: „მე არ ვიცი, ვის წარმომგზავნა ამ ქვეყნად, არ ვიცი, რაა სამყარო, არ ვიცი, ვინა ვარ მე. თ, ხამხიხელი და სრული უმეცრება წემი. მე არ ვიცი, რა არის წემი სხეული, წემი გრძობა, წემი სული და წემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს იმას, რახაც მე ვამბობ...“

„როდესაც ვხედავ კაცთა ხიბრმავეს და ხისაწყლეს, როდესაც ვეძებ მუხუხ სამყაროს და ნათლისაგან განსაზღვრულ, თავისი თავის ანარა მთელ და სამყაროს ამ უბადრეუ კუთხეში წაკარგულ მოყვასს, რომელმაც არ იცის, ვის მოიყვანა აქ, რისთვის მოვიდა, ან რა ელის სიკვდილის შესწევ, – თავსარდაცემული ვიწვი, როგორც კაცი, რომელიც მძინარე ასწივს და უკაცურსა და უდაბურ კენსულზე გადაიყვანეს“ (იხ. ბღუეს პასკალი, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა, წიხანბეგვაობა და შეხიშქები დაუროთ ბ.ბრეგვაძემ, თბ.1981, გვ. 235,306).

23. პლატონის თავის „გორგიაში“ (492e) მოაქვს ციტატა ევრიპიდეს დაკარგული ტრაგედიიდან „პოლიდე“ (ფრანკი, 638):

„ვის იცის, იქნებ სიკვდილია სიცოცხლე წვენი, ხილი სიცოცხლე არის სიკვდილი?“

ამ სიტყვებს დიალოგში წარმოთქვამს სოკრატე და იქვე (493a) დახსენს: „თქვებ წვენი მართლაც მკვდრები ვართ? დამეზმისი, ერთი ბრძენკაცისაგან გამოგონია, რომ წვენი ამჟამად მკვდრები ვართ და სხეულია წვენი ხაყულაგი“.

24. შდრ. პოლ ვაღერი: „მომეხტი, როცა პატარა ბავშვი თავისი ტირილის ძაღას შეუცნობს, არაერთი არ განსხვავდება იმ მომენტისაგან, როცა ის ამ ძაღას ზემოქმედებისა და ძაღადობის იარაღად აქვევს“ (იხ. პოლ ვაღერი, სულის კრიზისი, ფრანგულიდან თარგმნა ბ.ბრეგვაძემ, თბ.1993, გვ.35).

25. „სულის წარმოსავლობის საკითხი ერთი იმ საკითხთაგანია, მოელს ცხოვრების მსახილზე რომ სტანჯაქვდა და აწამებდა ავეგუსტიეს, რომელმაც სიცოცხლის დამლაქვხაც კი ვერ შესძლო მისი გადაჭრა, როცა თავის თხსულებას „Retractationes“ („უარყოფანი“) წერდა, რათა თავისი ხაბილო დახკვები შეეგნა მასში“ (პიერ ლაბრიოლის შეხიშქა, იხ. „აღსარებათა“ ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ.8).

26. მათე, XI,25.

27. ფხალმ. 101,28.

28. იქვე.

29. დროის ეს ორიგინალური კონცეპცია პლატონის „ტიმოხიდას“ იღებს დახაბამს: „ტიმოხის“ მიხედვით, კონსიოსის მოწესრიგებული და პარმონიული მოძრაობა, გრძობად-კონკრეტული სამყაროს დისანსიზი სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური სისამდევილის უძრაობის, მისი სტატიურობის პროექცირება ქნაღადის წიაღში; სუხტად ასევე, დროც – ამქვეყნიურ სავანათა და მოვლენათა არსებობის, მათი მოძრაობისა და ცვალებადობის ფორმა – უცვლელი და უძრავი მარადისობის ახალგაიურ პროექციად

გვეკვლინება. „მარადისობა“ („აიოს“) პლატონისათვის ძირითად განსხვავებად ამ ხორცის ხევის მასადროული გაგებობაგან. ამ ტერმინით „ტიმოქოსში“ აღინიშნება არა ბუნდობლივი, გაურკვეველი და უკარ კიდევ არ არსებული მოსაძვლადან აწ უკვე აღარ არსებული წარსულისაკენ (კალხახად და უკუშორეუკველად შედისი „დროის“ („ხრონოს“) უხახრეული თერსობა, რომელიც წის უხვრეებს ას მოხდეებს აწმეოს, არამედ ერთგვარი ექსტრატექსონადღერი (დროის მოდემერი, დროის ვარეშე არსებელი) რეალობა (ხევის „უქვამო უამო“, აღბათ, ექვლაწე ხრეულად და ამომწურადეად განიხატავს ამ ცხეების მისაარხს). დღევანდელი გაგებით „დრო“ ხახრეულია, მარადისობა კი უხახრეულია, მამის რადეხეცე პლატონის ახრით. ამ თრ ცხებბს მორის რადეხეობბრეი (ექსტრატერერი) კი არა, თერსობბრეი (ექვლიტატერერი) ხევაობა არსებობს.

„ტიმოქოსის“ მარადისობა ისტეგონადღერი, (კალეკულ მოსეხტებბად (წარსული, აწმეო, მოძვალა) ვახეწილდეული დროა, თე შეძლეობა ახე თიქვას, მარადიული, წარეკელი აწმეო, რომელიც ხახათობა ერთადღერი პრედიკატით - „არის“. და პირიქით, ხაქუთრეი დრო (კალეკულ მოსეხტე ბადაა ვახწილდეული. მახ თავისი ხაწილდეი (სემერე) და თავისი ხელები („კედე“) აქვს. დროის ხაწილდეობა დღეები და დამეები, თეეები და წალები, ხახეები კი - ათეო“ და „თქებბა“ (ე.ი. წარსული და მოსაძვლი). „არის“, პლატონის მოხდეით, მარტობადეხ მარადისობის ბრთობეუტა; რაც მუეხებბა დროის იმ მოსეხტს, რომელსაც აწმეოს ვეწილდეობ ხეებს, ის თითქოს კიდევ არსებობს და არც არსებობს, რაკიდა მხოლოდ და მხოლოდ წარსულისა და მოსაძვლის ერთსეუთისაგან გამმოხახე „სღერად, მწწრადეწარსოვად წამად თე დროული ხაკადის ერთგვარ „ბრთობად“ ვეველინება. შეადარე არისტოტელე: „ამრთვად, რამდეხადეც „ახლა“ (არისტოტელეს „ახლა“ თეეეე, რაც პლატონის „არის“, - ბ.ბ.) ხევა არა არის რა, თე არა „სღერაი, ის არ არის დრო და მხოლოდ თახხედომითაა სიმუეული დროისათვის, ვიხაიდან „სღერაი ექეუების მხოლოდ იმას, რახ „სღერადეც ის ვეველინება“. - ბ.ბრევები, „ახტიკერი ციცილიზაციის ვეირევისი“ (იხ.წიგნში: პლატონი, „ტიმოქოსი“, ძეული ბრთმდეულიდას თარეწნა, წიხახევეობბა და კომეხტარეი დაერით ბ.ბრევები, თბ.1994, გე.235-236).

30 „აგეგუსტინე დარწმეხბეული თეი ადამიანის ბეხეების თახდეულიდ ხრწნილდებამი, ბეხეებისა, რომელიც იმდეხად შებბალა დახაბამიერსა (კალეკამ, რამ უკეუთერი მოდრეკილდეები აქეანსიდე იხეებს თავს ხეილის ხელში“ (პიერ დე ლაბრთილას შენიშება, იხ. „ახხარებბათ“ დახახ.გამოცე. გე.9).

ამ კონტრეუციოდან დახაბამს თეებს ხაკათად პირექუმი დოქტრინა, რომელსაც ხაქეუეებბრ მუქდეე ადღორმისეებს უას კალევისი (1509 - 1564 წ.). აგეგუსტინეს მოძღვრების თახახმად, ციდეითადეკისმდე ადამს პქისდა თავისუფალი სება და შეეკლი თავი შეეკიეებბნა ციდეისაგან. მგვრამ რიცა მან და ევამ თეეეებს ვაშლი, მათში შეეეიდა ხრწნილდება, რომელიც მუქდეე მოელ მათ მთამოქვადობბს ვადეეცა. ახე რამ უკვე აღარავის მუქდეეად ხაქუთარი ძედთ თავი შეეეეებს ციდეისაგან. მხოლოდ დევის მადლი აძლეებს ადამიანებს იმის ხაშუდელებბს, რამ ხეიქელის გხახ მახ

დიოს. რაკი ეველანი ადამის ცოდვის მექვიდრები ვართ, ამიტომ ეველა საეკუხო წვევლისა და შესვენების ღირსია. ეველასეიც მოუხათლაგი ქვება, თუთ ერმებსაც კი, ჯოჯოსხეთში დაუსრულებელი ტახჯვა-წამება ელის. სეც უყვლება არა გვაქვს ედრტყინადეთ ამის გამო, რადგანაც ეველას ბორატები ვართ... თუცკა დეთის თაფისუყალი მდლის წეალო-ბით, მონათლეულთა შორის გამთირსეკიას ცალეველი ადამიანები, რომლე-ბიც სასუყველის ღირსნი ხდებიან, მაგრამ არა მათი სიკეთის გამო: სეც ეველანი მთლიანად ჩაქეკეთით ბიწიერებაში და შეგეძლია მართადნი ვი-ყოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამის საშეალებას გვაძლევს დეთური მადლი, რასაც იმსახერებენ მარტოოდეს რჩეულნი. შეუძლებელია იმისი ახსნა, თუ რატომაა ხსნა მხოლოდ რჩეულთა ხეედრი, მამის როდეცაც ეველა დახარეხი დაწვევლილია. ამას დეთის არამოტიოერებული გადამწე-ვეტილება გასაძირობებს. შესვენება დეთის მართლმსაჯულების მაწევებე-ლია, ხსნა კი - მისი გულმოსყალებისა. ორსავე შემთხვევაში თავს იჩინს მისი მადლი". - Б.Рассел. История Западной философии, М., 1959, стр.310-311.

31. ფსალმ. 91,2.

32. ფსალმ. 50,7.

33. „ბავშვებს ხშირად სასჯელის შიშით აიძულებენ ისწავლონ, - შეხიშნავეა სხეიგან სეტარი ავეესტიე („დეთის ქელაქისათვის“, XXI,14) - და ეს იმლე-ნად საზარელია, რომ მათ, არცთუ იშვიათად, სასჯელი ურთეყენით სწავ-ლას. ამიტომ ვის არ შეაძრწუნებდა ხელახლა დაეწყო ბავშვობა, და არ-ჩეყნისი საშეალება რომ აქისილია, ვის არ ამჯობისებდა სიკედილს?“

34. ფსალმ.93,22.

35. სეცეკასაც მოახნა, რომ ბავშვების თამაშსა და უფროსების საქმიანობას შორის არაერთარი განსხეეკება არ არსებობს („დიადლოეები“,2,12,1-2).. გულისშემძერელია ისააც სიეტოხის სიტეეები, სადაც გეხილოური ისგლისელი სწორედ ჰტარა ბავშს ადარებს თავს, თეკანის პირას რომ თამაშობს და უხარია, თეკი შემთხეეკით ღამას ექნეს, ას ეფრად ნიერას იბიყის, მამის როდეცაც მის წინაშე გადამლილია ჰემმარიტების უკიდეკანი თეკახე (იხ. В.Гейзенберг, Шаги за горизонт, М., 1957, стр.291).

36. გლადიატოროთა ბრძოლებსაც და საციოკი ასპარეზობებსაც ქელაქის უძაღლეხი მთხელეხი აწეობდხეხ.

37. „ეს თეო ეგრეთ წადებელი „ნათლობისწინა რიტეულის აღსრულება“, რაც შეტეგესიარად ხდებოდა: ბავშვს ახდა მოხრდილის ჯეარს გადასახეღესენ და მაროღას მწიეეს მისეცეღეს. ის, ვისხელაც ამ რიტეულს აღას-რულეღდეს, უკეე კატეხეკესთა, ესე თეო, იმათ რიტეებს მიეკეთებოდა, ვისაც შეეკლიო ხათლისეღების საიდუელოს ზიარებოდა. ბავშვს, სეცელებრიე, სრულწლოეანების მიღწეამლე არ ხათლეეღდხე: მიანნდათ, რომ ნათლისეღებით მახამლე ზადეხილი ეველა ცოდვა მიეტევებოდა ადამი-ანს და ამიტომაც არ ჩეკრბდხეხ მის მონათელას. მაგრამ IV ს. ეკელისის მამებსა დაქისებით მოითხეეეს, რომ ბავშვებიც მიეხათლოთ, და V საუ-

კუჩქში უჩინ ზედად იქცა მათი მისათვლა“ (იხ. „აღსარებათა“ რეზიუმი თარგმანის შექმნეები, დასახ. განიც. გვ.229).

38. იხ. I კვტრე, III, 1.

39. შდრ. დაბად. II, 7: „და შექმნა უფალს დანართის კაცი მარის მკერძობაჲნი“. „აღსარებათა“ ბოლო თავში (XIII, XII,13) სეკრარი ავტოგრაფიუ, ავტოგრაფიული მითლის თხახინდა, „მწაწა“ ავტოგრაფს „ხორციელ კაცთა“, წინაა მისდგომების წყალობით რომ იღებს „აქორმას“, რაც სათლათ მისავეს და სულაერებან ასიკებს მას.

